



This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the [Institute for the Study of the Ancient World Library](#) at New York University.

- Creator: Javakhishvili, A. / ჯავახიშვილი, ა. / Джавахишвили, А.И.
- Title: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები ტომი I / Археологические экспедиций государственного музея грузии том I
- Publication Date: 1969
- Publisher: Georgian National Museum, Georgian Academy Of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dsc_74fc38ac0f

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: <http://dcaa.hosting.nyu.edu/dsc/takedown-notice>.

IVE
28 41(1)



საქართველოს
სახელმწიფო
მუზეუმის
არქეოლოგიური
ექსპედიციის
ანბნარიშები

IVE
2871

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური
ექსპედიციები

(1965—1967 წწ. ანგარიშები)

15566



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი 1969



წიგნი შეიცავს საქართველოს მუზეუმის არქეოლო-
გიური ექსპედიციების მიერ 1965—1966 წლებში ქრუ-
შელისა და სამელე კედლის გამოქვაბულებში, შულა-
ვერისა და იმირის ძვ. წ. VI—V ათასწლეულების ხა-
სოფლარებზე, სამადლოს ადრეელინისტურ სიმაგრეზე
და ზღუდრის, ღმანისისა და ჭრუმის ნაქალაქარებზე
ჩატარებული სამუშაოების ანგარიშებსა და ძირითად
შედეგებს.

ყვირილის ხეობის ქვისხანის შემსწავლელი არქეოლოგიური
ექსპედიციის მიერ 1966 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვის-
ხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია 1966 წ. ველზე მუშაობდა 31
ივნისიდან 15 აგვისტომდე. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: დ. თუშაბრაამი-
შვილი (ხელმძღვანელი); გ. ჯავახიშვილი (რაზმის უფროსი); ლ. ფანცხავა (უმც.
მეცნ. თანამშრომელი), ვ. ჩაგუნავა (არქიტექტორი, მოწვევით); თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი მ. ფირცხალა-
ვა და მძღოლი გურამ მახათაძე.

საანგარიშო წელს ექსპედიციის მიზანს შეადგენდა ჯრუჭულის გამოქვა-
ბულში ძირითადი სამუშაოების დამთავრება და სტაციონარული გათხრების
გაგრძელება სამელე¹ და სამგლე კლდის გამოქვაბულებში, აგრეთვე, დაზვერვი-
თი ხასიათის სამუშაოების ჩატარება ქვისხანის ძეგლების გამოვლენის მიზნით.

ექსპედიციის მიერ 1966 წ. წარმოებული სამუშაოების ანგარიშში ჩვენ
ყურადღებას გავამახვილებთ ძირითადად ორ საკითხზე: 1. ყვირილის ხეობის
ქვედაპალეოლითური ხანის ძეგლების ქვის ინდუსტრიის ხასიათი; 2. საქარ-
თველოს ზედაპალეოლითური კულტურის რიგი თავისებურებანი ყვირილის ხე-
ობაში გამოვლენილი ძეგლების—სამერცხლე კლდის და ძუძუანის გამოქვაბუ-
ლების მიხედვით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წინამდებარე ანგარიშში წამოჭრილ მთელ
რიგ კითხვებზე ამომწურავი და საბოლოო პასუხის გაცემა ჯერჯერობით გავვი-
ჭირდება, ვინაიდან იგი მოითხოვს გაცილებით მეტი ფაქტობრივი მასალის შეგ-
როვებას, მრავალი პარალელის ძიებას და ღრმა ანალიზს; მაგრამ, ჩვენს ხელთ
არსებული მონაცემების საფუძველზე ამ პრობლემების წინა პლანზე წამოწევა
საკითხის დასმის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, დროულიცაა და აუცილებელიც,
ვინაიდან იგი დაგვეხმარება საქართველოს ძველიქვის ხანის კულტურის თავისე-
ბურებათა გამოვლენის საქმეში.

1966 წ. სეზონში ექსპედიციამ ფაქტიურად დაამთავრა ჯრუჭულის გამო-
ქვაბულის გათხრა; 1967 წელს განზრახული გვაქვს მხოლოდ გამოქვაბულის ფე-
ნათა რაოდენობის და მათი თანამიმდევრობის დაზუსტება, ე. ი. კრილების
საბოლოოდ შეჯერება-დახვეწა.

საანგარიშო წელს გავწმინდეთ 12—12, 14—14 კვადრატები მთელს სიგ-

¹ სამელე კლდის შესახებ იხ. გ. ჯავახიშვილის ანგარიში «1966 წ. სამელე კლდეში ჩა-
ტარებული მუშაობის შედეგები».

რძეზე და გავაკეთეთ ორი კრილი 12—12 და 14—14 კვადრატების დასასრულის გასწვრივ და გრძივი კრილი 13—14 კვადრატების მონაკვეთში. გარდა ამისა, დავაზუსტეთ და დავამთავრეთ გამოქვაბულის განივკვეთის გეგმა II კულტურული ფენის დონეზე.

12 — 12 კვადრატების განივ კრილში წარმოდგენილია შემდეგი ფენები:

1. თიხნარი, ჰუმუსნარევი, მტვრადქცეული.
2. თიხნარი, მოყავისფრო, ქვიშანარევი.
3. ქვიშნარი, მარგანეცნარევი.
4. ნაკერალი ფენა.
5. თიხნარი, მოყავისფრო-მონაცრისფრო, ლორღის ჩანართებით.
6. თიხის, სილის და მარგანეცნარევი ფენა.
7. თიხის, ლორღის, სილისა და მარგანეცის შემცველი ფენა.
8. თიხნარი, მუქიმოყავისფრო, ლორღნარევი.
9. თიხნარი, ლორღის, სილისა და მარგანეცის ჩანართებით.
10. ლორღის, ხრეშის, სილისა და მარგანეცის შემცველი ფენა.
11. პალეოლითური კერა.
12. თიხნარი მოყავისფრო.
13. ლორღის, სილისა და მარგანეცის შემცველი ფენა.
14. მუქი მოყავისფრო თიხნარი, ლორღისა და მსხვილი ლოდების ჩანართებით.
15. ლორღნარი, ბრექჩიად ქცეული ფენა.
16. თიხნარი, მუქი მოყავისფრო-მოშავო, მარგანეცნარევი, მსხვილი ლოდების ჩანართებით.
17. სილისა და ხრეშის ფენა.

როგორც ვხედავთ, 12 — 12 კვადრატების განივ კრილში 17 ფენაა წარმოდგენილი. მე-5 — 8 ფენა ჰქმნის I კულტურულ ფენას, ხოლო მე-11 — 15, აგრეთვე მე-16 ფენის ზედა ჰორიზონტი — II კულტურულ ფენას. მე-9 — 10 ფენა სტერილურია. არ შეიცავს კულტურულ ნაშთებს აგრეთვე სულ ზედა — 1 და 3 ფენა. ფენების საერთო სიმძლავრე ცენტრალურ ღერძთან 4,70 მ შეადგენს (ტაბ. I).

12 — 12 კვადრატების განივი კრილისგან განსხვავებით, 14 — 14 კვადრატებში 14 ფენაა ფიქსირებული. აქ არაა წარმოდგენილი მე-2, მე-4 და მე-15 ფენები. ფენათა საერთო სიმძლავრე ცენტრალურ ღერძთან — 5,40 მეტრია. მე-5 — 8 ფენები ჰქმნიან I კულტურულ ფენას, ხოლო მე-11 — 14 ფენები და მე-16 ფენის ზედა ჰორიზონტი — II კულტურულ ფენას. მე-9 — 10 ფენები სტერილურია. სტერილურია აგრეთვე 1 და 3 ფენები. აღნიშნულ კრილში არ ჩანს რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება მისი წინამორბედებისაგან. ისევე როგორც გამოქვაბულის სხვა მონაკვეთებში, აქაც კარგად შეიმჩნევა I კულტურული ფენის გავრცობის ფარგლებში ჰორიზონტალურად დაღეკილი ქვიშებისა და სხვადასხვა შეფერილობის თიხნარი ფენების ურთიერთმონაცვლეობა, რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება არც ქვედა ფენებში ჩანს. II კულტურული ფენის დასაწყისიდან კლდოვან იატაკამდე ძალიან დიდი რაოდენობით გვხვდება ფენაში ჩართული უზარმაზარი ლოდები და ლორღი, წარმოქმნილი გამოქვაბულის ქერისა და კედლების ნგრევის ხარჯზე (იხ. გეგმა ტაბ. II და კრილები ტაბ. I). ასევე მთელ ფართობზეა ფიქსირებული კალციტირებულ ბრექჩიად

ქცეული შრე, რომელიც უშუალოდ ადევს თავზე II კულტურული ფენის ზედა პორიზონტს, წარმოდგენილს ნაკერალი შრის სახით.

აღსანიშნავია, რომ II კულტურული ფენის ქვედა პორიზონტში 1965 წ. აღმოჩენილ იქნა უაღრესად საინტერესო პალეონტოლოგიური მასალა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მარტორქის კბილი, რომელიც პალეონტოლოგ ა. ვეკუას განსაზღვრით მარტორქა მერკას მიეკუთვნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1966 წელს ფაქტიურად დავამთავრეთ ჯრუჭულის გამოქვაბულის გათხრა; მხოლოდ გამოქვაბულის ბოლო ნაწილის, მთელ სიგანეზე და სიღრმეში (15 — 18 კვადრატები), კულტურული ფენა ხელუხლებლად დავტოვეთ მიწის თანამედროვე ზედაპირიდან კლდოვან იატაკამდე. 14—14 კვადრატების განივ ჭრილში კარგად ჩანს ჩვენ მიერ გამოყოფილ ფენათა რაოდენობა, თანმიმდევრობა, ურთიერთმონაცვლეობა და ხასიათი. ხელუხლებლად დატოვებული ფართობი საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მკვლევარებს და მომავალ თაობასაც შეამოწმონ ჩვენ მიერ გამოტანილი დასკვნები და შეიტანონ სათანადო შესწორება. ხელუხლებლად დავტოვეთ აგრეთვე 13 — 13 კვადრატების II კულტურული ფენა და ნაწილობრივ I ფენა 13—13 კვადრატების მონაკვეთში, რათა რამდენადმე მაინც დაგვეცვა ნგრევისაგან ხელუხლებლად დატოვებული ფართობი.

ჯრუჭულის გამოქვაბულში 1966 წელს ქვის მასალა მცირე რაოდენობით იქნა მოპოვებული, რაც არ იძლევა საშუალებას ქვის ატკეცვის ტექნიკის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად, ამიტომ წინამდებარე ანგარიშში მოვიშველიებთ 1965 წელს მოპოვებულ მასალასაც.

1965—1966 წლებში ჯრუჭულის გამოქვაბულის I კულტურულ ფენაში მოპოვებულია კაეის, არგილიტის და სხვა ქანებისაგან დამზადებული 377 ნივთი; აქედან, 8 ც. ერთფუძიანი და ორფუძიანი ნუკლეუსია, 9 ც. უსახო ანამტვრევი, 28 — ქერცლისებური ანატკეცი; 72 — არალევალუაზური ანატკეცი; 51 ც. ლევალუაზური ანატკეცი; 206 — ლევალუას ტიპის ლამელა; ხოლო 5 — არალევალუაზური ტიპის ლამელა. მთელი მასალის დაახლოებით 65%-ს მზა იარაღები შეადგენენ (წვეტანები ლევალუაზური და არალევალუაზური, საფხეკები და სახოკები, დანები, რეტუშირებული ლამელები და სხვა).

ჯრუჭულის გამოქვაბულის ქვის ინდუსტრიაში წამყვანი ადგილი ლევალუას ტიპის ნამზადებს — ანატკეცებს და ლამელებს — უკავიათ, ე. ი. აქ გაბატონებულია ქვის ატკეცის ლევალუაზური ტექნიკა, რაც კარგად ჩანს პროცენტული გამოთვლიდანაც.

I კულტურულ ფენაში მოპოვებული მასალების ლევალუას ინდექსი (ლევალუას ნამზადების საერთო რაოდენობა $\times 100$) შეადგენს ყველა სახის ნამზადების საერთო რაოდენობა $257 \times 100 = 73,9$. ე. ი. თითქმის 74%-ს, რაც დიდი მაჩვენებელია.

როგორც ცნობილია, ფრანსუა ბორდის მიხედვით, ნორმალურ ვითარებაში ლევალუას ტიპის ნამზადთა ინდექსი ლევალუას ინდუსტრიაში წარმოდგენილი უნდა იყოს 20%-დან 40%-მდე; თუ 5-დან 20%-მდეა, მაშინ ლევალუას ინდექსი არსებობს, მაგრამ არ ჭარბობს, ხოლო თუ ლევალუას ინდექსი 5%-ზე ნაკლებია, მაშინ აღნიშნული ნივთები (შესრულებული ლევალუას ტექნიკით) შესაძლებელია შემთხვევით იყოს მოხვედრილი ძეგლში. ფ. ბორდის აზრით, თუ ლევალუას ინდექსი 40%-ით მეტია, იგი მაჩვენებელია იმისა, რომ საქმე

გვაქვს მასალის ხელოვნურ შერჩევასთან ან არქეოლოგის, ანდა თვით პირველყოფილი ადამიანის მიერ².

როგორც ვხედავთ, ჯრუჭულის გამოქვაბულის I კულტურული ფენის მასალების ლევალუას ინდექსი გაცილებით მეტია ნორმალურზე (თითქმის 74%). ცხადია, რომ მასალა ჩვენ შერჩევით არ წამოგვიღია.

ფენაში მოპოვებული ქვის ყველა ნაკეთობა სათანადოდაა ფიქსირებული და დაცული ფონდში; რაც შეეხება პირველყოფილი ადამიანის მიერ მასალის დახარისხებას, აქ საქმე სხვაგვარად დგას.

ჯერ კიდევ ჩვენს ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში აღნიშნული გვექონდა, რომ I კულტურულ ფენაში, პროცენტულად, დასრულებული იარაღების რიცხვი მეტია წარმოების სხვა ნაშთებთან შედარებით, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჯრუჭულის გამოქვაბულის პირველყოფილ ადამიანებს იარაღების დიდი ნაწილი უკეთებიათ გამოქვაბულის ფარგლების გარეთ, ალბათ ნედლი მასალის (კაჟი, არგილიტი და სხვა) საბადოსთან ახლოს, ხოლო გამოქვაბულში მოპქონდათ მზა იარაღები³. თითქოს აღნიშნული ფაქტით უნდა აიხსნას I კულტურულ ფენაში ლევალუას ინდექსის სიდიდე; მაგრამ ეს ასე არ არის, ვინაიდან ჯრუჭულის გამოქვაბულის II კულტურულ ფენაშიც, სადაც მრავლადაა წარმოების ნარჩენები ნუკლეუსების, ქერცლისებური ანატკეცებისა და სხვადასხვა ანამტვრევის სახით, ე. ი. სადაც ადგილობრივ ხდებოდა ქვის როგორც პირველადი, ისე მეორადი დამუშავება — ლევალუას ინდექსი დიდია — 48,6%. დიდია აგრეთვე ლევალუას ინდექსი ჯრუჭულის ხეობის მეორე მუსტიერულ გამოქვაბულში — სამგლე კლდეში. უფრო მეტიც, ქვის გაპობის ლევალუაზური ტექნიკა გაბატონებული ჩანს ყვირილის ხეობის როგორც გვიანი მუსტიერული ხანის ღია სადგომ-სახელოსნოებში, ისე უფრო ადრეული ხანის ძეგლებშიაც. ასე მაგალითად, ლევალუაზური ტექნიკაა გაბატონებული ხვირათის, ორბალი I (ტაბ. III — IV) ძეგლებში, ეს უკანასკნელი 1966 წელსაა ექსპედიციის მიერ გამოვლენილი. სოფ. ჭილოვანის ტერიტორიაზე 1957 წ. გამოვლენილი ღია სადგომ-სახელოსნო „კაჟების“ ლევალუას ინდექსი 60%-ს შეადგენს; აღნიშნული ძეგლი მუსტიეს მეორე ნახევრით თარიღდება. ლევალუაზურ ინდუსტრიას მიკუთვნება ამავე სოფლის ტერიტორიაზე გამოვლენილი ადრეული მუსტიეს ხანის ძეგლი, ჩურგული (ლევალუას ინდექსი—30%). ლევალუაზური ხასიათისაა ჭიათურის რაიონის ტერიტორიაზე გამოვლენილი გვიანი და განვითარებული აშელის ხანის ღია ტიპის ძეგლები, საქორია, სარბები და სხვ. ყველა ზემოჩამოთვლილ ძეგლებში ნუკლეუსების უმრავლესობა ერთფუძიანი ან ორფუძიანია და განკუთვნილია ლევალუაზური ტიპის ანატკეცების, წვეტანებისა და ლამელების მისაღებად. ამგვარად, ყვირილის ხეობის ქვედაპალეოლითური ხანის როგორც ღია, ისე დახურული ტიპის ძეგლების შესწავლიდან ნათლად ჩანს, რომ განვითარებული აშელის ეპოქიდან მოყოლებული (უფრო ადრეული ხანის ძეგლები აღნიშნულ ხეობაში ჯერჯერობით არ ჩანს) ქვის გაპობის ტექნიკაში ლევალუაზური ტექნიკაა გაბატონებული.

² F. B o r d e s, Les limons quaternaires du bassin de la Seines Archives del' institut de paléontologie humaine. Memoire, 26, Paris, 1953 გვ. 17.

³ დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ჯრუჭულის გამოქვაბულში 1960—1961 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგები, საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, ტ. 2, თბილისი, 1963, გვ. 103.

მსგავს სურათს ვხვდებით მუსტიერული ხანის საქართველოს მთელ რიგ ძეგლებში, მაგ., კუდარო I, სადაც ლევალუას ინდექსი 78%-ს შეადგენს; კუდარო III⁴; წონის გამოქვაბულის მუსტიერული ფენა; ჭახათის გამოქვაბულის ქვედა ფენა⁵ (თუ ვიმსჯელებთ გამოქვეყნებული ტაბულების მიხედვით); მორგო⁶ და სხვ. საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ლევალუაზური ნუკლეუსები და ფირფიტები აშელის შუა პერიოდის ძეგლ ლამშე ბალთაში⁷, აფხაზეთის მუსტიერული და აშელური ხანის მთელ რიგ ძეგლებში და სხვ. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილია რამდენიმე ქვედაპალეოლითური ძეგლი, სადაც ლევალუაზური ტექნიკით მიღებული ანატკეცები და ლამელები მეტად უმნიშვნელო რაოდენობით არის წარმოდგენილი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მთა იაშთხვის ფერდობზე ი. კორობკოვის მიერ მოპოვებული მასალები, რომელსაც იგი „ტაიაკურს“ უწოდებს. აღნიშნული მასალების ლევალუას ინდექსი 3%-ს შეადგენს; ლამელების ინდექსი — 6%-ს, ხოლო დარტყმის მოედნების ფაცეტირების ინდექსი — if strict 1%-ს. კოლექცია ძირითადად წარმოდგენილია კლექტონის ტიპის ანატკეცებით და მათზე ნაკეთები დაკბილული უხეში იარაღებით. აღნიშნულ ძეგლს ი. კორობკოვი ადრეული მუსტიეს ეპოქით ათარიღებს⁸. გამოქვეყნებული ნაშრომის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქვის გაბობაში არალევალუაზური ტექნიკას უკავია წამყვანი ადგილი წოფი I ადრეული მუსტიერული ხანის ქვის ინდუსტრიაში⁹. მსგავსი სურათი ჩანს ჩრდილოეთ კავკასიის — ნავალიშინოს, კორონცოვის მცირე მღვიმის, ხოსტისა და აცინსკაიას მუსტიერული ხანის ფენებში მოპოვებულ ქვის მასალებში¹⁰.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი შუა და გვიანი აშელური, განსაკუთრებით მუსტიერული ხანის ძეგლების ძალიან დიდ უმრავლესობაში გაბატონებულია ქვის ატკეცის ლევალუაზური ტექნიკა. მაგრამ, ამავე დროს, გვხვდება რიგი ძეგლები, სადაც აღნიშნულ ტექნიკას უმნიშვნელო ადგილი უკავია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯრუჭულის გამოქვაბულში ძალიან დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ლამელები. მისი ინდექსი I ფენაში არის 62,5%, ხოლო II კულტურულ ფენაში — 25%. ლამალების სიმრავლით ჯრუჭულის I ფენა მსგავსია კუდარო I და წონის გამოქვაბულის მუსტიერული ფენების. ხოლო ჯრუჭულის გამოქვაბულის II კულტურული ფენა ახლო პარალელებს პოულობს

⁴ В. П. Л ю б и н, К вопросу о методике изучения нижнепалеолитических каменных орудий, МИА СССР т. 131, გვ. 47.

⁵ ნ ა ნ თ ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ქვისხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში თბილისი, 1964.

⁶ საქ. სახ. მუზეუმის ქვისხანის ფონდის კოლექცია, — 1—59.

⁷ საქ. სახ. მუზეუმის ქვისხანის ფონდის კოლექცია, — 2—59.

⁸ И. И. К о р о б к о в, К вопросу о дивергентном характере эволюции древнепалеолитических индустрий, VII Международный конгресс доисториков и протоисториков, Доклады и сообщения археологов СССР, Москва, 1966, стр. 13.

⁹ გ. გ რ ი გ თ ი ა, ქვემო ქართლის პალეოლითი (დამარხული გამოქვაბული წოფი), თბილისი, 1963.

¹⁰ В. П. Л ю б и н, Исследование Малой Воронцовской и Навалишенской пещер. Археологические открытия 1905 г., Институт археологии АН СССР, Москва, стр. 50—52.

ტაჯიკისტანის მუსტიერული ხანის ძეგლებთან: კაირატ კუმთან—ilam—20% ჯარ კუტანთან—24%; ხოჯაკენტთან—26%¹¹, მოლოდოვო V მე-11 ფენასთან¹² და სხვ. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ძეგლი გვიანი ლევალუა-მუსტიეს ეპოქით თარიღდება.

როგორც ცნობილია, ყვირილის ხეობა უაღრესად მდიდარია ზედაპალეოლითური ეპოქის სხვადასხვა პერიოდის ძეგლებით, როგორცაა ხერგულის კლდე, თარო კლდე, მღვიმევის ფარდულები, გვარჯილას კლდე და მრავალი სხვა. სწორედ აღნიშნული ხეობის ძეგლების, აგრეთვე დევისხვრელისა და საკაეის გამოქვაბულებში მოპოვებული მასალების დეტალური შესწავლის საფუძველზე შეიძლება განსხვავებულმა მკვლევარმა ს. ზამიატნიჩმა საქართველოს და საერთოდ კავკასიის ზედაპალეოლითური კულტურის განვითარების ქრონოლოგიური სქემა¹³, რომელიც დღესაც ძირითადად, ძალაში რჩება და ხმარებაშია. ამავე ძეგლების შესწავლისა და ღრმა გაანალიზების საფუძველზე მივიდა ს. ზამიატნიჩი იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს ზედაპალეოლითი ხასიათდება მნიშვნელოვანი თავისებურებით, როგორცაა სხვადასხვა ასაკის ზედაპალეოლითური კაცი იარაღთა ურთიერთმსგავსება, იარაღთა ტიპების ერთგვარობა, არსებობა იმ მკვეთრი ქრონოლოგიური გამოიჯნულობის, რაც დასავლეთ ევროპის ზედა პალეოლითს ახასიათებს და მიკროლითური იარაღების ადრე გაჩენა¹⁴. სწორედ აღნიშნული თავისებურების გამო ს. ზამიატნიჩმა კავკასიის ზედა პალეოლითური კულტურა დაუკავშირა ხმელთაშუა ზღვა-აფრიკის ლოკალურ რაიონს. შემდგომში ნ. ბადერმა კავკასიის ზედაპალეოლითის დასასრულის და მეზოლითის კულტურაში გამოჰყო სამი ჯგუფი, ანუ სამი კულტურული ვარიანტი: 1. ამიერკავკასიის, 2. გუბის და 3. ჩოხის¹⁵. ამგვარად, დღეისათვის კავკასიის მხოლოდ ზედა პალეოლითის დასასრულისა და მეზოლითის ეპოქის ძეგლებში გამოჰყოფენ განსხვავებულ კულტურულ ვარიანტებს. რაც შეეხება თვით ზედა პალეოლითს, მკვლევართა უმრავლესობა მას მიიჩნევს როგორც ერთიანს, გარკვეული საერთო ნიშნების მქონე პალეოლითურ კულტურას, ვინაიდან დღემდე არ ყოფილა ცნობილი განსხვავებული იერის არცერთი ზედაპალეოლითური ძეგლი. უკანასკნელ წლებში აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის ქვისხანის შემსწავლელი ექსპედიციის მიერ გამოვლენილია ზედა პალეოლითური ხანის რამდენიმე ძეგლი, მათგან ორი იძლევა ისეთ მასალას, რომელიც არ თავსდება კავკასიის ზედაპალეოლითური კულტურის ფარგლებში; აღნიშნული ძეგლებია: სამერცხლე კლდე და ძუძუანას გამოქვაბული.

¹¹ В. А. Р а н о в, Каменный век Таджикистана. вып. I Палеолит, «Душанбе, 1965, стр. 21, 33.

¹² А. П. Ч е р н ы й, Ранний и средний палеолит Приднестровья Труды, Комиссии по изучению четвертичного периода, XXV, Москва, 1965, стр. 97.

¹³ С. Н. З а м я т н и ч, Новые данные по палеолиту Закавказья, «Советская этнография № 2, 1935, стр. 117—118.

¹⁴ С. Н. З а м я т н и ч, О локальных различий в культуре палеолитического периода, Происхождение человека и древнее расселение человечества, Труды Института этнографии им. Н. Н. Миклухо-Маклая, Новая серия, т. XVI. 1951., М. стр. 131—13.

¹⁵ Н. О. Б а д е р, Варианты культуры Кавказа конца верхнего палеолита и мезолита. Советская Археология. т. 4, 1965, стр. 3—16.

სამერცხლე კლდე მდებარეობს ჭიათურის რაიონის სოფ. ქვემო ზოდის ტერიტორიაზე, მდ. ყვირილის მარჯვენა შენაკადის მდ. ჯრუჭულის მარჯვენა ნაპირზე. გამოქვაბული კარსტული წარმოშობისაა. იგი შეიცავს ორ კულტურულ ფენას: ზედა მიეკუთვნება ადრეული ბრინჯაოს ეპოქას, ხოლო ქვედა — ზედა პალეოლითს¹⁶.

ძუძუნას გამოქვაბულს მივაკვლიეთ 1966 წ.; იგი მდებარეობს ჭიათურის რაიონის სოფ. მღვიმევის ტერიტორიაზე, ნიკრისის დელის მარჯვენა ნაპირზე, დელის ზედაპირიდან 10—12 მ სიმაღლეზე. გამოქვაბულში დღის სინათლე აღწევს 60 მ-ზე, გამოქვაბულის მარჯვენა მხარეს მოედინება ნაკადული, რომელიც ინტენსიური წვიმების დროს წყალუხვი ხდება. მიუხედავად ამისა, იგი საკმაოდ მშრალია, ვინაიდან პირით აღმოსავლეთისკენაა მიქცეული. გამოქვაბულის შესასვლელთან, მარცხენა მხარეს გაკეთებულ საძიებო თხრილში აღმოჩნდა ადრეული ბრინჯაოს ხანის (?) ქვის ნაკეთობანი (კაყის ყუნწიანი ისრისპირი, გახეხილ-გაპრიალეებული სატეხისებური იარაღი, კერამიკის ფრაგმენტები) და ზედაპალეოლითური მძლავრი კულტურული ფენა ნაკერალი შრიითურთ. ბრინჯაოს ეპოქის ფენა ჯერჯერობით არ ჩანს, ალბათ იგი გადარეცხილია. უძრავ მდგომარეობაშია შემონახული ზედა პალეოლითური მასალის შემცველი კულტურული ფენა, რომელმაც მოგვცა რამდენიმე ასეული კაყის ნაწარმი.

ჩვენ არ შევჩერდებით სამერცხლე და ძუძუნას გამოქვაბულებში მოპოვებული ინვენტარის დეტალურ განხილვაზე, ვინაიდან იგი არ შედის წინამდებარე ანგარიშის მიზანდასახულობაში, აღვნიშნავთ მხოლოდ წარმოების ნაშთებისა და იარაღების საერთო რაოდენობას. ასე მაგალითად: სამერცხლე კლდის გამოქვაბულში სულ 2342 კაყის ნივთია მოპოვებული, აქედან 106 ნუკლეუსი და კაჭარია, 2207 ცალი ანატაკეც-ანამტვრევი და ჩვეულბრივი ლამელაა, მათ შორის 114 ცალი ლამელა მკრთალრეტუშიანია; 80 ცალი მიკროლამელაა. დასრულებული იარაღები სულ 205 ცალია, მათ შორის საფხეკები — 85, საჭრისები — 78, შალაშინები — 23 ცალი და სხვ. აღსანიშნავია, რომ კაყის ნაწარმს შორის მხოლოდ ორი ზურგდაბლაგვეული იარაღია, ესაა თავ-ზურგდაბლაგვეული კაყის დანა და სახვრეტი, რომლის ერთი გვერდი დამაბლაგველები რეტუშითაა დამუშავებული. ზურგდაბლაგვეული ლამელები სამერცხლე კლდეში მოპოვებული ყველა იარაღის დაახლოებით 1%-ს შეადგენს, რაც უაღრესად მცირე მაჩვენებელია, ვინაიდან საქართველოს ზედაპალეოლითური ხანის სხვა ძეგლებში ზურგდაბლაგვეული ლამელების პროცენტული შეფარდება სხვა იარაღებთან საკმაოდ დიდია. სამერცხლე კლდის გამოქვაბულში ძვლის იარაღები სულ 10 ცალია მოპოვებული და წარმოდგენილია სადგისებით, შუბისპირებითა და საპრიალელებით¹⁷.

როგორც ვხედავთ, კოლექციაში სრულებით არ გვხვდება გეომეტრიული ფორმები და ზურგდაბლაგვეული მიკროლამელები, ხოლო გრავეტის ტიპის დანებისმაგვარი იარაღები ორად ორი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი.

დაახლოებით მსგავს სურათს ვხედავთ ძუძუნას გამოქვაბულიდან მომდინარე კოლექციაში. აღნიშნული ძეგლის საძიებო თხრილში სულ 3088 ცალი

¹⁶ სამერცხლე კლდის გამოქვაბულის შესახებ დაწერილებითი ცნობები იხილეთ მ. ნიორაძის ანგარიშში.

¹⁷ იხილეთ მ. ნიორაძის ანგარიში.


კაეის ნაკეთობაა მოპოვებული. აქედან 191 ნუკლეუსია; 2099 ცალი ანატკეც-ანამტკრევი; 447— ჩვეულებრივი ლამელა; 115 — მიკროლამელა, ხოლო 235 ცალი სხვადასხვა სახის იარაღებია, მათ შორის: საფხეკები — 138; საჭრისები — 53 ცალი; შალაშინები და სხვა იარაღები — 38 ცალი. გრავეტის ტიპისმაგვარი იარაღი — 3 ცალია. სამი ცალია აგრეთვე ზურგდაბლაგვეული მიკროლამელა. გეომეტრიული ფორმის არცერთი მიკროიარაღი ჯერჯერობით არც ამ გამოქვაბულიდან ჩანს. გრავეტის ტიპის იარაღების და ზურგდაბლაგვეული მიკროლამელების შეფარდება ძუძუანას გამოქვაბულში მოპოვებული ყველა სახის იარაღებთან მხოლოდ 2,5%-ს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელიც მცირეა.

თუ შევადარებთ სამერცხლე და ძუძუანას გამოქვაბულებში მოპოვებული გრავეტის და ზურგდაბლაგვეული მიკროიარაღების პროცენტულ მაჩვენებლებს საქართველოს ზედაპალეოლითის სხვადასხვა საფხურის ძეგლების ანალოგიურ მონაცემებს, შემდეგ სურათს დავინახავთ: III ჯგუფის ძეგლ გვარჯილასკლდის I ფენაში სულ აღმოჩენილია 810 ცალი დასრულებული იარაღი, ამათგან დაახლოებით 260 ცალი გრავეტის ტიპის დანა, ზურგდაბლაგვეული მიკროლამელა და გეომეტრიული მოყვანილობის მიკროიარაღია, რაც ყველა სახის იარაღის 32%-ზე მეტს შეადგენს. უფრო მეტია ზურგდამუშავებული იარაღების რიცხვი ქვედა, II კულტურულ ფენაში. 974 ცალი დასრულებული იარაღიდან 42%-ზე მეტი გრავეტის ტიპის და ზურგდაბლაგვეულ მიკროიარაღზე მოდის (იხილე აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის ქვის ხანის ფონდის კოლექციები № 232 — 16 და 16 — 54).


საინტერესო მონაცემებს იძლევა აგრეთვე II ჯგუფის ძეგლებთან შედარებაც. საკაეის ზედაპალეოლითური სადგომის მასალებში (საქ. სახ. მუზეუმის ქვისხანის ფონდის კოლექცია № 2 — 55) ზურგდაბლაგვეული იარაღების რიცხვი ყველა სახის იარაღების 15% შეადგენს, ხოლო დევისხვრელის გამოქვაბულში — 21%-ს (კოლექცია № 21 — 32 — 91 — 32). აღნიშნული პროცენტული მონაცემები უაღრესად საყურადღებოა, ვინაიდან სამერცხლე კლდის და ძუძუანას გამოქვაბულების მასალა ქრონოლოგიურად ახლოს დგას II ჯგუფის ძეგლებთან. ამაზე მეტყველებს ნუკლეუსების, მრავალფაცეტიანი, ანუ პოლიედრიული საჭრისების ურთიერთმსგავსება, ერთი და იგივე ტიპის საფხეკების სიმრავლე და, საერთოდ, იარაღთა ტიპების და მათი დამუშავების ტექნიკის მსგავსება. აღნიშნულ ძეგლებს შორის ძუძუანას გამოქვაბული, როგორც ჩანს, ყველაზე ახალგაზრდა უნდა იყოს (სწორი მოყვანილობის ფირფიტების სიმრავლე, იარაღთა უფრო დახვეწილი ფორმები, დამუშავების სრულყოფილი ტექნიკა და სხვ.).

რაც შეეხება საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის ყველაზე ადრეული პერიოდის, ე. ი. ს. ზამიატნინის ქრონოლოგიური სქემის I ჯგუფში შემავალ გამოქვაბულებს — ხერგულის კლდეს და თარო კლდეს, ისინი არ მიგვაჩნია ეტალონურად, ვინაიდან გაურკვეველია რომელი ფენიდანაა ესა თუ ის ნივთი, ე. ი. გაურკვეველია მათი სტრატოგრაფია. მიუხედავად ამისა, ზოგადი წარმოდგენისათვის მაინც მოვიტანთ ციფრობრივ მონაცემებს. თარო კლდის გამოქვაბულის მასალებში (კოლექცია № 30 — 26) ზურგდაბლაგვეული იარაღები ყველა სახის იარაღების 25%-ზე მეტს შეადგენს. ხერგულის კლდეში

ჭრილი /12-12/



ჭრილი /12.14-14.12/



სურ. I

საქართველოს


ბუნებისმეტყველების

მეცნიერებათა აკადემიის


გეოგრაფიის ინსტიტუტი


ბუნებისმეტყველების

გეოგრაფიის ინსტიტუტი



სურ. 1





(კოლ. 29 — 26) კი მათი რაოდენობა მეტად უმნიშვნელოა (წარმოდგენილია სულ რამდენიმე ეგზემპლარის სახით და ისიც არატიპიურით). აქ აღარ შევეხებით მეზოლითური ხანის ძეგლებს, როგორცაა ბარმაქსიზი (ეძანი), ჭათხაის გამოქვაბულის ზედა ფენა, ზურტაკეტი და სხვ., ვინაიდან, როგორც ცნობილია, აღნიშნული ძეგლების მასალებში გრავეტის ტიპის იარაღები და გეომეტრიული მოყვანილობის მიკროლითური ნაწარმი საკმაოდ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი.

ამგვარად, მოტანილი ციფრობრივი მონაცემებიდან და პროცენტული შეფარდებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის თითქმის ყველა საფეხურის ძეგლებში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი გრავეტის ტიპისა და მათი მსგავსი დანები და ზურგდაბლაგვეული მიკროიარაღები, რასაც ვერ ვიტყვით სამერცხლე კლდის და ძუძუანას გამოქვაბულების კოლექციების მიმართ (შესაბამისად 1% და 2,5%); აღნიშნული გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის სამივე ჯგუფის ძეგლების დიდი ნაწილი მდებარეობს მდ. ყვირილის აუზში, ე. ი. იქ, სადაც უკანასკნელ წლებში გამოვლენილია სამერცხლე კლდის და ძუძუანას გამოქვაბულები, ძეგლები, რომლებიც არ თავსდებიან საქართველოს ზედაპალეოლითური კულტურის განვითარების ჩარჩოებში და რამდენადმე განცალკევებით დგანან.

სამერცხლე კლდის და ძუძუანას გამოქვაბულების ქვის იარაღების თავისებურება, რაც გრავეტის ტიპის დანებისა და ზურგდაბლაგვეული მიკროიარაღების სიმცირეში გამოიხატება, საშუალებას გვაძლევს აღნიშნული ძეგლები ცალკე ჯგუფად გამოვყოთ. ჯერჯერობით ჩვენთვის ძნელია იმის თქმა, თუ რითაა გაპირობებული აღნიშნული თავისებურება, ან ზედაპალეოლითურ რომელ კულტურასთან აქვს მას უფრო მეტი კავშირი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ საქართველოს და საერთოდ კავკასიის ზედაპალეოლითური კულტურის საფუძვლიანი შესწავლა საშუალებას მოგვცემს უფრო დეტალურად დავადგინოთ მისი თავისებურებანი, ვიდრე დღემდის იყო ცნობილი და გამოვყოთ მის შიგნით არა მარტო განსხვავებული ნიშნების მქონე ძეგლების ჯგუფები, არამედ უფრო დიდი ლოკალური რაიონებიც.

ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ვიანთურის რაიონის სოფ. ქვემო ზოღვი გამოქვაბულ სამელე კლდეში 1966 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები

წინა წლების საექსპედიციო მუშაობის ანგარიშებში¹ აღნიშნული გვექონდა, რომ აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების ყვირილის ხეობის ექსპედიცია, 1958 წლიდან აწარმოებს არქეოლოგიურ სამუშაოებს მდინარე ჭრუჭულას ხეობის გამოქვაბულებში და ყვირილას ხეობის შენაკადთა სისტემის ტერიტორიებზე მდებარე პალეოლითურ ღია სადგომებსა და გამოქვაბულებში. 1966 წელს, ძირითადი ყურადღება დაეთმო ენეოლითური ხანის ძეგლს—სამელე კლდეს, რომელსაც ჭრუჭულას ხეობის გამოქვაბულების კომპლექსში ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს.

ექსპედიციაში, რომელსაც დ. თუშაბრამიშვილი ხელმძღვანელობდა, მონაწილეობასღებულობდნენ მუზეუმის წინაფეოდალური ხანის განყოფილების თანამშრომელი ლ. ფანცხავა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი მ. ფირცხალავა და არქიტექტორი ვ. ჩაგუნავა (მოწვევით).

არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების თვალსაზრისით კარსტული წარმოშობის გამოქვაბული სამელე კლდე წარმოადგენს მეტად რთულ ძეგლს. ვინაიდან უზარმაზარი ჩამოწოლილი ლოდები სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის ინტენსიურ მუშაობას და სტრატეგრაფიის დადგენას.

სამელე კლდის გამოქვაბული მდინარის დონიდან 70 მ სიმაღლეზე მდებარეობს. ჭრუჭულის მარჯვენა ნაპირზე. იგი მიმართულია აღმოსავლეთისაკენ, ოდნავი გადახრა აქვს ჩრდილოეთისაკენ, მშრალია. ნათელი და სადგომად გამოსადეგი². მისი სიგრძე დაახლოებით 30 მ-ია, სიღრმე 25 მ. სიმაღლე—11 მ; საშუალო სიმაღლეა 5 მ, ხოლო საშუალო სიგრძე—19 მ. 1959 და 1961 წწ. გამოქვაბულში გაკეთდა საძიებო თხრილი ზომით 5,00×4,5 მ-ზე, რომლის სიღრმე დაახლოებით 3,5 მ-ს უდრიდა. თხრილმა ძირითადად მოგვცა ენეოლითური ხანის ინვენტარი: ქვის გახეხილ-გაპრიალებული სატეხისებური და სათლელისე-

¹ 1959, 1961 და 1964 წლებში სამელე კლდეში ჩატარებული მუშაობის შედეგები და 1965 წელს სამელე კლდეში ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიში ინახება საქ. სახელმწიფო მუზეუმის ქვისხანის ფონდში ხელნაწერის სახით.

² იხ. გეგმა და კრილი,

ბური იარაღები, კაყის საფხეკები, ჩასართები, ტრაპეციები, ნუკლეუსები, ანატკეც-ანამტვრევები და ლამელები (ტაბ. I). ძვლისა და რქის მასალა წარმოდგენილია სადგისებით, მახათებით, ნემსებით, თოხისმაგვარი იარაღებით, ირმის რქისგან ნაკეთები საპრიალელებით და იარაღებით, რომელთაც ღარი დაუყვება კაყის ჩასართების ჩასამაგრებლად (ტაბ. II). კერამიკიდან აღსანიშნავია პირთან გარშემოყოლებული დაჩვრეტილი და დაკბილული ორნამენტით შემკული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. გვხვდებოდა შურდულის ქვებიც (ტაბ. I).

გამოქვაბულის სტაციონარული გათხრა დაიწყო 1964 წლიდან. იგი აზომა და აგეგმა არქიტექტორმა ვაჟა ჩაგუნავამ. ცენტრალური ღერძის გავლების შემდეგ გამოქვაბულის გასათხრელი ფართობი დაიყო კვადრატებად, ზემოთ 2×2 მ-ზე. მუშაობა დავიწყეთ გამოქვაბულის მარცხენა ნაწილიდან, აღმოსავლეთის მხრიდან. სიგანეზე კვადრატები აღვნიშნეთ ციფრებით, ხოლო სიღრმეში, გამოქვაბულის კედლის გაყოლებით კვადრატები ლათინური ასოების ალფაბეტური თანამიმდევრობითაა აღნიშნული. მუშაობას ვაწარმოებდით გაშლილად, სამ-ოთხ კვადრატში ერთად, პრეპარაციით. მიუხედავად იმისა, რომ ლოდები ხელს გვიშლიდა, 1966 წელს ჩატარებული მუშაობის პროცესში მაინც მოხერხდა კულტურული პორიზონტების დაჭერა. მართალია ეს პორიზონტები ძლიერაა დარღვეული და ხშირ შემთხვევაში ძნელდება იმის დადგენა თუ სად იწყება და სად თავდება ესა თუ ის პორიზონტი, მაგრამ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ მათ გამოყოფასა თუ ურთიერთშედარებას.

1966 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგად სამეღე კლდეში დაფიქსირებულია სამი პორიზონტის შემცველი ერთი კულტურული ფენა. ყველა პორიზონტი შეიცავს იატაკის დონეებს, რომლებიც ყველგან კი არ არის კარგად შემორჩენილი, არამედ ზოგიერთ კვადრატებში თითქმის სრულიად ქრება. გათხრილი პორიზონტების საერთო სიმძლავრე დაახლოებით 3,30 მ-ია. პრეპარაციას ვაწარმოებდით $i_5, R_5, I_6, 7, 8, III_7, 8, II_7, 8$ კვადრატებში.

I პორიზონტი — ლორღნარევი, ჭუმუსოვანი, ნულოვანი ხაზიდან n_7 კვადრატში იწყება — 1,30 მ-დან. იგი შლადია, დიდი რაოდენობით შეიცავს ლორღს; მისი ქვედა დონე წარმოდგენილია ბზენარევი — გადაღესილი, საკმაოდ მკვრივი თიხის იატაკით, რომლის საშუალო სისქე 7—8 სმ-ია. იატაკი გამოქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილში უკეთაა შემონახული სიმშრალის გამო, ხოლო დასავლეთ ნაწილში იგი შლადია, ვინაიდან გამოქვაბულის ამ ნაწილს მზე ცოტა ხნით ადგება და სინესტისაგან იგი დაზიანებულია. ნივთიერი მასალით I პორიზონტი მომდევნო პორიზონტებში აღმოჩენილი მასალის მსგავსია, მაგრამ ინვენტარის რაოდენობის მიხედვით პროცენტულად განსხვავდება მათგან. ასე მაგალითად, I პორიზონტში კაყის ინვენტარი წარმოდგენილია მხოლოდ ოთხიოდე ლამელით, ანატკეცებით და ერთი ისრისპირით. მონაცრისფრო კაყის ყუნწიანი ისრისპირი ადრებრინჯაოს ხანისას ჰგავს, მისი სიგრძეა 8,00 სმ; სიგანე — 3,1 სმ; სისქე — 0,9 მმ. ქვის სატეხისებური და სათლელისებური იარაღების რაოდენობა შვიდ ერთეულს არ აღემატება. ერთი მათგანის სამუშაო პირი ორივე მხრიდანაა ლესილი, ზედაპირი ორივე მხრიდან დაჩეჩქვილი აქვს ($3 - 66/89$)³; მისი სიგრძეა 13,5 სმ; სიგანე — 4,6 სმ; სისქე — 3,9 სმ. ქვის დანარჩენი იარაღებიც უხეშადაა ნაკეთები და არქაულობის ელ-

³ ფრჩხილებში ჩასმულია ინვენტარის ნომერი.

ფერს ატარებს, ისინი სხვადასხვა ზომისაა. მასალა აღმოჩნდა m_7 , n_7 კვადრატებში — 1,85 — 2,50 სმ სიღრმეზე. ძვლის იარაღებიდან უნდა დავასახელოთ მახათები და სადგისები, რომელთა უმრავლესობა ლულოვანი ძვლისაგანაა ნაკეთები. ერთ-ერთი მახათი ყუნწიანია, მრგვალ-ბრტყელ განივკვეთიანი, წვერი მოტეხილი აქვს (3—66/10); მისი სიგრძეა 4,5 სმ; სისქე — 5 მმ. იარაღები აღმოჩნდა m_8 და n_8 კვადრატებში — 1,40 — 1,95 მ სიღრმეზე. რქის ინვენტარი თითქმის არ გვხვდება.

I ჰორიზონტში უხვადაა წარმოდგენილი კერამიკა. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიდან აღსანიშნავია ქილისებური მოყვანილობის ჭურჭლის კედლების, პირის და ძირის ნატეხები. ზოგიერთი ჭურჭლის პირის ფრაგმენტი შემკულია დაჭდევებული ორნამენტით, ზოგს პირთან ნახვრეტები აქვს გაკეთებული (3 — 66/63). უმრავლესობა უხეშად ნაზელი თიხისაგანაა დამზადებული. ყურადღებას იპყრობს ნახევარსფერული ფორმის, უხეშად ნაზელი და ცუდად გამომწვარი თიხის ჯამი — ფიალა, რომლის პირის დმ 12,2 სმ-ია და მინიატურული ტიგელი. მისი პირის დიამეტრი 3,00 სმ-ია. მუცლის — 3,6 სმ (3 — 66/161). გვხვდება თიხის ჭურჭლის ყურის ფრაგმენტებიც. ერთი მათგანი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის ყურის მსგავსია (3 — 6/122), ხოლო მეორე — შვერილიანი უფრო არქაული ჩანს (3 — 66/83; ტაბ. III). საინტერესო მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს მხრისა და ყელის საზღვარზე მეჭეჭებით გარშემოყოლებული ორნამენტით შემკული ჭურჭლის ფრაგმენტები. ჭურჭელს ეტყობა ცეცხლში ყოფნის კვალი; თიხის კეცი ოდნავ გადაშლილ პირთან თხელდება. ხოლო ძირისაკენ თანდათან სქელდება. ჭურჭელს აქვს ადრებრინჯაოს ხანის ჭურჭლისათვის დამახასიათებელი ფორმა: გამობერილი მუცელი, ოდნავ გადაშლილი პირი. ძირი მომრგვალოა, (3 — 66/193). განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მთლიანად დაჩვრეტილი უძირო ჭურჭელი, რომლის მსგავსიც სამელე კლდეში ადრე არ შეგვხვედრია. იგი ალბათ ნალვერდლის შესანახის, ანუ საცეცხლურის დანიშნულებას ასრულებდა (3 — 66/127); მისი სიმაღლე 13 სმ-ია; პირის უმცირესი დმ — 4,5 სმ; მუცლის დმ — 10,6 სმ; ქვედა პირის დიამეტრი — 10 სმ (ტაბ. IV). კერამიკულ მასალასთან ერთად აღმოჩნდა თიხის გამომწვარი, უფორმო, ერთმანეთში აზეული ჭურჭლის ყურის ფრაგმენტების შემცველი გუნდა, რომელიც, ალბათ როგორც წუნი, ცეცხლში გადაუგდიათ. ქილისებური მოყვანილობის ჭურჭლებს შორის გვხვდება ოდნავ გადაშლილი პირიანი, გამობერილი მუცლიანი და მრგვალძირიანი თიხის უხეშად გამომწვარი ქილა, წარმოდგენილი ორი ფრაგმენტით (3—66/196). ზემოთ ჩამოთვლილი მასალა აღმოჩნდა n_7 , s , l_7 , m_7 კვადრატებში — 1,25 — 2,50 მ სიღრმეზე.

I ჰორიზონტი მდიდარია როგორც ორნამენტირებული, ისე უორნამენტო თიხის კვირისტავებით (28 ერთეულამდე). ყველა კვირისტავის სათითაოდ აღწერა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, ამიტომ გამოვყოფთ მხოლოდ ისეთებს, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ფორმითა და ორნამენტაციით. ერთ-ერთი კვირისტავი შემკულია ჭდეული წერტილოვანი ორნამენტით. წერტილების ერთი წყება გარშემოუყვება კვირისტავს, ხოლო დანარჩენი წერტილები ერთმანეთისაგან დაცილებით, ვერტიკალურადაა განლაგებული; კვირისტავის სიმაღლე 3,7 სმ-ია, დმ — 4,2 სმ; გამომწვარ თიხაში შეიმჩნევა წვრილი ქარსი (3—66/15). ასეთივე ჭდეული წერტილოვანი ორნამენტითაა შემკული მეო-

რე კვირისტავი (3—66/59), ოღონდ იმ განსხვავებით, რომ წერტილები აქ სხივისებურადაა განლაგებული; მისი სიმაღლე 1,5 სმ-ია; დმ—4,8 სმ. კვირისტავეს შორის გვხვდება ვერტიკალურად განლაგებულ ჰდელულ ხაზებს შორის მოთავსებული წერტილოვანი ჰდელული ორნამენტით შემკულიც (3—66/93); მისი სიმაღლე 3,4 სმ-ია; დმ—5,7 სმ. ერთ კვირისტავეზე ასტრალური გამოსახულებაა აღბეჭდილი (მზის?) (3—66/185); მისი სიმაღლე 2, 2 სმ-ია; დმ—5,00 სმ (ტაბ. V). ორნამენტაციაში ვხვდებით აგრეთვე ვიწრო, პარალელურ ჰდელულ ღარებსაც (3—66/187). ჩვენ მიერ აღწერილი ინვენტარი აღმოჩნდა $\text{III}_{7,8} = 7,8$ კვადრატებში 1.70—2.40 მ სიღრმეზე.

სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ინვენტარიდან წარმოდგენილია სამი ხელსაფქვავე.

I ჰორიზონტი იწყება — 1,30 მ-დან და თავდება 2,50 მ სიღრმით. II ჰორიზონტი III_7 კვადრატში იწყება — 2,25 მ-დან. იგი გადამწვარია, ნაცროვანი, მტვრადქცეული. მისი ქვედა დონე, ისევე როგორც I ჰორიზონტისა, წარმოდგენილია მოლესილი იატაკით, რომელიც ხშირ შემთხვევაში დარღვეულია და ფრაგმენტალურადაა შემორჩენილი. II ჰორიზონტმა პირველთან შედარებით მეტი რაოდენობით მოგვცა როგორც კაჟის, ძვლისა და რქის, ისევე კერამიკული მასალა. სამაგიეროდ, ქვის იარაღებისა და კვირისტავეების რაოდენობა ამ ჰორიზონტში კლებულობს.

კაჟის მასალიდან აღსანიშნავია ანატკეც-ანამტვრევეები, ლამელები, ნუკლეუსები ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკები, ისრისპირები, შუბისპირი და სხვ. რომელთა საერთო რაოდენობა 34 ერთეულს შეადგენს. მათგან მოკლედ დავახასიათებთ მხოლოდ ზოგიერთ იარაღს.

საფხეკი კაჟისა, მოყავისფრო-მონაცრისფრო, ოვალურსამუშაოპირიანი, ნაკეთები ორფერდა ანატკეცზე; სიგრძე — 5,1 სმ; სიგანე — 3,5 სმ; სისქე — 1,3 სმ (3 — 66/34). მეორე საფხეკი — მოყავისფრო კაჟისა, ნაკეთებია ანატკეცზე, რომელსაც შერჩენილი აქვს ბუნებრივი კანი; მისი სიგრძეა 7,6 სმ; სიგანე — 2,4 სმ; სისქე — 0,7 მმ (3 — 66/33). ერთ-ერთი საფხეკი კირქვიერი კაჟისაა, ოთხკუთხა მოყვანილობის, დამუშავებული აქვს ოთხივე გვერდი; სიგრძე 4,7 სმ-ია, სიგანე — 3,2 სმ; სისქე — 1,5 სმ (3 — 66/5). საფხეკებიდან ერთი მცირე ზომისაა, უხეშად დამუშავებული, შერჩენილი აქვს ბუნებრივი კანი. კაჟის ინვენტარიდან უნდა დავასახელოთ მოყავისფრო-მონაცრისფრო დანიშნულებური იარაღი, ნაკეთები ნუკლეუსის გრძივ ანატკეცზე; იარაღს სამუშაო პირი ფაქიზი რეტუშით აქვს დამუშავებული. მისი სიგრძეა 8,6 სმ; სიგანე — 2,1 სმ; სისქე — 0,9 მმ. საინტერესო მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს კაჟის შესანიშნავი შუბისპირი და ყუნწიანი ისრისპირი ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანისა. მოვარდისფრო-მოყავისფრო კაჟის შუბისპირის სიგრძე 12,1 სმ-ია; სიგანე — 2,7 სმ; სიგრძე — 1,1 სმ, ხოლო მოყავისფრო ყუნწიანი ისრისპირის სიგრძე — 9,4 სმ; სიგანე — 3,00 სმ; სისქე — 0,7 მმ.

ზეძოთ აღწერილი მასალა აღმოჩნდა I_7 , III_7 , IV_7 კვადრატებში — 2,20 — 2,40 მ სიღრმეზე.

II ჰორიზონტში ქვის იარაღების რაოდენობა კლებულობს, ისინი წარმოდგენილია სათლელისებური და სატეხისებური იარაღებით. ერთი მათგანი — სათლელისებური იარაღი ორმხრივლესილია, ნაწილობრივ გახეხილ-გაპრიალებული, ზედა ნაწილისაკენ თანდათანობით ვიწროვდება, ცალი მხარე მეტად აქვს

დაჩეჩქვილი, ვიდრე მეორე; მისი სიგრძეა 8,1 სმ; სიგანე—4,00 სმ, ხოლო სისქე—1,2 სმ (3—66/4). სატეხისებური, ანუ სოლისებური იარაღებიდან ერთის სიგრძეა 6,4 სმ; სიგანე — 3,9 სმ; სისქე — 3,4სმ. მეორის სიგრძე 5,5 სმ-ია; სიგანე — 3,9სმ; სისქე — 2,9 სმ. ქვის მასალიდან ყურადღებას იპყრობს რიყის ქვა გახვრეტის კვალითა და შიგ ჩარჩენილი ლითონის (რკინის?) კონკრეციის ნაშთით (3 — 66/43). ერთ-ერთ რიყის ქვას ეტყობა გამოყენების კვალი; იგი ორივე მხრიდანაა გადალესილი (3—66/44). საინტერესო მონაპოვარია კირქვისაგან ნაკეთები იარაღი; იგი მინიატურულ წერაქვს მოგვაგონებს. იარაღის გახვრეტა დაუწყიათ ორივე მხრიდან, მაგრამ აღარ დაუმთავრებიათ; მისი სიგრძე 6,9 სმ-ია; სისქე—1,6 სმ (3—66/137), (ტაბ. IV). ქვის მასალა აღმოჩნდა k_5 , l_7 , m_7 , n_7 კვადრატებში — 2,25 — 2,50 მ სიღრმეზე.

ძვლის იარაღებით II პორიზონტი პირველთან შედარებით მდიდარია. ძირითადად ვხვდებით სადგისებს, რომელთა უმრავლესობაც ნაკეთებია ლულოვანი ძვლისაგან. ერთის სიგრძეა 9,8 სმ; სისქე—0,5 მმ (3 — 66/47). გვხვდება ისეთებიც, რომელთაც შერჩენილი აქვთ ეპიფიზი (3—66/48; 3—66/103). ერთ-ერთი სადგისი გამოირჩევა დამუშავების დახვეწილი ტექნიკით (3 — 66/133); მისი სიგრძეა 9,3 სმ; სისქე — 0,6 მმ. კარგადაა დამუშავებული სხვა სადგისებიც, ეპიფიზიანი (ტაბ. IV).

ძვლის იარაღებთან ერთად ჩნდებოდა რქის ინვენტარი, ძირითადად ირმის რქისაგან ნაკეთები იარაღები. ასეთებია, მაგალითად, ირმის რქის შესანიშნავი სადგისი, რომელსაც ორი შვერილი აქვს დამუშავებული (3—661); ბულ ნაწილში იგი გახვრეტილა. იარაღის სიგრძე 14,8 სმ-ია; სიგანე — 13,1 სმ; ტაბ. VI. მისი სიგრძე 21,00 სმ-მდე აღწევს, ხოლო სისქე 1,3 სმ-ია. გვხვდება მიწის საჩიჩქნისმაგვარი იარაღიც — ირმის რქისა (3 — 66/131); გაფართოებულ ნაწილში იგი გახვრეტილია. იარაღის სიგრძე 14,8 სმ-ია; სიგანე—13,1 სმ; სისქე — 2,5 სმ (ტაბ. IV).

ძვლისა და რქის იარაღები მოპოვებულია k_5 , l_7 , $m_{7,8}$, n_7 კვადრატებში — 2,25—2,50 მ სიღრმიდან. როგორც აღრევე აღვნიშნეთ, ორნამენტირებული და უორნამენტო კვირისტავეების რაოდენობა II პორიზონტში საგრძნობლად კლებულობს. მათი რიცხვი 12 — 13 ერთეულს შეადგენს. მათგან ერთი შემკულია ფრჩხილისებური კდეული ორნამენტით (3 — 66/92), ხოლო მეორე — ზომოფორული კდეული გამოსახულებით (ფრინველის, ან ცხოველის), (3—66/107). კვირისტავეები აღმოჩნდა m_7 და n_8 კვადრატებში — 2,30 — 2,60 მ სიღრმეზე (ტაბ. VII და VIII).

II პორიზონტში მოპოვებული კერამიკული მასალა ანალოგიურია I პორიზონტის მასალისა, იმ განსხვავებით, რომ II პორიზონტში მეტი რაოდენობით ვხვდებით ენეოლითური ხანის თხელკეცა, წითლადშეღებილი სხვადასხვა ზომის ჭურჭლის ფრაგმენტებს, რომელთაც წვრილი ქარსი აქვთ შერეული. ზოგიერთის ფორმები აღდგენილია. მრავლადაა წარმოდგენილი უხეშად ნაზელი თიხისაგან ნაკეთები ჭურჭლების ფრაგმენტები (პირის, ძირის და კედლების). ჭურჭლების უმრავლესობა ქილისებური ფორმისაა, კეცი სხვადასხვა სისქის. სქელკეციანი ჭურჭლის თიხაში შეიმჩნევა წვრილმარცვლოვანი კვარცის მინარევი. მრგვალიძირიანი და ქუსლიანი ჭურჭლების კეცის მაქსიმალური სისქე — 2,2 სმ-ია. გვხვდება თხელკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტებიც. ასე მაგალითად, ზოგიერთი ქილისებური მოყვანილობის ჭურჭლის კეცის სისქე არ

აღმატება 0,5 — 0,8 მმ-ს. კურკლების პირი ხშირ შემთხვევაში სწორია, ზოგჯერ მეტ-ნაკლებად გადაშლილი. ჩნდებოდა დბკდევებულპირიანი და პირთან ნაჩვრეტებით გარშემოყოლებული კურკლის ფრაგმენტებიც (ტაბ. VIII). ერთ-ერთი ფრაგმენტი შიგნიდან შემკულია ტალღისებური ქდეული ორნამენტით.

II ჰორიზონტში — 2,25 მ სიღრმეზე K_5 კვადრატში აღმოჩნდა თიხის მინიატურული კოჭობი, რომელსაც პირი დაზიანებული აქვს. კურკელი წითლად შეღებილია, თხელკეცა, კონუსისებური ფორმის, ოდნავ გადაშლილი პირით; თიხას წვრილი ქარსი ურევია. იგი ადრებრინჯაოს ხანისას ჰგავს. კოჭობის სიმაღლეა 4,5 სმ; პირის დმ — 3,7 სმ; მუცლის დმ — 5,9 სმ; (3—66/-43); (ტაბ. IV).

კერამიკული ნაწარმიდან საყურადღებო აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს n_5 კვადრატში — 2,60 მ სიღრმეზე ნახული ტიგელი, რაც იმის მაუწყებელია, რომ სამელე კლდეში უკვე ჩასახული უნდა ყოფილიყო ლითონის წარმოების ადრეული საფეხური. ამ ფაქტს კიდევ ერთხელ ადასტურებს n_7 კვადრატში — 2,50 მ სიღრმეზე აღმოჩენილი სპილენძის ოთხკუთხა განიკვეთიანი ისრისპირი, რომელიც სინქრონულია ქვაცხელებზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ისრისპირისა და უნდა დათარიღდეს ძვ. წ. III ათასწლეულით. ტიგელის სიმაღლე 4,9 სმ-ია; პირის დმ — 8,6 სმ (3—66/117). სპილენძის ისრისპირის სიგრძე — 3,8 სმ; ხოლო სისქე—0,2სმ (3—66/142). II ჰორიზონტში ხელსაფქვავებიდან მხოლოდ ერთი ეგზემპლარია.

III ჰორიზონტი სტრუქტურულად არ განსხვავდება მეორე ჰორიზონტისგან. n_7 კვადრატში იგი იწყება 2,90 მ სიღრმიდან⁴. აღმოჩენილი მასალიდან ჭარბობს კაყისა და რქის ინვენტარი. კერამიკით, ძვლისა და ქვის იარაღებით ეს ჰორიზონტი ღარიბია. ხელსაფქვავები სულ არ გვხვდება. კაყის იარაღებიდან უნდა დავასახელოთ ოვალურსამუშაოპირიანი საფხეკები (3—66/230); (3—66/220); სამკუთხა ფორმის სახვრეტ-საფხეკი (3—66/234) და ნუკლეუსის განივ ანატკეცზე ნაკეთები იარაღი (3—66/219). თითქმის ყველა იარაღს ეტყობა ცეცხლში ყოფნის კვალი. კაყის მასალა შეიცავს აგრეთვე ლამელებს, ლამელისებურ ანატკეცებს, ანამტვრევებს და ნუკლეუსს. ობსიდიანისგან ნაკეთები ინვენტარიდან აღსანიშნავია ტრაპეცია (3—66/231).

დამუშავების მაღალი ტექნიკით გამოირჩევა ქვის სხვადასხვა ზომის სათლელისებური იარაღები. ერთი მათგანი ცალმხრივლესილი სამუშაოპირიანი ზედაპირი ნაწილობრივ აქვს გახეხილი. ალაგ-ალაგ ეტყობა ამტვრევის კვალი, ზედა ნაწილში ვიწროვდება. მისი სიგრძეა 14,8 სმ; სიგანე — 5,4 სმ; სისქე — 3,00 სმ (3—66/222). მეორე სათლელისებური იარაღიც ცალმხრივლესილია, კარგადაა გახეხილ-გაპრიალებული. სიგრძე — 5,00 სმ-ია, სიგანე — 3,1 სმ; სისქე — 1,6 სმ (3—66/224). დანარჩენი ორი იარაღი შედარებით უხეში ნაკეთობისაა, ეტყობა ამტვრევის კვალი (3—66/223; 3—66/232). III ჰორიზონტში — 3,10 მ სიღრმეზე მოპოვებული ქვის ინვენტარიდან ყურადღებას იპყრობს რიყის ქვის ნატეხი გამოყენების კვალით (3—66/225); ცალი მხარე გადალესილი აქვს, ხოლო მეორეზე შერჩენილია ღრმა ნაკაწრები. შესაძლოა

15566

⁴ 1967 წ.—3,5მ სიღრმეზე დადგენილ იქნა III იატაკის დონე.

2. საქ. სახ. არქ. მუზეუმის ექსპედიციები



ქვას იყენებდნენ სათლელისებური იარაღების პირის გასალესად და ზედაპირის გასაპრიალეზად. ზემოთ აღწერილი მასალა მოპოვებულია № კვადრატდან.

ძვლის იარაღებიდან გვხვდება სადგისი, რომელსაც ნაწილობრივ აქვს შერჩენილი ეპიფიზე. მისი სიგრძეა 10,7 სმ; სიგანე—1,8 სმ (3—66/226). მეორე იარაღი წარმოადგენს ვიწრო ღარიან სადგისს; სავარაუდოა, რომ ღარში მავრდებოდა კაეის, ან ობსიდიანის ჩასართები. ამგვარად, იგი ასრულებდა როგორც სადგისის დანიშნულებას, ისევე პატარა ხერხისებური იარაღისას. მისი სიგრძეა 9,2 სმ; სიგანე—0,6 სმ; სისქე — 0,5 სმ; მასალა აღმოჩნდა I⁶ და II⁸ კვადრატებში — 3,10 — 3,15 მ სიღრმეზე.

რქის იარაღებიდან დავასახელებთ მხოლოდ ორს, ვინაიდან დანარჩენები ცუდადაა შემონახული. ერთ საჩიჩქნისებურ იარაღზე, რომელიც ირმის რქისაგანაა ნაკეთები, შეიმჩნევა გახვრეტის დაწყების კვალი. მისი სიგრძე — 2,17 სმ-ია; სისქე — 3,1 სმ (3—66/169). მეორე საჩიჩქნისებური იარაღი ზედა ნაწილში გახვრეტილია; სიგრძე 10,3 სმ-ია; სიგანე — 1,7 სმ, ხოლო სისქე — 1,5 სმ. ირმის რქისაგან ნაკეთებ დანარჩენ იარაღებსაც აშკარად ეტყობა დამუშავებისა და გამოყენების კვალი. ისინი ჩნდებოდა I₆ და III₇ კვადრატებში — 3,20 მ სიღრმეზე.

III პორიზონტში კვირისტავეები თითქმის სულ არ გვხვდება, მხედველობაში თუ არ მივიღებთ ორად ორ უორნამენტო კვირისტავს. კერამიკაც ძალზედ მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. აქ გვხვდება თიხის ქილისებური კურკლის გადაშლილი პირის, დაჭდევებული, თხელკედლიანი და სქელკედლიანი ძირის ფრაგმენტები. ხელსაფქვავეები ქრება.


იატაკის დონეზე დიდი რაოდენობით ჩნდებოდა ფაუნისტური მასალა, ძირითადად სხვადასხვა ცხოველების დამტვრეული ძვლები, „ნასუფრალი“. ძვლოვანი მასალა ოსტეოლოგიურად ჯერ შესწავლილი არ არის. სამეღე კლდეში ჭარბობს ღორისა და ხარის ქვედა ყბების ფრაგმენტები.

I, II და III პორიზონტებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა (კერამიკა, კაეი, ქვის, ძვლისა და რქის იარაღები) თავისი ფორმებით, ფაქტურით, დანიშნულებითა და საერთო იერით მსგავსია კიკეთში, საგვარჯილეში, შულავერში. ხიზანაანთ გორის ქვედა ფენაში და სამერცხლე კლდის ზედა პორიზონტში მოპოვებული ინვენტარისა, მაგრამ თავისი არქაულობით წინ უსწრებს მათ. ე. ი. უფრო ადრეულია. სამეღე კლდეში 1966 წელს ჩატარებულმა სამუშაოებმა დაგვანახა, რომ I კულტურული ფენის შემცველი პორიზონტები მიეკუთვნება ენეოლითის ხანას.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ო. ჯაფარიძე თავის ნაშრომში სამართლიანად აღნიშნავს, რომ „დასავლურ-ქართული ნეოლითი თავისებურ სახეს ატარებს“⁵. კერამიკული მასალის წინასწარი შესწავლის საფუძველზე, ჩვენი აზრით, იგივეს გამეორება შეიძლება დასავლურ-ქართული ენეოლითის შესახებ. იგი ნაკლებად უკავშირდება აღმოსავლეთ ამიერკავკასიურს. შეიძლება ამით აიხსნება ის გარემოება, რომ უშუალო კავშირი ენეოლითურ და ადრეპრინჯაოს ხანებს შორის ჯერჯერობით მკაფიოდ არა ჩანს.


ნივთიერი მასალის წინასწარი შესწავლის საფუძველზე გამოქვაბული სამეღე კლდე უნდა დათარიღდეს ჩვ. წ. აღ-მდე V—IV ათასწლეულით.

⁵ ო. ჯაფარიძე, ლითონის წარმოების ადრეული საფეხური საქართველოში. გვ. 30




სურ. I


ტაბულა II




სურ. 1




სურ. 2




სურ. 1




სურ. 1



სურ. 1




სურ. 1



სურ. 1

ტიბულა VIII



სურ. 2

სურ. 1

О. М. ДЖАПАРИДЗЕ, А. И. ДЖАВАХИШВИЛИ

РЕЗУЛЬТАТЫ РАБОТ КВЕМО-КАРТЛИЙСКОЙ АРХЕОЛОГИЧЕСКОЙ ЭКСПЕДИЦИИ (1967 г.)

Квемо-Картлийская объединенная археологическая экспедиция Государственного Музея Грузии и Тбилисского государственного Университета в 1967 году провела третью кампанию полевых работ в окрестностях Шулавери (Марнеульский район ГССР)¹. Основной задачей, поставленной в отчетном сезоне перед экспедицией являлось проведение раскопок на Имирис-гора — одном из раннеземледельческих поселений правобережья р. Храми, разведенного в предыдущем году. Полевые работы продолжались 2 месяца, со 2-го сентября, по 31 октября².

Имирис-гора находится непосредственно на левом, обрывистом берегу речки Шулаверис-геле, в километре с небольшим от места ее впадения в р. Храми (правым притоком которой она является), в шестистах метрах южнее ее поймы и находящегося здесь же села Имири.

Имирис-гора представляет собой возвышенность, возникшую вследствие продолжительного существования на одном месте поселения (табл. I, 1). Она повышена над окружающей плодородной долиной на 4 м и достигает в диаметре 90 метров; Шулаверис-геле подмывает восточный край холма, высотой около 6 метров.

Подобных поселений здесь немало; лишь по нижнему течению вышеназванной речки в пределах 6 км² находится четыре поселения, отдаленных друг от друга не более чем на полтора километра. Три жилых холма находятся в двух-трех километрах юго-восточнее Имирис-гора.

В 1966 году на Имирис-гора были заложены две разведочные траншеи, показавшие, что почти у самой его поверхности начинается древ-

¹ Отчет двух первых кампаний см. О. М. Джапаридзе, А. И. Джавахишвили, Результаты работ, Квемо-Картлийской археологической экспедиции (1965—1966 гг.); „Мацне» (Вестник) Отд. Общ. наук АНГССР, 3(36), стр. 292—298. Тбилиси, 1967, (на груз. яз.).

² В экспедиции участвовали: О. М. Джапаридзе (нач. эксп.), А. И. Джавахишвили (зам. нач.), Л. И. Глonti (нач. отряда), мл. н/с М. Менабде, Н. Хоситашвили, А. Церетели, Г. Авалишвили, Н. Калмахелидзе, М. Казишвили, М. Кецохвели, ст. лаборант Т. В. Кигурадзе, Ю. Пинаев (фотограф), У. Чагунава (архитектор) З. Д. Амoeв (водитель).

ний строительный горизонт, сильно потревоженный могильником позднего—христианского времени и единичными погребениями эллинистического периода³.

Стремясь получить по возможности полный стратиграфический разрез поселения, в отчетном сезоне на Имирис-гора был заложен один радиальный раскоп, от центра холма к восточному его краю, общей длиной в 49 метров; причем, в раскоп попали вышеупомянутые разведочные траншеи. Ширина раскопа в средней части достигает 5 м, в восточном и западном же концах он расширен в виде небольших площадок, размером, соответственно в 108 и 92 м²; максимальная глубина, достигнутая здесь, пока не превышает трех метров от поверхности земли (табл. 1, 2).

В центральной части холма, находилось погребение, такого же типа, как и остальные курганы, ранее исследованные экспедицией в этом районе. Непосредственно под 70 сантиметровым слоем перемешанных и утрамбованных развалин сырцовых сооружений обнаруживаются остатки самих строений. За сезон удалось выявить и изучить всего 17 сооружений, относящихся к разным строительным горизонтам, о количестве и чередовании которых мы можем судить лишь предворительно, так как площадь раскопа весьма органичена и он пока нигде не доведен до грунта. Все же, напластования жилых комплексов, позволили установить достоверно существование 6 строительных горизонтов; до получения полного стратиграфического разреза, мы вынуждены пронумеровать эти горизонты сверху вниз, следовательно, к первому горизонту отнести строения № 1, 2, 4, 5, 6; ко второму — № 3, 7, 11, к третьему — подстилающий их зольный слой, со следами разрушенного сырцового сооружения, виднеющегося в восточной его оконечности в северной стене раскопа; к четвертому — фрагмент здания № 15 с соответствующим ему, вторым сверху зольным слоем; к пятому — фрагменты строений № 13, 14, 16 и соответствующий им зольный слой, третий сверху; к шестому — строение № 8 с прилегающими к нему фрагментами разных сооружений. К сожалению, собственно стратиграфические данные не позволяют с необходимой уверенностью отнести к определенному строительному горизонту наиболее значительное из выявленных зданий № 9—10 и сооружение № 12. По всей видимости, здание № 9—10 моложе здания № 8, так как оно перерезает не только северо-восточный край последнего, но и спущенное здесь после его разрушения погребение.

Для уточнения стратиграфии памятника, на данном этапе определенное значение имеют как вещественные материалы, так и своеобразия плана, конструкций и общий характер жилых зданий и хозяйственных сооружений.

სამადლოს გორა მთლიანად შედგება მომწვანო-მოყვითალო, ალაგ-ალაგ ოხრისფერი ალევროლიტების ფენებისაგან, რომელთაც ქვიშაქვის 1,5 — 2 მ სიმძლავრის შრეები ენაცვლება². საკრამიტე თიხად სწორედ ეს ალევროლიტები გამოიყენება. დღეს კარიერი თითქმის მთლიანად გამომუშავებულია და სამადლოს ბორცვის ზედაპირი დაუზიანებლად სულ სამ ადგილას-ლა გადარჩა: დასავლეთის ფერდობზე, ჩრდილოეთის ფერდობზე და სამადლოს აღმოსავლეთ ნაწილში. სამივე ადგილას ჩანს საკმაოდ მძლავრი კულტურული ფენა. გადარჩენილი ზედაპირის საერთო ფართობი 1500 მ² არ აღემატება.

ექსპედიციამ მუშაობა დაიწყო სამადლოს დასავლეთ ფერდობზე, რომელსაც პირობითად „სამადლო I“ ეწოდა. ექსპედიციის დაწყებამდე ტოპოგრაფიულად აიგეგმა სამადლოს მთელი ტერიტორია, ხოლო სამადლო I ზე-

¹ ი. გაგოშიძე, ელინისტური ხანის მასალები სამადლოდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტომი XXVII-B, თბილისი, 1967.

² 1966 წ. ექსპედიციამ ველზე დაკყო 15 დღე (3—18/IX), ხოლო 1967 წ. 35 დღე (12 VIII—15 IX) შემდეგი შემადგენლობით: ხელმძღვანელი ი. გაგოშიძე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვ. ლეჟინაძე (1967 წ.), უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი ქ. ჯავახიშვილი, არქიტექტორი ვ. ჩაგუნავა (1966 წ.), ავტომატის მძღოლები ზ. ამოევი (1966 წ.) და ჯ. ტურაშვილი (1967 წ.) აგრეთვე 1967 წ. ნ. ჯავახიშვილი და მ. ჩაჩავა. 1967 წელს სველე ანაზომები შეასრულა ვ. ლეჟინაძემ.

³ განსაზღვრა თ. მორჩაძემ.

დაპირი 4 მ×4 მ ზომის კვადრატებად დაყავით. ბადე ორიენტირებულია ქვე-
ყნის მხარეების მიმართულებით და ლათინური მთავრული ასოებითაა აღნიშ-
ნული (ტაბ. I, 1).

სამადლო I დასავლეთისაკენ მიმართული, ძლიერ დაქანებული ვიწრო
ფერდობია (სიგრძე 72 მ, სიმაღლეთა სხვაობა 25 მ). იგი ყოველი მხრიდან
კარიერის გამონამუშევრის ღრმა, ვერტიკალური ფლატეებითაა შემოსაზღვ-
რული. კრილში ყველგან ჩანს კულტურული ფენა, ზედაპირი მოფენილი
იყო კერამიკული, უმთავრესად წითლად შეღებილი კრამიტების ნატეხებით.
სამადლო I ძირში მოწყობილია თიხის გასაზიდი საბაგირო გზის ზედა სად-
გური. სწორედ აქ 1912 წელს აღმოჩნდა მდიდრული სამარხი.

სამადლო I ზედაპირზე ჯერ კიდევ გათხრების დაწყებამდე შეიმჩნეო-
და სამი ტერასა — ერთი ქვედა (დასავლეთით) და ორიც ზედა ნაწილში. პირ-
ველ ტერასაზე სამაროვანი იყო მოსალოდნელი, ზედა ორზე კი ნაგებობები.
მეორე ტერასის წინაპირზე, სამადლო I შუა ნაწილში, მის მთელ სიგანეზე
ნახანძრალი კედლის — ჩვენი ვარაუდით, თავდასაცავი ნაგებობის — კვალი
ჩანდა. ექსპედიციამ გათხრები აწარმოა ორ უბანზე: ნახანძრალ კედელთან
და სამადლო I ქვედა, დასავლეთ ბოლოზე, სადაც გაითხარა აკლდამა.

აკლდამა მდებარეობს ძირითადად CA და DA კვადრატებში, თუმცა
ნაწილობრივ შედის მეზობელ CB, DB და EA კვადრატებში, ორიენტირებუ-
ლია აღმოსავლეთიდან დასავლეთით, საგრძნობი გადახრით ჩრდილოეთისა-
კენ (ტაბ. II). აკლდამა თიხნარში ამოკვეთილ 4 მეტრამდე სიღრმის ორმოში
ჩადგმული ოთხკუთხა ნაგებობაა, ზომით 5,5×4 მ. კედლები ნაშენებია
ფლეთილი, ოდნავ შესწორებული ფილაქვებით, ცალპირად, წყობის რიგებ-
ში დაყოლებულია ხის ძელები (ტაბ. III, 1). წყობა სუფთაა, აშკარად გაუ-
ვალისწინებელი დასანახავად: ბრტყელი ფილაქვების რიგები ყოველ 70—80
სმ-ზე შეწყვეტილია დიდი ზომის კვადრატული ქვებით. კვადრატული ქვები,
რომელთაც კონსტრუქციული დანიშნულება აქვთ, მკაცრად ერთმანეთის ქვე-
შაა მოქცეული და დეკორატიულობას ანიჭებს კედლებს.

კედლების სიმაღლე ორ მეტრს აღემატება. გადახურული უნდა ყოფი-
ლიყო აკლდამა ხის ძელებით.

აკლდამა დასავლეთი ფასადით (სავარაუდოა, რომ მას მეორე, წინა სა-
თავსოც კი გააჩნდა) თავის დროზე, ალბათ, მიწის ზედაპირზე გამოდიოდა.
აქვე უნდა ყოფილიყო აკლდამაში შესასვლელიც, მაგრამ, სამწუხაროდ, აკლ-
დამის სწორედ დასავლეთი კედელი და სამხრეთი კედლის დიდი ნაწილი დაუ-
ზიანებიათ ხუთიოდე წლის წინ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გადატანის
დროს. გადარჩენილი სამივე კედელი, როგორც აღვნიშნეთ, ორმოში ზის. 7 მ
სიგანის ორმოს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ქვიშაქვის ვერტიკალური
ფენები საზღვრავენ, ძირი კი ლურჯი ფერის ხელუხლებელ თიხაზე აქვს. აკლ-
დამის სამივე კედლის უკან ორმოს ნაპირებამდე დარჩენილი სივრცე შევსებუ-
ლია თიხაში არეული წვრილი რიყის ქვის ბეტონისებური მასით.

აკლდამის ძირი დაფარულია უშუალოდ გრუნტზე (ლურჯ თიხაზე) დაწყო-
ბილი წვრილი რიყის ქვის ერთი ფენით, რომელსაც ზედ ადევს ნამკანარევი
წმინდა თიხის მოტყეპნილი, ძალიან მაგარი ათსანტიმეტრიანი ფენა. უშუა-
ლოდ სწორედ ამ თიხატყეპნილზეა დადგმული სამარხი ნაგებობები — ხის
სარკოფაგები.

აკლდამაში ორი სამარხი იყო მოწყობილი. ორივე წარმოადგენდა ხის ყუთს, ხისავე სახურავით: ხის ნაშთები კარგად შეიმჩნეოდა, განსაკუთრებით სამარხის ძირზე. სიგრძით ორივე სარკოფაგი 3 მ იყო, სიღრმით — 0,60 მ, მაგრამ განსხვავდებოდნენ სიგანით: ჩრდილოეთი სარკოფაგის სიგანე იყო 2 მ, სამხრეთისა — 1,7 მ. სარკოფაგებს შორის, ისევე როგორც სარკოფაგსა და აკლდამის კედლებს შორის დარჩენილი სივრცე შევსებული იყო თიხაში არეული წვრილი რიყის ქვით. სხვათა შორის აკლდამის კედლების შიდაპირი, იქ სადაც მას რიყე ფარავდა, თიხის 1 სმ სისქის ფენით იყო შელესილი, ისე, რომ რიყე უშუალოდ კედელს არ ეხებოდა.

სამხრეთი სამარხი სრულიად ცარიელი აღმოჩნდა, თუ არ ჩავთვლით თიხის ქურჭლის და კრამიტების რამოდენიმე ნატეხს და ძვლის ცალკეულ ფრაგმენტებს, აგრეთვე ხის სარკოფაგის ნაშთებს. ჩრდილოეთი სამარხი კი ადამიანთა ჩონჩხებით იყო სავსე. ჩონჩხები იწვა ორ რიგად, თავშექცევით, ფეხებით ორმოს შუისაკენ. საკმაოდ თავისუფლად. 5 ჩონჩხს თავი დასავლეთით ჰქონდა, ორს — აღმოსავლეთით, მერვე ჩონჩხი ამოგდებული იყო ორმოდან. უთუოდ მძარცველების მიერ, და სარკოფაგებს შორის არსებულ 0,80 მ სიგანე „ტიხარზე“ იწვა, გარდიგარდმო, აკლდამის აღმოსავლეთ კედელთან. ყველა დანარჩენი ჩონჩხი იწვა ოდნავ მოხრილი კიდურებით, გვერდზე, პირისახით სამხრეთისაკენ (გარდა № 3 ჩონჩხისა, რომელიც პირით ჩრდილოეთისაკენ იყო მიქცეული): ე. ი. თავებით დასავლეთის კედელთან მდებარე ჩონჩხები (№ 3-ის გარდა) იწვა მარჯვენა გვერდზე, აღმოსავლეთის კედელთან მდებარე კი — მარცხენა გვერდზე (ისევე, როგორც № 3).

ჩონჩხებს არეული ჰქონდათ კიდურების ძვლები. საყურადღებოა, რომ ყველა ჩონჩხს, მათ შორის სამარხიდან ამოგდებულ № 8 ჩონჩხსაც, ისევე № 3 ჩონჩხის გამოკლებით, მოძრობილი ჰქონდა ქვედა ყბა და თავის ქალებიდან საკმაოდ მოშორებით ეგდო. უნებლიედ იბადება კითხვა, მძარცველები შონეტებს ხომ არ ეძებდნენ, მით უმეტეს, რომ აკლდამის გაძარცვა ძალიან ადრე მომხდარა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ყველა მიცვალებული არ იყო ბოლომდე გახრწნილი: სამარხიდან ამოგდებული № 8 ჩონჩხის ხერხემალი დაშლილი არ არის.

ჩონჩხებთან აღმოჩნდა ბრინჯაოს ან ვერცხლის თითო პირშეუკვრელი, ალბათ, სათითვე რგოლი. გარდა ამისა ბრინჯაოს წვრილი მავთულის წყვილი საყურე რგოლი აღმოაჩნდა № 7 ჩონჩხს.

სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სარკოფაგის ძირზე აღმოჩნდა სკვითური ტიპის ბრინჯაოს ორფრთიანი, დეზიანი ისრისპირი და წითლად გამომწვარი თიხის პირმოყრილი ჯამი (ტაბ. 11). ჯამის კედლები ხასხასა წითელი წერნაქითაა დაფარული და ძირზე, შიგნით ამავე საღებავით ჯვარია გამოყვანილი.

აკლდამის გათხრის დროს მთელ სიღრმეზე საკმაოდ მკვრივ თიხნარში მრავლად გვხვდებოდა კრამიტისა და თიხის ქურჭლების მცირე ზომის ნატეხები. გარდა ამისა სამ ადგილას შეგვხვდა ჯგუფად ჩაღეწილი რამოდენიმე თიხის ქურჭელი: წითლად გამომწვარი ფართოყელიანი დოქები და ორყურა ქოთნები. აგრეთვე რელიეფური ვერტიკალური ზოლებით შემკული მურა ფერის, დიდი ზომის დერგი.

ძეორე უბანზე, სამადლო I შუა ნაწილში, ძირითადად. DK, DL, EK, EL, FK, FL, FM კვადრატებში ქვითნაგები დიდი ზომის კაპიტალური შენობა აღმოჩნდა. გამოვლინდა ნაგებობის მთელი დასავლეთი კედელი და ერთი სათავსოს ნაწილი. მისი ბოლომდე გათხრა სახსრების სიმცირისა და მიწის სამუშაოთა დიდი მოცულობის გამო ორი საანგარიშო სეზონის განმავლობაში ვერ მოხერხდა.

ნაგებობის დასავლეთი კედელი სრულიად შემთხვევით მთელ თავის თავ-დაპირველ სიგრძეზე გადარჩა: ჩრდილო ბოლოში იგი მიბჯენილია მალა ამო-ზიდულ კლდეზე, სამხრეთ ბოლოში კი აშკარად ჩანს კუთხე, სადაც კედელი აღმოსავლეთისაკენ უხვევს. კედლის სიგრძე თითქმის 20 მ-ია, სისქე კი 2,5 მ, გადარჩენილი სიმაღლე ზოგან 3 მ-ზე მეტია და არსად არ არის 2 მ-ზე ნაკლები. იგი 2 მ სიგანის და 0,70 მ სისქის ორი მართკუთხა განივკვეთიანი კონტრ-ფორსითაა გამაგრებული.

კედელი ნაგებია სპეციალურად შერჩეული ფლეთილი ქვითა და რიყის ქვით, ნამჯანარევი თიხის ხსნარზე, კონტრფორსების კუთხეები დიდი ზომის ოთხკუთხა შესწორებული ქვითაა ამოყვანილი, ასეთივე დიდი ზომის ქვებითაა დარღვეული შიგადაშიგ კედლის წყობაც: ეს ქვები წყობის რამოდენიმე რიგს აბამენ ერთმანეთთან. ხოლო კედლის პერანგს, რომელიც საკმაოდ სუფთადაა ამოყვანილი, „ბუტთან“, კედლის სისქესთან, სადაც უფრო წვრილი და შემთხვევითი ქვებია ნახმარი. კედელში წყობის სიმტკიცისათვის დატანებულია ხის ძელები, რომლებიც დამბალ-დანახშირებულია და ამდენად კედელი გაწმენდისთანავე ჩამონგრევის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მით უმეტეს, რომ შუა ნაწილში, კონტრფორსებს შორის, კედელი 4 მ-ზე მეტი სიმაღლის ნანგრევების სიმძიმის ქვეშ გადმოწოლილი და გაბზარული იყო.

კედელი გარედან შელესილი ყოფილა 2 სმ სისქის ბუნარევი თიხით.

კარიერის გამონამუშევრის ფლატეზე გადაკიდებული სამხრეთი კედლის გარეპირი ჩაშლილია, მაგრამ კარგად გამოიკვეთა ამ კედლის შიდაპირი ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის სათავსოში. სამხრეთი კედელიც 2,5 მ სისქისაა და ისევეა ნაგები, როგორც დასავლეთის კედელი. მისი ზედა ნაწილი შეიძლება ალიზით ყოფილიყო ნაგები; სათავსოს გაწმენდის დროს მრავლად გვხვდებოდა გამომწვარი ალიზის ნატეხები.

4 მ სიგანის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის სათავსო თითქმის 7 მ-ის სიგრძეზე მოიხაზა, მაგრამ მისი ბოლომდე გამოვლენა ვერ მოესწრო. ამ სათავსოს ჩრდილოეთით, მისგან, 2,5 მ სისქის კედლით გამოყოფილია მეორე სათავსო, რომელიც მთლიანად ამოვსებული იყო კედლების დამწვარი ნანგრევებით, დანახშირებული ხის ძელებით, გადამწვარი ალიზით, სიმხურვალისაგან დაწითლებული რიყის ქვებისა და გაფხვიერებული ქვიშაქვის ნატეხებით. ხანძრისაგან, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი ყოფილა სწორედ ამ სათავსოში, ჩამოშლილია სათავსოს კედლების შიდაპირიც.

კონტრფორსებიანი ნაგებობის წინა (დასავლეთით) ფართობი, კედლის ძირას მთლიანად დაფარული იყო ამავე ნაგებობის სახურავიდან ჩამოზვავებული კრამიტების თითქმის 1 მ სიმაღლის ფენით (ტაბ. III, ე). როგორც ჩანს, კრამიტები ერთბაშად ჩამოცვივდა ცეცხლმოდებული ნაგებობის სახურავიდან და მაშინვე დაიფარა ამავე ნაგებობის კედლების ნანგრევებით და შემდგომში არ გადაადგილებულა: თითქმის ყველა კრამიტი აღდგა, ან აღდგება.

კრამიტების ასეთივე ერთიანი ფენა აღმოჩნდა კუთხის სათავსოშიც. აქ კრამიტების ფენა გავწმინდეთ და არ აგვილაგებია, ისე წავაყარეთ მიწა, რადგანაც სათავსო მთლიანად არ იყო გამოვლენილი.

კრამიტებს გარდა ორივე სათავსოში აღმოჩნდა წითლად გამომწვარი, დიდი ზომის, თხელკედლიანი ქვევრების ნატეხები. არის წითელი საღებავით მონატული ქვევრების ნატეხებიც.

ჩრდილო კონტრფორსის სამხრეთ კუთხეში კრამიტების ქვეშ აღმოჩნდა წითლად გამომწვარი თხელკედლიანი ბრტყელძირა, თითქმის შვეულკედლებიანი თიხის ჭურჭლის ქვედა ნაწილი, ხოლო კუთხის სათავსოში, FM კვადრატში, ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ნახევარი წითლადგამომწვარი კეცისებური ჭურჭლისა, რომლის ძირზეც, გარედან წითელი წერნაქით გეომეტრიული სახეებია გამოყვანილი.

სამადლო I ზედაპირზე დიდი რაოდენობით აიკრიფა კერამიკული ფრაგმენტები. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხები, რომლებზედაც წითელი წერნაქით დახატულია ცხენების, გრიფონის, სტილიზებული მხედრისა და სხვა გამოსახულებათა ნაწყვეტები, რომელთა ერთმანეთზე მორგება ჯერჯერობით არ ხერხდება. მაგრამ ყველა ამგვარი ფრაგმენტი ერთ, FO კვადრატში აღმოჩნდა და, იმედია, აქვე აღმოჩნდება ამავე ჭურჭლის სხვა ნაწილებიც.

არქეოლოგიურ მონაპოვარში ყველაზე დიდი რაოდენობით კრამიტებია წარმოდგენილი. კონტრფორსებიან ნაგებობასთან დაკავშირებული კრამიტების — სოლენებისა და კალიპტერების სიგრძე, „სტანდარტი“ 58 სმ-ია, მაშინ როცა სამადლოზევე, ოღონდ სხვა ადგილას, 67 სმ სიგრძის კრამიტებიც აღმოჩნდა. კონტრფორსებიანი ნაგებობის სახურავის კეხი დაფარული ყოფილა დიდი დიამეტრის მქონე ღარისებრი, სპეციალური კეხის კრამიტით.

სამადლო I გამოვლენილი ძეგლები წინასწარულად ელინისტური ხანით უნდა დავათარილოთ. ერთ-ერთი ჩვენთვის ცნობილი ძეგლი საქართველოში, რომელიც ზედმიწევნით ჰგავს სამადლოს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ურბნისის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესწავლილი კიბეებიანი ნაგებობაა, ზიზანაანთ-გორაზე (მონატული კერამიკა, ქვევრები, კრამიტები, კედლების წყობა და ხანძრის ხასიათიც კი). ზიზანაანთ-გორის კიბეებიან ნაგებობას გამთხრელები ძვ. წ. IV—III საუკუნით ათარიღებენ⁴.

⁴ ლ. კ ი ლ ა შ ვ ი ლ ი . ნაქალაქარი ურბნისი, თბილისი, 1964, გვ. 34; 3. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბილისი 1965, გვ. 17—22.

ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964—1966 წწ.
ჩატარებული მუშაოების შედეგები

1964 წ. გაზაფხულზე მუზეუმმა მიიღო ცნობა ქარელის რაიონის სოფ. ზღუდრის მცხოვრებ თეიმურაზ მედოშვილისაგან იმის შესახებ, რომ ხსენებულ სოფელში, მდ. ძამის მარცხენა ნაპირას, შემთხვევით აღმოჩნდა საინტერესო არქეოლოგიური მასალა.

აღმოჩენის ადგილის დათვალიერების შედეგად მართლაც დადასტურდა, რომ აღიღებულ მდინარეს გამოურეცხია მარცხენა ნაპირი და დაუზიანებია აქ არსებული ძველი სამაროვანი. ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ ნაპოვნი ნივთები ამ სამაროვანს განეკუთვნება.

იმავე წელს ურბნისის ისტორიულ-არქეოლოგიურ ექსპედიციას დაევალა დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება ზღუდრის ტერიტორიაზე, რისთვისაც გამოყოფილ იქნა საგანგებო რაზმი, წინამდებარე ანგარიშის ავტორის ხელმძღვანელობით¹.

ტერიტორია, რომელზედაც გაიშალა მუშაობა წარმოადგენს, როგორც ითქვა, მდ. ძამის მარცხენა შემალღებულ ნაპირს, ე. წ. „სათემო ზვარს“ ანუ „გოჩაანთ კარს“, რომელიც გადადის ორ მეტნაკლებად მოზრდილ ბორცვში. სწორედ ამ ადგილას ძამას მარჯვნიდან ერთვის იმერხევის წყალი (ღვანანა), აქვეა გამართული ძამჭესის ჯებირი; ამის გამო ძამის მარცხენა ნაპირი აქ სისტემატურად და ინტენსიურად ირეცხება, ინგრევა (ტაბ. I, სურ. 1, 2).

ჩამორეცხილ ფლატეზე კარგად ჩანდა ჩამოშლილი სამარხის ნახშირიანი ფენა; სწორედ აქ უპოვნიათ სხვადასხვა ნივთები — მდიდრული სამარხის ინვენტარის ნაწილი: ოქროს ორი სამაჯური, მონეტები, ბეჭდები, ვერცხლის ლანგრისა და სარეცლის ფეხის ნატეხები და სხვ.

რაზმმა პირველ რიგში ჩამოშლილ და დამჯდარ ნაპირზე საკონტროლო სავალდებულო თხრილები გაავლო. ამის შედეგად აღმოჩნდა დანგრეული სამარხის ნაშთი, რომელიც ფართოდ გაშლილ ნახშირიან ფენაში ექცეოდა.

სამარხის ნაშთის ცენტრალური ადგილი დეფორმირებულ და დაზიანებულ ვერცხლის ლანგარს ეკავა. ამ ლანგრის კალთები შემკულია აკანთის ამოღარული ორნამენტით, რომელთა შორის, ზედა ნაწილში, ოქროთი დაფერილი

¹ რაზმში თავდაპირველად შედიოდა გ. ნემსაძე, თ. კილურაძე, ვ. ჩაგუნავა. შემდეგში მის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ: ალ. ჯავახიშვილი, გ. ნემსაძე, ლ. ლლონტი, ლ. საგინაშვილი, თ. კილურაძე, მ. მენაბდე, გ. ჯავახიშვილი, ქ. ჯავახიშვილი ე. გოგაძე, ლ. ფანცხავა, ა. აბრამიშვილი, მ. მექმარიაშვილი.

გირჩებია გამოსახული. ეს მდიდრული ორნამენტის ფართო არშია შემოზღუდულია დაფნის ფოთლოვანი ჩარჩოთი, რომელშიც ჩასმულია მოქრული გამოსახულება ელვისმპყრობელი არწივისა — ზევსისა. მსგავსი გამოსახულებიანი ლანგარი ბერსუმა პიტიახშის სამარხიდანაა ჩვენში ცნობილი [1, სურ. 29].

არწივიან ლანგართან იდო ძლიერ დაშლილი მეორე ლანგარი, ძირზე რთული ინკრუსტირებული ორნამენტითა და მცენარეული მოტივებით. საყურადღებოა, რომ ლანგარს კალთაზე შერჩენილი აქვს ბერძნული წარწერის ერთი ნაკლული სიტყვა XAPICAMH, რომელიც ბერსუმა პატიახშის ლანგარის წარწერის მსგავსად უნდა აღნიშნავდეს — მივუძღვენ, ვაჩუქე.

წარწერიან ლანგართან, S-ით იდო ვერცხლის დაზიანებული ორი პატარა ლამბაქი, ლანგარებს შორის კი — ოთკუთხეანი ოვკვეთიანი, ორმხრივ თავბრტყელი ვერცხლის სამსკვალი.


ამავე ნაშთში აღმოჩნდა ვერცხლის შესანიშნავი სურა, "შემკული აღმაცერი ტალღური ხაზებით (ბრიალებით) და მარაოსებრი ორნამენტით. მისი ბრტყელი ყური ორნაწილედია და ბოლოვდება სუროს ფოთლით.


ლანგარებიდან O აღმოჩნდა ვერცხლის გარსაკრავებიანი სარეცლის დაშლილი ფეხები, შედარებით პატარა ზომისა, და მასთან დაკავშირებული წვრილი ლურსმნები, ერთიც კოროდირებული ვერცხლის მონეტა, უენო აბზინდა და სხვა. აქვე იყო რამდენიმე ჭგუფი ძლიერ დაშლილი და დაფხვნილი მინის ჭურჭლებისა: მათგან გამოირჩევა ფრაგმენტების სახით შემორჩენილი სქელკედლიანი ლანგარის მსგავსი ჭურჭელი, რომელზეც საგულისხმოა იყოს წარწერა, და ფაცეტებიანი ჭურჭელი. არწივიან ჭურჭელზე იდო ოქროს ორი მძივმილაკი, ამოზიდულ თვალბუდეში ჩასმული ლალის თვლებით. ვერცხლის ჭურჭლებიდან NW აღმოჩნდა მინის ცისფერი მძივი და ფიგურული სანელსაცხებლე (გამოსახულია, თითქოს სილენი), რომლის მსგავსი ჭურჭლები ცნობილია გარნიდან, ქერჩიდან, დურა ევროპოსიდან, მცხეთიდან და სხვა. ასეთი ჭურჭელი II—III საუკ. სირიულ ნაწარმადაა ცნობილი (2, გვ. 76).

ნახშირიან ფენაში გათხრილი სამარხის ნაშთიდან დაახლოებით 0,8 მ მანძილზე NW მიმართულებით იყო ის გადათხრილი ადგილი, სადაც ზღუდრელებს შემოაღნიშნული ნივთები უბოვნიათ. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ სამარხის ნაშთში აღმოჩენილი ინვენტარი და ზღუდრელების მიერ მოპოვებული ნივთები ერთ სამარხეულ კომპლექსს შეადგენს. ამ სამარხში მიცვალებულის ჩონჩხიც ყოფილა. მას აღმოაჩნდა წყვილპორტრეტიანი ოქროს ბეჭედი (ტაბ. IV, 2), რომელსაც მკვეთრად გამოყოფილი პატარა ჰორიზონტალური მხრები აქვს და ოდნავ ამალღებულ თვალბუდეში ჩასმული გრანიტის (პიროპი) ოვალური თვალი, რომელზედაც ამოკვეთილია ახალგაზრდა ქალისა და წვეროსანი მამაკაცის პორტრეტები — ქალი პროფილში მარჯვნივ, მამაკაცი — მარცხნივ. ორივე პორტრეტი უდიდესი გემოვნებითაა შესრულებული. გამოსახულების ქვემოთ ბერძნული წარწერაა ΜΑΤΡΩΝΑ ΚΑΒΡΙΑΣ (მატრონა, კაბრიას). საფიქრებელია აქ გამოსახული იყოს ცოლ-ქმარი.

„წყვილი პორტრეტი რომაულ გლიპტიკაში II—III საუკ. ვრცელდება“ [3, გვ. 57]. ჩვენში წყვილპორტრეტიანი გემა აღმოჩენილია ასპარუგ პიტიახშის სამარხში, ძევახისა და კარპაკის გამოსახულებით.

აქვე უბოვნიათ ოქროს წყვილი, თავებგადახვეული მავთულოვანი სამაჯუ-





სურ. 1



სურ. 2

რი და ორი ასეთივე ბეჭედი (ტაბ. IV, 4, 5), რომელთაგან ერთს მთის ბროლის სფერული მძივი აქვს გაყრილი, ხოლო მეორეს — ოვალური თვალბუდე, რომელშიც ჩასმულია სარდიონის ქვაზე ამოკვეთილი გემა: არწივს კლანჭებში ჩაუჭერია კურდღელი და ჰკორტნის.

ამავე სამარხშია ნაპოვნი ვერცხლის პინაკის კალთებშეურჩენელი ძირი და მავთულოვანი პირი. ძირზე გამოსახულია მოოქრული აჯილა ცხენი საყურთხევლის წინაშე ტორაწეული. აქვეა აღმოჩენილი: ვერცხლის აბზინდები და სხვადასხვა შესაკრავი მოწყობილობის ნაწილები, ფართოდ ცნობილი გვიანანტიკური ხანის სამარხებიდან, ოქროს წყვილი მოთვალული ღუგმა (ტაბ. VII), სარეცლის გარსაკრავები, მინის ჭურჭლის ნატეხები და სხვა.

თ. მედოშვილის ცნობით, მიცვალებულს ვერცხლის სურა, ბალთებიანი ქამარი და ბევრი ვერცხლის ფული ჰქონდა.

ნუმიზმატიკური მასალიდან აღმოჩნდა 5 ცალი კარაკალას (211—217 წწ.) ოქროს მონეტა, ერთი კომოდის (180—192 წწ.) და ერთი ალექსანდრე სევერისა (222—235 წწ.): გოტარზე პართელის 5 დრაქმა და ავგუსტეს 4 დენარი².

როგორც ზემოთ ჩამოთვლილი მასალიდან³ ცხადია, გათხრილი ყოფილა პიტიახშთა რანგის გვიანანტიკური ხანის მდიდრული სამარხი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სამარხში ალექსანდრე სევერის მონეტაა აღმოჩენილი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამარხი III შუა პერიოდზე ადრეული არ არის, რასაც თვით კომპლექსში შემავალი არწივიანი და ცხენიანი ლანგარი, ნიღბიანი მინის ჭურჭელი, სამაჯურები, ბეჭდები და სხვა უჭერენ მხარს. ჩვენი ვარაუდით ეს სამარხი ხის (N 1) სარკოფაგია, რადგან ვერცხლის ჭურჭლებს ქვეშ დაკონსერვებული იყო ფიცარი.

ფლატეზე ჩამოშლილი სამარხის ნაშთის შესწავლის შემდეგ რაზმი შეუდგა მდინარის სანაპირო ქარაფის იმ ნაწილის გათხრას, რომელსაც ჩამონგრევა ემუქრებოდა, რადგან დასერილი იყო რამდენიმე პარალელური და დატოვილი ნაპრაღით.

აქ, № 1 სარკოფაგიდან 20 მ მანძილზე N აღმოჩნდა ხის სარკოფაგი № 2; ბზარი ამ სარკოფაგზეც გადიოდა, რის გამოც მისი S ნაწილი მნიშვნელოვნად ქვევით იყო დაწეული (ტაბ. II).

სარკოფაგში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული. მარჯვენა მიცვალებული, რომლის ჩონჩხი კარგად იყო შენახული. გულადმა გაშოტილი იწვა WO მიმართულებით, თავით დასავლეთით. იდაყვებში მოხრილი ხელები მუცელზე ეწყო. თავი ედო ვერცხლის პინაკზე, რომლის ძირზეც გამოსახულია ცეცხლიანი ბომონის წინაშე მდგარი ტორაწეული მოოქრული ცხენი (ტაბ. II). მიცვალებულის მარჯვენა მხართან კი იდგა ბრინჯაოს საცეცხლური (ბომონი), (ტაბ. III).

მიცვალებულს პირში ედო იმპერატორ გორდიანეს ოქროს მონეტა (238—244 წწ.). აქვე პინაკზე, იდო გახსნილრგოლიანი წყვილი საყურე, რომელზეც მიჩილულია ღერძაკი, ზედწამოცმული ოქროს ვარდულებით და მათ შორის მძივით. ასეთ „ღეროვან-რგოლოვან“ [1, გვ. 201] საყურეებს „არმაზისხევურ-

² ზღუდრის ყველა ნუმიზმატიკური მასალა განსაზღვრულია პროფ. დ. კაპანაძის მიერ.

³ ეს მასალა ინახება საქ. მუზ. წინაფეოდალური ხანის ს. მ. კ. ისტ. გან.-ში (კოლ. № 190—65).

საც“ უწოდებენ [4, გვ. 181]. საყურეების ეს ტიპი გავრცელებულია არმაზის-ხევის მეორე ჯგუფის სამარხებში და სამთავროშიც. იგი გვხვდება აგრეთვე კარსნისხევში, რუსთავეში, ახალგორში, ურბნისში, ზღუდერში და ქართლის მოგვიანო ხანის სხვა სამარხებშიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის საყურეების ადრინდელი ნიმუში ცნობილია არმაზისხევის ერისთავთა სამარხის III საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ № 2 სამარხში, მაინც მისი გავრცელება ქართლში III საუკუნის ბოლოს ივარაუდება [1, გვ. 202]. განსაკუთრებით ფართოდ გავრცელებული ჩანს იგი IV—V სს. [4, გვ. 181]. ამდენად, № 2 ხის სარკოფაგის საყურეები და ზოგი სხვა ნივთებიც (მაგ. ბურთულეებიანი ბეჭედი და სხვ.) სამარხის შედარებით მოგვიანო ხასიათზე მეტყველებს.

ამავე მიცვალებულს მარჯვენა ხელზე თავებგადახვეული ოქროს მავთულოვანი სამაჯური ეკეთა. მსგავსი სამაჯურები გვიანანტიკურ საქართველოში ფრიად გავრცელებულია.

გემიანი ოქროს ბეჭედი (ტაბ. IV, 6), რომელიც მიცვალებულს მარცხენა ხელზე ეკეთა, შედგება მრგვალგანივიკვეთიანი, წრიული ფორმის გახსნილი, თავებდაბრტყელებული რგოლისაგან, რომელზეც დარჩილულია რვაწახნაგა თვალბუდე თითო ბურთულით ორივე მხარეს. ინტალიო გრანატისაა (პიროპი), საკმაოდ ამოზიდულია თვალბუდის ზემოთ; ბრტყელ პირზე გამოსახულია ფანტასტიკური არსება — გრილი: ცენტრში გამოსახულია ადამიანის თავი წვრილი ბაკებითა და გრძელი დაგრეხილი წვერით, თხემზე ადგას ცხენის პროტომა გველის ნესტარით (?); თავი ფრინველის ფეხებზე დგას. ამგვარ გამოსახულებიან ქვეებს ატარებდნენ ავი თვალისაგან თავის დასაცავად.

რკალის ბოლოებზე დარჩილული თვალბუდეებიანი ბეჭედები არმაზისხევში III საუკუნის მეორე ნახევრიდან ვრცელდება [1, გვ. 191]. რაც შეეხება ბეჭედებს, რომლებსაც თვალბუდის აქეთ-იქით ბურთულეები უზის, როგორც არმაზისხევის ავტორები ვარაუდობენ, III—IV სს. უნდა დათარიღდეს [1, გვ. 42, 124]. ბურთულეებიანი ბეჭედი აღმოჩენილია არმაზისხევის № 43 სამარხში, რომელიც დათარიღებულია IV—V სს. [1, გვ. 124]. ურბნისის ხის სარკოფაგში (№ 11) აღმოჩენილი ამგვარი ბეჭედი ლ. ჭილაშვილს დათარიღებული აქვს IV საუკუნით [5, სურ. 34] და სხვა.

სარკოფაგში გარდა ზემოხსენებული მიცვალებულისა, ადრევე დაკრძალული ყოფილა სხვა მიცვალებულიც, რომლის ძვლები მიხვეტილი იყო სარკოფაგის NO კუთხეში და NW ნაწილში. საფიქრებელია, ეს მოხდა მაშინ, როცა დაკრძალეს მარჯვენა, ზემოხსენებული მიცვალებული.

სარკოფაგის ხის ძელების ნაშთი ზოლად გასდევდა სამარხის O და NO ნაწილს, დანარჩენ ადგილას კი ხის კვალი გამჭრალი იყო. სწორედ ამ ხის კონსტრუქციასთან უნდა იყოს დაკავშირებული სარკოფაგის O ნაწილში აღმოჩენილი რკინის ორადმოკეცილი 9 ანჯამა და 2 თავბრტყელი სამსჭვალი. ანჯამები აღმოჩენილია ითხვისის ადრეანტიკური ხანის № 2 სამარხში (1962 წ.), ხოლო თავბრტყელი სამსჭვალი, მხოლოდ ვერცხლისა, ზღუდრის № 1 სარკოფაგში.

სარკოფაგის SO ნაწილში იდგა ძლიერ დაქანებული სანათური, რომელსაც შუაში 13 სმ დიამეტრის მთლიანი ჯამი და გარედან მირჩილული სამი მაღალი ღერო ჰქონდა. ქვედა ნაწილში ღეროები ფეხებს წარმოადგენს, ზედაში კი — ხელის მოსაკიდებლად კუთხით ერთდებოდნენ. სანათურის საერთო სიმაღლე 34 სმ-ია.

როდესაც ნახშირიან ფენას ვთხრიდით, ასეთივე სანათურის (თუ კრაქის) ნატეხები შეგვხვდა. რაც შეეხება ზღუდერში აღმოჩენილ სანათურების უახლოეს ანალოგებს ვფიქრობთ, ყველაზე მეტად არმაზისხევის № 6 და სამთავროს S უბნის № 212 ქვის სამარხის კრაქები გამოგვადგება. კრაქები დაკრძალვის სარიტუალო წესის შესრულებასთან უნდა იყოს დაკავშირებული [1, გვ. 82].

სარკოფაგის NW ნაწილში, მარჯვენა მიცვალებულის იდაყვის გასწვრივ, ბარძაყის ძვალზე, იდო ვერცხლის პინაკი, ძირზე გამოსახული მოოქრული ძალღითა და ტახით. პინაკზე იდო თავის ქალის, ლავიწის და ნეკნების ფრაგმენტები. პინაკთან კი მიხვეტილი იყო კიდურის ძვლები, მენჯისა და ნეკნის ნატეხები. ვერცხლის ეს ჭურჭელი იდო ზედ ნაპრალზე, რომლის ნაპირი დაძრული და დაწეული იყო 22 სმ-ით (ტაბ. III).

პინაკზე, ძვლების ქვეშ, აღმოჩნდა ოქროს მონეტა ალექსანდრე სევერისა (222—235 წწ.). აქვე აღმოჩნდა ოქროს მსხვილი ბეჭედი, რომლის რკალი ფუყა, თვალბუდე ბეჭდის რკალშივეა ამოჭრილი და მაღლა ამოზიდული. ბეჭედს ოდნავ შესამჩნევი მხრები აქვს. რკალი სიგრძეზე შემკულია მარაოსებრი ამოღარული ორნამენტით (ტაბ. IV, 3).

ბეჭედში ჩასმულია შავი თვალი. მის პირზე გამოსახულია ქლამიდით შემოსილი ხანშიშესული წვეროსანი მამაკაცის ბიუსტი, პროფილში მარჯვნივ. გამოსახულების კეფასთან ძნელად გასარჩევი ბერძნული წარწერაა.

სარკოფაგის NO კუთხეში იდგა ძირბრტყელი მონაცრისფრო ცალყურა ქოთანს. მასთან ახლოს აღმოჩნდა სამი ოქროს ბეჭედი (ტაბ. IV, 7). ორი ერთნაირია, — მაღალ თვალბუდეში ჩასმულია ლალის თვლები და დარჩილულია რკალის ბოლოებზე. მესამე კი თავებგადახვეულია და გაყრილი აქვს 16 წახნაგა მძივი (გრანატისა). ეს და № 1 ხის სარკოფაგის ორი ბეჭედი ტიპოლოგიურად უკავშირდება თავებგადახვეულ სამაჯურებს. სწორედ ამ სამაჯურებთან ერთად არის აღმოჩენილი სამივე ბეჭედი.

საინტერესოა, რომ ძვლების ორივე გროვაში აღმოჩნდა წყვილი ოქროს საყურე, რომელიც თავისი შემადგენელი ნაწილებით II—III სს. საყურეებს უკავშირდება. ამ საყურის ცენტრალური ნაწილი ბრტყელი და ოვალური ფორმის თვალბუდეა, რომელშიც ჩასმულია ბრტყელი გრანატის თვალი. თვალბუდეს საკიდი კავი წვრილი ღერძაკით უკავშირდება; ქვემოდან კი — ჩამოკიდებული აქვს სამი „სხივი“, რომელზედაც წამოცმულია დაღარული მილაკები, საყურის „სხივებს“ მძივები არ შერჩენია (ტაბ. IV).

მარცხენა მიცვალებულს გიშრის და გრანატის რამდენიმე მძივი და ერთი გრძელი ცისფერი მინის ექვსწახნაგა მძივი ჰქონდა. მინის ნაწარმთაგან სარკოფაგში ორი ჭურჭელია დადასტურებული. ერთი მთლად დაფხვნილია, ხოლო მეორე — მთელი. ეს უკანასკნელი სფერულმუცლიანია და აქვს ცილინდრული ყელი. ამ ჭურჭლის ანალოგია გამოქვეყნებული აქვს Davidson Weinberg-ს, რომელიც მას ათარიღებს III—IV სს. და აღნიშნავს, რომ ამგვარი ჭურჭელი ძალიან ბევრი ყოფილა საბერძნეთის ტერიტორიაზე [6, გვ. 132, ტაბ. 27, სურ. 11].

№ 1 და 2 ხის სარკოფაგებში აღმოჩენილი ცხენიანი პინაკები, რომელთაც ემსგავსება ბერსუმა პატიახზის სამარხის და ბორის ცხენიანი პინაკები, არა მარტო ძირებზე გამოსახული სარწმუნოებრივ-რელიგიური სცენით, 4. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები 49

არამედ მთელი რიგი საერთო ნიშნებით, ერთ გარკვეულ, ადგილობრივ ტრადიციებზე აღმოცენებულ ჰურტელთა ჯგუფში ექცევა.

ამ პინაკების კატეგორიას განეკუთვნება ტახიანი პინაკიც, რომელიც დამზადების ტექნიკით, ორნამენტაციით ძალიან ახლო დგას ზემოხსენებულ ჰურტელთა ჯგუფთან.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა № 2 სარკოფაგში პატარა ზომის (17 სმ სიმაღლის) ბრინჯაოს ბომონის თუ საცეცხლურის აღმოჩენა. იგი წარმოადგენს კარებიან ტაძარს, რომლის გუმბათი ფიჭვის დასვერტილი გირჩია.

საყურადღებოა, რომ ზღუდრის სამაროვანზე ოქროსა და ვერცხლის ზემოთ დასახელებული ნივთების გარდა, ექსპედიციის დაწყებამდე შემთხვევით აღმოჩენილი იყო ბრინჯაოს ორი ნივთი: მთლიანადსხმული ფეხაწეული გრიფონის ფიგურა, (ტაბ. III), ზედ მიმოქლონებული ფურცლოვანი ფრთებით და ხარისთავი, რომელსაც კეფაზე სვეტებიან-კამარიანი კარი აბია. ორივე ნივთი ერთი მეორის გვერდით აღმოჩნდა: მათთან ერთად თიხის ჰურტლებიც იყო და აშკარაა, რომ ყველაფერი ეს კიდეც ერთს სრულიად დარღვეულ სამარხს ეკუთვნის.

ხარისთავის და № 2 ხის სარკოფაგის ბომონი ერთი და იგივე დანიშნულების სარიტუალო ნივთებს — საცეცხლურებს წარმოადგენს (ორივე მათგანში ნახშირი და ნაცარი აღმოჩნდა). ორივე საცეცხლური აშკარად უკავშირდება სარწმუნოებრივი წარმოდგენების იმ წრეს, რომელიც ასახულია ზემოთ დასახელებულ პინაკებზე.

ამავე კატეგორიის ნივთებს ეკუთვნის ავჭალის ვერცხლის თასი (საქ. მუზ. ინვ. № 11—24:3), რომელზედაც ქიმიურად გაწმენდის შემდეგ აღმოჩნდა ბომონის აქეთ-იქით მდგარი ორი ცხენისა და გრიფონის ტორაწეული გამოსახულებები.

ზღუდრის გრიფონს № 2 ხის სარკოფაგის, ბორისა და არმაზისხევის ერთ-ერთი ცხენის მსგავსად ფაფარი შეკრეპილი და ე. წ. „ღვთაებრივი სხივებით“ შემკული აქვს. მასაც ბომონის წინაშე მდგარი ცხენების მსგავსად მარჯვენა ფეხი აქვს აწეული.

საინტერესოა ისიც, რომ თასებზე გამოსახული ბომონები (ცეცხლიანი და გირჩიანი) პირდაპირ ანალოგიას პოულობს ზღუდერში აღმოჩენილ ზემოდასახელებულ ბრინჯაოს საცეცხლურ-ბომონთან.

როგორც ითქვა, № 2 ხის სარკოფაგში აღმოჩნდა ორი გვამი, რომელთა დაკრძალვა მომხდარა სხვადასხვა დროს. არქეოლოგიური მასალა დროის ამ სხვაობის დაჭერის შესაძლებლობას არ იძლევა. ორივე მიცვალებულის ნივთიერი მასალა ერთი ქრონოლოგიური პერიოდით უნდა შემოიფარგლოს, თუმცა დასაშვებად მიგვაჩნია მათ შორის სხვაობა იყოს 20—30 წელი, რასაც სამარხის თარიღის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

არმაზისხევის № 3 და ზღუდრის № 1 სარკოფაგების ანალოგიით, ეს სამარხი III საუკ. მეორე ნახევრით, ან მიწურულით შეიძლება განისაზღვროს.

ძირითადი გათხრების ადგილიდან დაახლოებით 80 მ დაშორებით, N მ. მართულებით, ბორცვის W ფერდობზე, ხნულეზში, გაბნეული სარეცლის ფეხების ვერცხლის გარსაკრავების ფრაგმენტების მიხედვით მიგნებული იქნა კიდეც ერთი № 3 ხის სარკოფაგი (ტაბ. V).

სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული, გვერდიგვერდ, ოღნავ

მოხრილი და მარჯვნივ დაწყობილი ფეხებით. მარჯვენა ხელი ედოთ მენჯთან, მარცხენა კი — მუცელზე. მიცვალებულები, როგორც ითქვა ერთმანეთის გვერდით იწვნენ ისე, რომ მარჯვენა მიცვალებულის მკლავი მეორის მკლავზე იდო. მოხვნის შემდეგ დაზიანებული იყო თავის ქალები.

მარჯვენა მიცვალებულს ეკეთა ოქროს წყვილი მოთვალური საყურე, რომელიც შედგებოდა ექვსი ნაწილისაგან (ტაბ. VII). ეს საყურეები და არმაზისხევის № 6 სამარხში აღმოჩენილი საყურეები დეტალებში ერთმანეთს იმეორებენ.

იგივე მიცვალებულს მარცხენა ხელზე ეკეთა ორი პატარა ბეჭედი. ერთი მათგანი თხელი ფირფიტის რკალს წარმოადგენს, შემკულს გავარსის იმიტაციით, რომელზეც ზევიდან დარჩილულია წაგრძელებული ოვალის მოყვანილობის თვალბუდე, შიგ ჩასმული ამობურცული გრანატი. მეორე ბეჭდის რკალი მასიურია, მხერბისკენ გაფართოებულია და სწორკუთხა თვალბუდეში გადადის; მასში პასტის თვალია ჩასმული. მარცხენა მიცვალებულს ეკეთა ამავე ტიპის ბეჭედი, მხოლოდ უფრო მოზრდილია და აქვს იაგუნდის ბრწყინვალე ინტალიო, რომელზედაც შესაძლებელია ალექსანდრე მაკედონელის პორტრეტი იყოს ამოკვეთილი (ტაბ. IV, 1), როგორც ცნობილია, ჩვ. წ. III ს. რომაულ სამკაულებს ხშირად ამკობდნენ ალექსანდრე მაკედონელის გამოსახულებებით [3, გვ. 53].

ორივე მიცვალებულის თავ-კისრის არეში მიმობნეული იყო ოქროს თხელი ფირფიტის კილიტები, რომელთა მსგავსი მრავლადაა აღმოჩენილი ბაგინეთში, ბორში, ურეკში, არმაზისხევეში. მარჯვენა მიცვალებულს ორივე ხელზე ეკეთა სამაჯურები. შედგენილი ათ-ათი ცალი ოქროს თხელი ფირფიტის ნახევარსფერული ვარდულებისაგან, რომელთაც შიგნიდან მირჩილული აქვთ ყუნწები, თავზე კი უსხედან ლალისა და მარგალიტის თვლები (ტაბ. VII). ისევე, როგორც კილიტები და არმაზისხევის № 7 სამარხის ვარდულები, რომელთაც ამ სამაჯურის ვარდულები ემსგავსება, ისინი წარმოადგენდნენ ქსოვილზე დასაკერებელ სამკაულებს.

ოქროს ყელსაკიდი, რომელიც მარცხენა მიცვალებულს ეკეთა, ერთ-ერთი უძვირფასესი და უნიკალური ნივთია ამ მდიდრული სამარხიდან; მის ოვალურ თვალბუდეში ჩასმულია ორფენოვან ონიქსზე გამოკვეთილი კამეა. მასზე გამოსახულია ზღვაში მოცურავე დელფინი, რომელზეც ზის ნიმფა-ნერეიდა აფრიალეებული ჰაეროვანი წამოსასხამით. ქალი და წამოსასხამი რძისფერ ძარღვშია გამოკვეთილი. ამ შესანიშნავ ყელსაკიდს ამშვენებს მოქნილი „წნული“ ძეწკვი, თავსა და ბოლოში შესაბნევით (ტაბ. VII).

ზუსტად ასეთი მოქნილი და ფაქიზად შესრულებული ორი ძეწკვი ეკეთა ამავე მიცვალებულს მაჯებს ოდნავ ზევით; როგორც ჩანს, ეს ძეწკვები თავის დროზე ყელსაკიდისა ყოფილა, შეიძლება საგანგებოდაც მოხსნილი და გამოყენებული სამაჯურებად.

ანტიკური სამყაროსათვის ამგვარი და მისი მსგავსი ძეწკვები საკმაოდ ბევრია ცნობილი. ჩვენში კი ზემოაღნიშნულთა ზუსტი ანალოგი ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგიდან და არმაზისხევის № 7 სამარხის ყელსაბამების ძეწკვებია.

ამ სამარხში ორი ვერცხლის კოვზი აღმოჩნდა: ერთი ჩლიქიანი თავით, მეორე კი — სალტეგადაჭერილი წაწვეტებული ბურთულიანი თავით. ამ უკა-

ნასკნელს ტარზე ორენოვანი წარწერა აქვს, თითოეული სამ-სამი ასოთი გამო-
სახული — ბერძნული და არმაზული (?).

გვიანანტიკური ხანის საქართველოში მსგავსი ვერცხლის კოვზები ცნო-
ბილია სამთავროს № 212 ქვისსამარხიდან, ბაგინეთიდან, ურეკიდან, სარგვე-
შიდან, ურბნისის I—III სს. კულტურულ ფენიდან, ბორიდან.

საქართველოს გვიანანტიკური ხანის საზოგადოების ზედაფენის წარმო-
მადგენელთა და მათი ოჯახის წევრთა სამარხებში ხის სარეცლის ფეხები ვერ-
ცხლის გარსაკრავებით ცნობილია არმაზისხევის I, III და VI სამარხებიდან,
ბორის სამი სამარხიდან, ბაგინეთის სარკოფაგიდან.

ადგილობრივ ტორეკტიკულ ტრადიციებზე აღმოცენებული ქედური ხე-
ლოვნების ეს შესანიშნავი ნიმუშები, დამზადებული რთული ტექნოლოგიური-
პროცესით და შემკული მდიდრული ნაირფეროვანი სახეებით, ზღუდრის ამ
წყვილადი სამარხის SO კუთხეშიც აღმოჩნდა. ორივე ეს ფეხი და ამ სამარხის
W ნაწილიდან ამოყრილი ნატეხები, არმაზისხევის ვერძისთავეებიანი ფეხების
მსგავსია. წყვილი ფეხი, უფრო პატარა ზომისა დადასტურებულია ჩვენ მიერ
№ 1 სარკოფაგის ნაშთშიც.

მიცვალებულების ფეხით აღმოჩნდა ჩვენში შემოტანილი და იტალიურ
ნაწარმად ცნობილი ბრინჯაოს სკულპტურულგამოსახულებებიანი და ვერცხ-
ლით ინკრუსტირებული პატერა და ენოხოე (ტაბ. VI). ანტიკურ სამყაროში
გავრცელებული ეს ჭურჭლები სათანადო სახელოსნო ცენტრების მიერ ძირი-
თადად 1 საუკუნეში მზადდებოდა და I—II საუკუნეების კარგად დათარიღე-
ბულ კომპლექსებშია აღმოჩენილი [7].

ზღუდრის ენოხოეს საქართველოში მოპოვებულთაგან ყველაზე მეტად
ემსგავსება ბორში და სამთავროს № 212 ქვისსამარხის ამგვარი ჭურჭელი. ხო-
ლო პატერას — ბორისა და კლდეეთის ვერძისთავეებიანი ბრინჯაოს პატერები.

წყვილად სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის რამდენიმე ჭურჭელი. ორი მათ-
განი სადა კალთებიანი (ერთ-ერთზე არმაზული (?) წარწერაა). მესამე წარ-
მოადგენს ბრტყელ ლამბაქს (აგრეთვე არმაზული (?) წარწერით). მეოთხე
მცირე ზომის ფიგურული წყვილი ყურიანი პინაკია, შემკული ფსკერზე მო-
თავსებული რთული ორნამენტირებული ვარდულით (ტაბ. VI). აქაც ძირზე
ორი წარწერაა — ნაკაწრი, ბერძნული (ევფრატეს). წერტილოვანი არმაზუ-
ლი (?); ამ სამარხში აღმოჩენილია ვერცხლის აბზინდები და შესაკრავი მო-
წყობილობები. ისინი გვიანანტიკურ ხანის მდიდრული სამარხების ნივთებთან
პოვებენ მსგავსებას და პარალელს; ამიტომ, მათი დეტალური განხილვისაგან
თავს ვიკავებთ.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ძლიერ დაშლილი საგნის ხისა და ვერცხლის
ფრაგმენტები, ნაპოვნი სამარხის NO კუთხეში. როგორც ჩანს, თავდაპირვე-
ლად ის წარმოადგენდა ხისგან გამოთლილი ფანტასტიკური ცხოველის პროტო-
მას, რომელიც შემოჭედილი იყო ვერცხლის ფირფიტით. ამყამად გაირჩევა
მხოლოდ ცხოველის პირდადებული, ენაგადმოგდებული თავი, დაფარული
ორნამენტული ხასიათის ხვეული თმით; გადარჩენილია აგრეთვე ფეხების ნა-
წილებიც.

რკინის ნივთებიდან აღმოჩენილია ისრისპირი, დანის ნატეხი, და ლურს-
მანი: არის აგრეთვე პასტის მძივები (იოტები). მინის ჭურჭლიდან წარმოდ-
გენილია ცილინდრული და ოთხკუთხა მაღალტანიანი ცალყურა ჭურჭლები,

რომელთა მსგავსი საერთოდ ცნობილია I—III სს. სამარხებიდან, როგორც ჩვენში, ისე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში და სხვაგან (სხვა ჭურჭლები ძლიერ ფრაგმენტირებულია).

სამარხში აღმოჩნდა 28 ცალი ავგუსტე კეისრის და ფაუსტინას ერთი დენარი. გოტარზე პართელის — 5 დრაქმა. ეს მონეტები მთელ სამარხში იყო მობნეული.

ოქროს მონეტაგან კი ოთხი ცალია დადასტურებული. მარცხენა მიცვალებულს პირში დომიციანეს (81—96 წწ.) აურეუსი ედო. ამავე მიცვალებულის ზურგის ქვეშ ფაუსტინას (141—176 წწ.) მონეტა აღმოჩნდა. მარჯვენა მიცვალებულის თავის ქალასთან ანტონინე პიუსის (138—161 წწ.), ხოლო იგივე მიცვალებულის მარჯვენა ხელსა და მენჯს შორის — კომოდის (180—192 წწ.).

რომის იმპერატორთა ამ მონეტებიდან კომოდის მონეტას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა: მისი მეფობის პირველი წელი შეიძლება მივიჩნიოთ სამარხის გამართვის ქვედა მიჯნად.

ამგვარად, წყვილადი სამარხი ნუმისმატიკური მასალით II საუკუნის მიწურულით თარიღდება. ვფიქრობთ, არ ვიქნებით შემცდარი თუ კი ზღუდრის ამ მდიდრულ სამარხს III ს. დასაწყისით დავათარიღებთ, მით უმეტეს, რომ ჩვენ მიერ მოკლედ აღნუსხული სამარხეული ინვენტარის საერთო იერი ამგვარ დათარიღებას შეესატყვისება.

ზღუდერში გარდა ზემოაღნიშნული გვიანანტიკური ხანის მდიდრული სამარხებისა ჩვენ მიერ გათხრილი იყო შედარებით ღარიბი ინვენტარის შემცველი გვიანანტიკური ხანის ორი ორმოსამარხი. საინტერესოა, რომ დაკრძალვის წესის მიხედვით, ეს სამარხები არქაული ჩანს (მიცვალებულები იწვნენ მარჯვენა გვერდზე მოკრუნჩხულად, თითო სამარხში — თითო, ხოლო არქეოლოგიური ნივთიერი მასალით IV საუკუნეს უახლოვდებიან).

თითოეულ მათგანს აღმოაჩნდა ღია ვარდისფრად გამომწვარი მოყვითალო ფერის ორ-ორი ყელწიბოიანი პატარა ზომის ცალყურა ჭურჭელი, თითო ვერცხლის მონეტა გოტარზე პართელისა, რაც თავისქალასთან (აღბათ პირში) ედოთ, თითო ვერცხლის ბეჭედი რკალის ბოლოებზე დარჩილული თვალბუდითა და ფარაკით. ერთ-ერთს ეკეთა ოქროს მავთულოვანი და ღერძაკიანი წყვილი საყურე, რომელსაც პასტის მძივი არ შერჩენია. ამავე მიცვალებულს № 2 სარკოფაგის ანალოგიური თიხის მონაცრისფრო ცალყურა ჭურჭელიც აღმოაჩნდა. ორივე მიცვალებულს ჰქონდა სარდიონის მძივები და ერთი ქარვის მძივი.

ზღუდერში ძირითადი გათხრების სანაპირო ზოლზე 1964—1965 წწ., გარდა ზემოთ აღწერილი გვიანანტიკური ხანის სამარხებისა, გაითხარა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის 10 ორმოსამარხი და 6 ყორღანი.

ექვსივე ყორღანი, რომელთა საშუალო დიამეტრი დაახლოებით 5 მ-ია, გარეშემოსაზღვრული იყო წრიულად განლაგებული კლდის ნაგლეჯი ქვებით. ეს ქვები ორსართულად ეწყო. წრის მთელ ზედაპირზე მიწასთან ერთად მეტნაკლები სიუხვით ეყარა ქვები, რომელთა კონცენტრაცია სამარხის თავზე უფრო შეიმჩნეოდა.

ყორღანთა ეს ჯაჭვი ბორცვის ჩამონგრეული ფლატეს უშუალო სანაპირო ზოლის ხაზზე მდებარეობდა. ამიტომ ყველა ყორღანი დაზიანებული და მეტ-

ნაკლებად დეფორმირებული იყო ზედგამავალი ნაპრალებით. ზოგ შემთხვევაში კი ყორღანებს მორღვეული ჰქონდათ მნიშვნელოვანი ნაწილი.

ყორღანებში დაკრძალული იყო როგორც ერთი (№ 1 ყორღანში), ისე ორი (№ 4 ყორღანში) მიცვალებული. № 5 ყორღანში, გარდა ძირითადი სამარხისა, აღმოჩნდა ორი ჩაშვებული სამარხიც.

აქ გათხრილი ყველა ორმოსამარხი, ყორღანი და მასში ჩაშვებული სამარხები წარმოდგენილია გვიანბრინჯაო-რკინის ხანისთვის დამახასიათებელი ინვენტარით.

ზემოაღნიშნული ორი ქრონოლოგიური ფენის, გვიანბრინჯაო-რკინის და გვიანანტიკური ხანის გარდა, ზღუდრის გოჩაანთკარის ორივე ბორცვზე გათხრებით დადასტურდა მესამე, გვიანფეოდალური ხანის ფენა. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია სამეურნეო ნაგებობებით და მათთან დაკავშირებული მწირი ნივთიერი მასალით.

სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებიდან გაითხარა გრძელი, სწორკუთხა, ორი საწნახელი, ნაგები ფლეთილი ქვითა და კირის მკვრივი ხსნარით შელესილი. ერთი მათგანი ყურძნის, ხოლო მეორე — ზეთისსახდელი საწნახელია. აქვე იყო სქელკედლიანი თიხის თონე, წყლის თიხის მილები და სხვადასხვა დროის ქვევრები.

საყოფაცხოვრებო ხასიათის ნაგებობას წარმოადგენს სამოთახიანი მოზრდილი შენობა, ნაწილობრივ შერჩენილი კედლებით და მის მეზობლად მიწაში ამოყვანილი და ნალესი ხაროთი.

ეს ნაგებობები საამშენებლო მასალითა და წესით, ისევე როგორც ხასიათითა და მასთან აღმოჩენილი მასალით ფეოდალურ, უფრო მის მოგვიანო ხანას უნდა ეკუთვნოდეს და იმ ნაგებობათა გვუფს ავსებენ, რომლებიც საკმაოდ მოიპოვება ზღუდრის და მის ახლო ტერიტორიაზე.

რამდენადაც მნიშვნელოვანია ზღუდერში აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის პიტიახშთა რანგის არისტოკრატიული და მათი თანადროული ღარიბული სამარხეული კომპლექსები, იმდენად უფრო იზრდება ინტერესი ზღუდერის, მისი მომიჯნავე ზოვრეთის და მთელი ხეობის როგორც ერთი მთლიანი ისტორიულ-ეკონომიური ერთეულის მიმართ.

ზემოაღნიშნული მდიდრული სამარხები მიუთითებს იმაზე, რომ ამ ხეობის დიდგვაროვანთა სახელისუფლო ცენტრი — ზღუდერია. ამასვე გვანიშნებს ის გარემოებაც, რომ ეს მიკრორაიონი ძამის ხეობის მნიშვნელოვან გზაჯვარედინს წარმოადგენს და ეკონომიური ცენტრია მთელი ხეობისა.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ტოპონიმის „ზღუდერის“ ლ. კილაშვილისეული ახსნა. იგი მას ქალაქთან აიგივებს. „ქალაქი“ შემოსული ტერმინია და „ზღუდერის“ მსგავსად დაკავშირებულია ზღუდესთან. ამიტომ, უძველეს დროში ქალაქის აღმნიშვნელ ტერმინად მას სწორედ „ზღუდრი“ (ზღუდერი) მოაჩნია [8, გვ. 49].

1965 წლის სეზონში გოჩაანთკარის ბორცვზე, იქ, სადაც ჩვენი გათხრების N უბანი იყო, აღმოჩნდა ნაგებობის ქვისწყობიანი საძირკველის ნაშთი (ტაბ. VIII).

ყოველივე ზემოთქმული და ამ ბორცვზე გვიანანტიკური ხანის მდიდრული და ღარიბული სამარხების აღმოჩენა, ამ ნაგებობისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. მით უმეტეს, რომ დასაშვებად მიგვაჩნია ამ ტერი-

ტორიაზე წარჩინებულთა საგვარეულო საცხოვრისის არსებობა. ამიტომ 1966 წლის ხანმოკლე სამუშაოს მთავარ მიზანს ამ ნაგებობის გათხრა და მისი რაობის დადგენა წარმოადგენდა.

ნაგებობის საძირკვლის სიგანე — 1,5 მ აღწევს; იგი ორფენიანია. რეკონსტრუქციის შემდეგ პირველ ფენაზე უშუალოდ დაუდგამთ მეორე, ისეთივე ნაგებობა. ორივე ფენა წარმოადგენს თითოფეხებიან რიყისა და კლდის ნაგლეჯი ქვებით ნაგებ საძირკველს. ზედა ფენის წყობას დატანებული აქვს საძირკვლის სიგანის ზღურბლი (W ნაწილში). ამ საძირკვლებს თავზე მოთეთრო-მოყვითალო თიხის ფენა ჰქონდა, რაც უეჭველად ალიზის კედლის ნაშთი უნდა იყოს.

საძირკველს აქვს WO მიმართულება; მისი სიგრძე უდრის 20,9 მ. ბოლოში ის 90°-ით უხვევს S-კენ და 5,5 მ მანძილზე გრძელდება. აქ იგი გადაჭრილია შედარებით განიერი (1,6—1,65 მმ) „ბურჯის“ მსგავსი ნაგებობის ქვის წყობით, რომელსაც გარეთა კუთხეები მომრგვალებული აქვს, ხოლო შიგნითა კი — სწორი. ამ ნაგებობის ფრაგმენტს S და O მხარე მორღვეული აქვს. რადგან ბორცვის ეს ნაწილი დროთა განმავლობაში იხვნებოდა, ბუნებრივია, თითქმის ზედაპირზე ამოსული ქვის წყობა დაზიანებულიყო, რომ აღარაფერი ეთქვათ მასზე დადგმულ ალიზის კედელზე.

ამ ნაგებობის მომიჯნავე S და SW ტერიტორია, კერძოდ BB 70, BC 71, BB 80, BC 81 კვადრატები წარმოადგენდა დამწვარ ფენას, სადაც საკმაო რაოდენობით ხის ძელებისანაბეჭდიანი ალიზის ბათქაში და ნახშირ-ნაცარი ჩნდებოდა. სწორედ აქ აღმოჩნდა (ოთხი აღდგენილია და ამდენივე ფრაგმენტის სახითაა წარმოდგენილი) თიხის ჭურჭელი ბრტყელი განიერი ძირითა და მაღალი ტანით (უდიდესის სიმაღლე — 40,2 სმ), ყელზე ორ-ორი წიბოთი და წიბოზე გამობმული წყვილი ყურებით. ჭურჭლებს თითო ყურზე ამოღარული სვასტიკა აქვს. ზედაფენის საძირკველში და „ბურჯის“ წყობაში ცეცხლისკვალიანი ქვების გამოყენება მიუთითებს იმას, რომ ეს ნაგებობები (ქვედა ფენის გამოკლებით) აშენებულია ნახანძრალზე და „ბურჯის“ მსგავსი ნაგებობა მეორედ რეკონსტრუქციის შემდეგაა აქ ჩადგმული.

ზღუდერში გათხრილ ამ საკმაოდ მოზრდილ ნაგებობას, რომელსაც გადამტისრავი და შემაერთებელი კედლები არ უჩანს, პირობითად შეიძლება ვუწოდოთ გამაგრების — „გალავნის“ ნაშთი.

ზღუდერის ამ ნაგებობის დათარიღებას ურბნისის ადრეფეოდალური ხანის არაერთგზის დადასტურებულ ნაგებობათა გათვალისწინება გვიადვილებს, განსაკუთრებით კი, ე. წ. „დამწვარი ნაგებობებიანი“ ფენა. აქაც, ისევე როგორც ურბნისის სხვა ნაგებობებში, რიყის ქვის საძირკველი თიხის ხსნარითაა დაკავშირებული და ზედ ამოყვანილია ალიზის კედლები [5, გვ. 91]. რადგან რიყის ქვის საძირკველზე ალიზის კედლის დადგმა ურბნისისათვის დამახასიათებელი ჩანს [5, გვ. 105], ამიტომ ბუნებრივია, ჩვენ მიერ ზღუდერში გათხრილი ნაგებობა სწორედ მას დავუკავშიროთ.


რაც შეეხება ნივთიერ მონაპოვარს, რომელიც შეიძლება ზღუდრის „გალავნის“ ზოგადი დათარიღებისათვის გამოგვადგეს, ეს არის ზემოთ აღნიშნული ყელწიბოიანი ორყურა ჭურჭლები. ეს ჭურჭლები „ბურჯის“ საძირკვლის დონის დაბლა აღმოჩნდა და, ამდენად, ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ამ უკანასკნელს.

ჩვენი ეს ყელწიბოიანი კურტლები დიდ მსგავსებას იჩენს ლოჭინის ნასოფლარის I ჯგუფის კერამიკასთან [9, გვ. 199, სურ. № 3] და ურბნისის მთელ კურტლებთან (მაგ. საქ. მუზ. ინვ. № 1—57:1542; 5, გვ. 93, ტაბ. XXX, 1), რომლის მსგავსი მრავალრიცხოვანი კერამიკული ფრაგმენტი დადასტურებულია ადრეფეოდალური ხანის ურბნისის, უჯარმის, მცხეთის, ლოჭინის და სხვა პუნქტების ფენებში [10, გვ. 58].


ლოჭინის ნამოსახლარი დათარიღებულია IV—VI სს. [9, გვ. 203]. ურბნისის „დამწვარი ნაგებობებიანი“ ფენა, რომელიც მსგავსად ზღუდერის და ლოჭინის ნასოფლარისა შეიცავს ყელწიბოიან თიხის მასალას, ლ. ჭილაშვილის მიერ დათარიღებულია V ს. მიწურულითა და VI ს. დასაწყისით [5, გვ. 97]. კერამიკის აღნიშნულ ჯგუფის თარიღად მ. სინაურიძე IV—VI სს. მიიჩნევს [10, გვ. 59]. ამდენად, ზღუდერის ყელწიბოიანი და ორყურა კურტლების თარიღიც IV—VI სს. ექცევა და ადრეფეოდალური ხანის საინტერესო მასალას წარმოადგენს. თვით „გალავნის“ ზოგად თარიღად გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანა უნდა მივიჩნიოთ.

ლიტერატურა


1. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955.
2. Г. А. Тирация, О торговых связях Армении с Сирией в античное время. Палестинский сборник, вып. 4(67).
3. მარგარიტა ლორთქიფანიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, ტ. II, თბ., 1958.
3. გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, თბ., 1955.
5. ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.
6. Gladys Davidson Weinberg, Evidence for Glass manufacture in Ancient Thessaly, American Journal of Archeology, Vol. 67, No. 2, April 1962.
7. О. Д. Лордкипанидзе. Итальянские бронзовые изделия найденные на территории Грузии, С. А., 1964, № 1.
8. ლ. ჭილაშვილი, ქალაქური ტიპის უძველესი ნამოსახლარები, გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული პირველი სამეცნიერო სესიის სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1965.
9. რ. აბრამიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ლოჭინის ნასოფლარის არქეოლოგიური ვახტრები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIII—B.
10. მ. სინაურიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა, მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.




სურ. 1




სურ. 2



სურ. 1




სურ. 2



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 1

სურ. 2


სურ. 3




სურ. 4

სურ. 5

სურ. 6




სურ. 7




სურ. I




სურ. 1




სურ. 2



სურ. 1



სურ. 2



სურ. 1

დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965—1966 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში

დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1965 და 1966 წლებში ველზე იმუშავა სულ სამი თვე; 45 დღე 1965 წელს (8 ივლისიდან — 22 აგვისტომდე) და 45 დღე 1966 წელს (14 ივლისიდან — 25 აგვისტომდე)¹.

ექსპედიცია განაგრძობდა წინა წლებში დაწყებულ მუშაობას ნაქალაქარის სამ უბანზე, ხოლო 1966 წ. მიემატა მეოთხე უბანიც, დაიწყო გარეუბნის სამაროვანის ვრცელი ტერიტორიის გათხრა ნაქალაქარის ტერიტორიაზე გრძელდებოდა სხვადასხვა საცხოვრებელ ნაგებობათა გათხრა.

1965 წ. ექსპედიციამ დაასრულა მეორე უბანზე მდებარე საცხოვრებელი ნაგებობის ე. წ. დერეფნიანი შენობის გათხრა, ხოლო პირველსა და მესამე უბანზე ნაგებობათა ნაშთების გათხრის დასრულება ვერ მოხერხდა.

საანგარიშო წლების განმავლობაში ექსპედიცია განაგრძობდა როგორც ნაქალაქარის ტერიტორიის, ისე არქეოლოგიური გათხრის მიმდინარეობის კინოფიქსაციას, აგრეთვე მოკლევადიანი სამეცნიერო ექსკურსიების საშუალებით დმანისის მახლობლად არსებული ისტორიული ძეგლების აღწერა-ფიქსაციას მდინარეების ფინეზაურისა და მაშავერას ხეობებში.

*
* * *

პირველ უბანზე გრძელდებოდა III შენობის გათხრა; 1965 წელს გაითხარა შენობის აღმოსავლეთი ნახევარი, 1966 წელს შენობის ცენტრალური და დასავლეთი ნაწილი, ხოლო მისი დანარჩენი ნაწილები წინა წლებში იყო გათხრილი. შენობა ძლიერ დაზიანებულია და შერჩენილა მისი სამხრეთი კედე-

¹ 1965 წლის ექსპედიციაში მუშაობდნენ: ვ. ჯაფარიძე (ხელმძღვანელი), ვ. ლექვინაძე (ხელმძღვანელის მოადგილე), ვ. ართილაყვა (რაზმის უფროსი), ჯ. მიქაძე, მ. ანთაძე და რ. ერისთავი, ფოტოგრაფი და კინოოპერატორი ი. პინაევი; მოწვეული პირები: თ. გერსამია (არქიტექტორი), მ. ბადრიაშვილი და ლ. ხვედელიძე. 1966 წელს—ვ. ჯაფარიძე, ვ. ლექვინაძე, ნ. ქანთარია (რაზმის უფროსი); ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფრ. მეც. თანამშრ. ნ. უგრელიძე (რაზმის უფროსი); მუზეუმის უმცრ. მეცნ. თანამშრ. ჯ. მიქაძე და მ. სინაურიძე; ი. პინაევი. მოწვეული პირები: არქიტექტორი თ. გერსამია და კოლექტორები: ლ. ხვედელიძე და უ. დეკანოსიძე.

ლი და ჩრდილოეთი კედლის მცირე ნაწილი. აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლების კვალი სულ გამჭრალა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე შენობის მცირე ნაშთს მოუღწევია (ტაბ. I, სურ. № 1), შენობა მაინც განსაკუთრებით საინტერესო ჩანს; იგი ბაზალტის ნაგლეჯი ქვებითა და კირით არის ნაგები. როგორც შენობის სამხრეთი კედელი გვიჩვენებს, მისი სიგრძე აღემატებოდა 19 მ, ხოლო სიგანე — 4,3 მ. კედლების სისქე 0,7 — 1,0 აღწევდა. შენობის მასშტაბი, მისი მდებარეობა (მას უჭირავს ნაქალაქარის ტერიტორიის ცენტრალური ნაწილი) ვეაფიქრებინებს, რომ იგი მაშინდელი საზოგადოების მაღალი სოციალური ფენების წარმომადგენელთა საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო. როგორც გათხრის შედეგები გვიჩვენებს, მას შემდეგ, რაც აღნიშნულ შენობაში ცხოვრება შეწყვეტილა და შენობა დროთა განმავლობაში ნანგრევებად ქცეულა, აქ სხვა თაობას განუახლება ცხოვრება და ამავე ფართობზე ახალი შენობები აუგია. ახალი მშენებლობის დროს ძველი შენობის ნანგრევების ნაწილი მთლად აუღიათ. დაუნგრევიათ და ამგვარად, ზოგიერთი კედლის კვალიც კი წაშლილა. ნიშანდობლივია, რომ ამავე ფართობზე, მაგრამ ზედა ფენაში შერჩენილია III შენობასთან შედარებით ახალი შენობების ნანგრევები; ასე, მაგალითად, აღნიშნული შენობის ჩრდილოეთი კედელი დასავლეთის მიმართულებით მოულოდნელად წყდება, მისი გაგრძელება აღარ ჩანს, ხოლო ამ ადგილას დღეს შერჩენილა ახალი, მცირე შენობის (ზონა 3.2×6,0 მ) ნანგრევები (შენობა VI), რომელიც მცირე ზომის ნაგლეჯი ქვებითა და ტალახითაა ნაშენი. VI შენობის საძირკველი, III შენობასთან შედარებით 0,5 მ მაღლა მდებარეობს. ასეთსავე სურათს ვხედავთ III შენობის აღმოსავლეთ ნაწილში, აქაც კვადრატული ფორმის ახალი შენობა აუგიათ, რომელიც ზედა ფენაში მდებარეობს და, მაშასადამე, III შენობის გაუქმებისა თუ დანგრევის შემდეგ არის აშენებული.

III შენობასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ მის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა 7 თონე დაშორებული ერთმანეთისაგან მცირე მანძილით. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმაზე, რომ ეს იყო საცხოვრებელი შენობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თონეების მდებარეობა სიღრმეში განსხვავებული იყო; მათი ნაწილი რამდენადმე უფრო ღრმად იჯდა. ამ გარემოებას შეიძლება ჰქონდეს ერთი ახსნა: აქ საქმე უნდა გვქონდეს ორ საცხოვრებელ ფენასთან, რაც დაადასტურა აღნიშნული ფართობის შემდგომმა გათხრამ. თონეების ერთი ნაწილი მდებარეობდა III შენობის იატაკის დონეზე, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც უფრო ღრმად იყო ჩადგმული, დაკავშირებული უნდა ყოფილიყო კერამიკულ სახელოსნოსთან, რომლის ნანგრევები აღნიშნული შენობის იატაკის დონის ქვეშ აღმოჩნდა.

III შენობის გათხრამ საინტერესო მასალები მოგვცა არა მარტო საცხოვრებელი ნაგებობების შესწავლისათვის, არამედ შუასაუკუნეების ხელოსნობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგის ისტორიისათვის, როგორიც არის კერამიკული წარმოება. მართალია, აქამდეც კარგად იყო ცნობილი, რომ დმანისის თავისი საკუთარი კერამიკული წარმოება უნდა ჰქონოდა, რასაც ადასტურებდა თიხის სოლების, სამფეხების, კერამიკული ნახევარფაბრიკატების ნატეხების აღმოჩენა, აგრეთვე დმანისში აღმოჩენილი ჭურჭლის თავისებური ხა-

სიათი², მაგრამ აქამდე არ ყოფილა მიკვლეული ქურჭლის გამოსაწვავი ქურის ნაშთი თუ სახელოსნოს ნანგრევები.

ამ უბანზე ქურის უმნიშვნელო ნაშთს ექსპედიციამ ჯერ კიდევ 1964 წ. მიაკვლია, ხოლო 1965 წ. აღმოჩნდა საკმაოდ კარგად დაცული თიხის ქურჭლის გამოსაწვავი ქურის ქვედა ნაწილი — საცეცხლე. ქურის ნაშთი აღმოჩნდა შენობის აღმ. ნაწილში, 2,2 მ სიღრმეზე შენობის სამხრეთის კედელთან და რამდენადმე კედლის ქვეშ—(ტაბ. I, სურ. № 2) კარგად ჩანდა მისი ფორმა. რომელიც გვეგმაში მსხლის მოყვანილობისაა — წაგრძელებული, თავში განიერი და ბოლოში ვიწრო. ეს ქურაც სავსებით ისეთივე ფორმისაა, როგორც თბილისში, განჯის კარის ტერიტორიაზე 1948 წ. აღმოჩენილი ქურა³. დმანისის ქურის ნაშთის ზომებია: სიგრძე — 1.5 მ, განიერი ნაწილის სიგანე — 0.6 მ, ვიწრო ნაწილისა — 0.4 მ.

ქურის აღმოჩენის ვითარებისა და მდებარეობის მიხედვით სრულიად ცხადია, რომ საცხოვრებელი შენობის აგებამდე ამ ადგილას კერამიკული სახელოსნო უნდა ყოფილიყო; ამას ადასტურებს აგრეთვე ორი მნიშვნელოვანი ფაქტი: ჯერ ერთი, ქურის ნაშთი აღმოჩნდა III შენობის იატაკის დონის ქვევით და ეს ნაშთი თავისი სამხრეთი გვერდით რამდენადმე მოქცეულია შენობის სამხრეთის კედლის ქვეშ. ესეც არ იყოს, სრულიად წარმოუდგენელია კერამიკული ქურის არსებობა ისეთ შენობაში (ან თუნდაც შენობის გვერდით), როგორც უნდა ყოფილიყო III შენობა.

საქმე ის არის, რომ ეს შენობა ისეთივე ტიპის ჩანს, როგორცაა დმანისის შიდაციხის ტერიტორიაზე გათხრილი სასახლის შენობა (დასავლეთის მხრიდან მიშენებული აბანოთი)⁴.

III შენობა უთუოდ წარმოადგენდა თავისი დროისათვის კაპიტალურ, დიდი მასშტაბის ნაგებობას, რომელსაც ქალაქის ცენტრალური ადგილი ეჭირა. ამგვარად, სრულიად ცხადია, რომ აღნიშნული შენობა აგებულია კერამიკული სახელოსნოს ნანგრევებზე. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ ქურის ნაშთთან შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1966 წ. აღმოჩნდა კიდევ ერთი ქურის ნაშთი; სამწუხაროდ, ქურის კონსტრუქცია ძლიერ იყო დარღვეული, მის გათხრას ჩვენთვის ახალი არაფერი მოუცია და ამიტომ, ამ მოკლე ანგარიშში ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ ეს ქურაც სტრატეგრაფიულად იმავე ფენაში მდებარეობდა, რომელშიც ზემოაღწერილი მეორე ქურა⁵. რა თქმა უნდა, ამ ქურაში და ქურასთან აღმოჩნდა თიხის სო-

² ლ. მ. უ. ს. ხ. ე. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. . დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა) კრებული «შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა» ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, თბ. 1938, გვ. 444.

³ ვ. ჯავახიშვილი, კერამიკული წარმოება XI—XIII სს. საქართველოში, თბ. 1956, თავი V და VI გვ. 39—47.

⁴ იხ. გ. ლ. მ. თ. ა. თ. ი. ძ. ე. ძველი ქართული კერამიკული წარმოების ისტორიისათვის ქურ. «მეცნიერება და ტექნიკა», 1949, № 8. მისივე—არქეოლოგიური გათხრები თბილისში 1948 წლის ზამთარში, კრებული «მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის», I, თბ. 1955.

⁵ იხ. მ. უ. ს. ხ. ე. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. . დმანისი, დასახ. კრებული. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გვ. 350.

⁶ ქურჭლის გამოსაწვავი ქურის მცირე ნაშთს, რომელიც 1964 წ. აღმოჩნდა, პირველ ქურას ვუწოდებთ, 1965 წ. აღმოჩენილ ქურის ნაშთს (საცეცხლეს)—მეორე ქურას, ხოლო 1966 წ. შენობის ჩრდ-აღმ. ნაწ. აღმოჩენილ ნაშთს—მესამე ქურას.

ლებს ნატეხები, XII — XIII სს. ქართული კერამიკის ტიპური ნიმუშებისა და ნახევარ ფაბრიკატების ნატეხები და სხვა.

III შენობის ფართობზე, გათხრის პროცესში მრავლად აღმოჩნდა წითელ-კეციანი მოუქიქავი და მოქიქული ჭურჭლების და ფაიანსის ნატეხები, მინის ჭურჭლისა და სამაჯურების ნატეხები, ლითონის ნიმუშები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შენობისა და მის ფართობზე აღმოჩენილი კერამიკული ჭურის დათარიღებისათვის — ქართული და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მონეტები, უმთავრესად სპილენძისა, ზოგჯერ ვერცხლისაც. განათხარი მასალა, რაც კი შენობის ფართობზე აღმოჩნდა, მოყოლებული 1,5 მ. სიღრმიდან — ჭურის აღმოჩენის დონემდე — 2,2 მ-მდე, აგრეთვე იმ დონემდე, რომელზედაც თავის დროზე ჭურა აუშენებიათ — 2,5 მ-მდე, საზოგადოდ, შეიძლება მივაკუთვნოთ განვითარებული ფეოდალიზმის ხანას. მაგრამ განათხარი მასალა საშუალებას იძლევა უფრო მეტი სიზუსტით დავათარილოთ როგორც შენობა, ისე კერამიკული ჭურის ნაშთი.

1965 წელს III შენობის ფართობზე აღმოჩნდა 13 მონეტა, ხოლო 1966 წელს — 7 მონეტა; განსაკუთრებული მნიშვნელობა შენობის დათარიღებისათვის აქვს 1965 წელს აღმოჩენილ მონეტებს იმის გამო, რომ სწორედ აღნიშნულ წელს ჩავიდა ექსპედიცია შენობის იატაკისა და საძირკვლის დონეზე. 13 მონეტიდან ორი მონეტის გარკვევა არ მოხერხდა მათი ძლიერი გაცვეთილობის გამო (იხ. საინვ. №№ 1138 და 1216), 2 მონეტა (№№ 1210 და 1217) აღმოჩნდა შენობის გარეთ: ოთხი მონეტა აღმოჩნდა ზედა ფენაში (0,9 — 1,1 მ-მდე), ხოლო დანარჩენი 5 მონეტა აღმოჩნდა 1,5 — 2,4 მ სიღრმეზე.

აღნიშნული 5 მონეტიდან 2 მონეტა — რუსუდან დედოფლის სახელითაა მოჭრილი (1227 — 45 წწ.) ერთი — დავით ნარინის მიერ დმანისში მოჭრილი მონეტაა (1244 — 45 წწ.), ერთიც მანგუ ყაენის ფელსია, თბილისში მოჭრილი (1254 — 56 წწ.), ხოლო მეხუთე, აგრეთვე თბილური ფელსია XIII ს. შუა წლებისა*. ამგვარად, მონეტები, რომლებიც ქვედა ფენებში და შენობის იატაკის დონეზე აღმოჩნდა, სრულიად გარკვევით ათარიღებენ შენობას XIII საუკ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ორი სხვა მონეტა, რომლებიც III შენობის უშუალო სიახლოვეს, მაგრამ მის გარეთ აღმოჩნდა, აგრეთვე XIII საუკ. მონეტებია; ერთი მანგუ ყაენის თბილური ფელსია, ხოლო მეორე — დავით ნარინის მონეტაა. ეს მონეტებიც, ცხადია, მხარს უჭერენ შენობის ზემოხსენებულ დათარიღებას.

რაც შეეხება დანარჩენ 4 მონეტას (ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე VII — 913—959 წწ.; რუსუდანის; XIII საუკ. აღმოსავლური და ოღჯაითუ სულთანის — 1304 — 1316 წწ. მონეტა), რომლებიც ზედა ფენებში აღმოჩნდა, შედეგი უნდა იყოს ქალაქის არაერთგზისი ნგრევისა, შენებისა და სტრატეგრაფიის დარღვევისა.

III შენობის დათარიღებას XIII საუკუნით, გარდა მონეტებისა მხარს უჭერს შენობის ფართობზე აღმოჩენილი კერამიკის ნატეხებიც; აქ აღმოჩენილი კერამიკა, ყველა ნიმუშების მიხედვით XII — XIII სს. უნდა მივაკუთვნოთ; განათხარი კერამიკიდან აღსანიშნავია ამ ხანის მოქიქული ჭურჭლისათვის და-

* მონეტების განსაზღვრაში, როგორც ამ შემთხვევაში, ისე საერთოდ, დახმარება გავციწიეს მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილების თანამშრომლებმა პროფ. დ. კაპანაძემ, მ. ანთაძემ, (რომელიც ჩვენი ექსპედიციის წევრი იყო 1965 წელს) და მეცნ. კანდ. თ. აბრამიშვილმა, რომელთაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

მახასიათებელი ნიმუშები, როგორც ფერადი გამჭვირვალე ჭიქურებით (მწვანე, ცისფერი, სოსანი) დაფარული ერთფეროვანი კერამიკისა (უმეტესად ჯამების), ისე უფრო, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული პოლიქრომული კერამიკისა. მრავლად გვხვდებოდა ნატეხები უაღრესად დამახასიათებელი ნიჟარისებრი ფორმის მოჭიქული ჭრამებისა. ასევე დამახასიათებელია წითელკეციანი მოუჭიქავი ჭურჭლის ნატეხებიც (დოქების, გოზაურების, საღვინეების, ხელადების, ქოთნების, კოჭების, ზოგიერთი წერნაქიანი ჭურჭლისა და სხვა): იმპორტული ფაიანსის ნიმუშები (ლურჯად მოჭიქული, აგრეთვე ლუსტრიანი ფაიანსისა) და სხვა.

რაც შეეხება ჭურჭლის გამოსაწვავ ქურას, ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ ქურის ნაშთი აღმოჩნდა III შენობის იატაკის დონის ქვეშ და, მაშასადამე, იგი უფრო ადრინდელი ჩანს შენობაზე. მაინც რა დროისა უნდა იყოს ქურა? როგორც ჩანს კერამიკა, რომლის ნიმუშები აღმოჩნდა ქურის ზევით, განსაკუთრებით ნახევარფაბრიკატების ნიმუშები, დაკავშირებული უნდა იყოს აღნიშნულ სახელოსნოსთან. ამას ადასტურებს ამ ფრაგმენტების უშუალო სიახლოვე ქურასთან და აგრეთვე მათი ნაწილის აღმოჩენა თვით ქურაში. განათხარი კერამიკის ის ნიმუშები, მათ შორის ნახევარფაბრიკატების ნატეხები, რომლებიც ქურაში აღმოჩნდა, იმავე ტიპისა და დროის კერამიკას უნდა მივაკუთვნოთ, რომლებსაც ეკუთვნის უშუალოდ ქურის ნანგრევების დონესა და მის ზევით აღმოჩენილი ნიმუშები. საკმარისია დავასახელოთ, მაგ., მოჭიქული ჯამების ნატეხები (საინვ. № — 1154 და 1155), მოჭიქული ჯამის ნატეხი ფრინველის გამოსახულებით (№ 1162, ტაბ. II, სურ. 4), პოლიქრომული ტიპის ორი სამარილე (№ 1180, ტაბ. II, სურ. 3), ჯამის ნატეხი — ნახევარფაბრიკატი (№ 1190), რომელზედაც შერჩენილია ფრინველის გამოსახულების ნაწილი მცენარეულ მოტივებს შორის; აღნიშნული ნატეხები უაღრესად დამახასიათებელია XII — XIII სს. კერამიკისათვის.

სახელოსნოს დათარიღებისათვის მხედველობაში მისაღებია ერთი მხრივ III შენობის თარიღი, ხოლო, მეორე მხრივ, ამ შენობის საძირკვლის დონეზე და ქურის მახლობლად, აგრეთვე თვით ქურაში აღმოჩენილი კერამიკის თარიღი. ჩვენ ზევით დავასაბუთეთ, რომ III შენობა XIII საუკ. უნდა იყოს აგებული. რაც შეეხება კერამიკას, რომელიც ამ ფართობზე სათანადო დონეზე აღმოჩნდა, ყველა ნიშნის მიხედვით XII — XIII საუკუნეებით თარიღდება: მიუხედავად იმისა, რომ შენობის ფართობზე მოჭიქული და მოუჭიქავი ჭურჭლის ასობით ნატეხი აღმოჩნდა, ყველა, სრულიად გარკვევით, მიეკუთვნება ზემოაღნიშნულ საუკუნეებს. ამ საფუძველზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ კერამიკული სახელოსნო XII საუკ. ადრინდელი ძეგლი არ უნდა იყოს. ამ დასკვნას მხარს უჭერს, ერთი მხრივ, სახელოსნოს ნანგრევების მდებარეობა XIII საუკ. დათარიღებულ III შენობის იატაკის დონის ქვეშ, ხოლო, მეორე მხრივ, დმანისის ქურის მსგავსება (სტრუქტურა, გეგმა, დეტალები) განჯის კარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ XII — XIII სს. დათარიღებულ სახელოსნოს ქურებთან⁷.

1965 და 1966 წწ. I უბანზე ჩატარებული მუშაობის მნიშვნელობა ზემოხსენებული ფაქტებით როდი განისაზღვრება; განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტად უნდა იქნეს მიჩნეული ქურის წინ თიხის სოლის კიდევ ერთი ნატეხის აღმოჩენა, რომელზედაც მიღუღებულია ცისფერი ფაიანსის ჭურჭლის

⁷ იხ. გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომები.

ნატეხები (საინვ. № 1178, ტაბ. II, სურ. № 5). შემოხსენებული თიხის სოლი წარმოადგენს უდავო ნივთიერ საბუთს იმის დასამტკიცებლად, რომ ფაიანსის ქურჭელი დმანისშიც უმზადებიათ. სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ჩვენ სამეცნიერო ლიტერატურაში აღრეც იყო გამოთქმული მოსაზრება შუასაუკუნეების საქართველოში ფაიანსის ქურჭლის წარმოების სასარგებლოდ⁸. მაგრამ, თუ მაშინ ეს მოსაზრება რამდენადმე სავარაუდო იყო და არაპირდაპირ საბუთებს ემყარებოდა, ამიერიდან ჩვენ ხელთ არის უეჭველი საბუთი ფაიანსის ქურჭლის წარმოების სასარგებლოდ დმანისის XII საუკუნის კერამიკულ სახელოსნოებში.

მეტად საინტერესოა კერამიკულ წარმოებასთან დაკავშირებული რკინის იარაღის აღმოჩენა; ქურის გათხრის დროს, მისი საცეცხლის ძირზე აღმოჩნდა ადამიანის ტერფის ფორმის იარაღი (სიგრძე — 23,2 სმ), რომლის 2/3 ფართოა (სიგანე 8 სმ), შემდეგ მოსდევს ვიწრო ყელი (სიგ. 3,5 სმ), ხოლო ბოლო ნაწილი ადამიანის ფეხის ქუსლივით უფრო გაფართოებულია (ტაბ. III, სურ. № 6, საინვ. № 1187). ამ სამუშაო იარაღს „ქუსლის“ ნაწილში აქვს 2,2 სმ დიამეტრის ხვრელი. ცხადია, რომ შემოხსენებული რკინის იარაღის აღმოჩენა ქურის იმ ნაწილში, სადაც ჩვეულებრივად ცეცხლი ანთია, შემთხვევითი არ არის; ეს უნდა ყოფილიყო ქურიდან ნახშირის, ნაცრისა და ნამწვის გამოსახვეტი იარაღი, რომელსაც თოხივით გრძელი ტარი უნდა ჰქონოდა დაგებული. საფიქრებელია, რომ გრძელი ტარის საშუალებით რკინის იარაღს გვერდზე დააწვენდნენ და ისე გამოხვეტავდნენ ნახშირსა და ნაცარს, შესაძლებელია ნადუღსაც, რაკი ჩვენთვის აქამდე უცნობი ეს იარაღი ქურაში აღმოჩნდა, შეგვიძლია ისიც ქურის თანადროულად მივიჩნიოთ და XII საუკუნით დავათარილოთ.

კერამიკულ წარმოებასთანაა დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: III შენობის აღმ. ნაწილში 2 მ სიღრმიდან მოყოლებული — 2,5 მდე, განსაზღვრულ ფართობზე, აღმოჩნდა ერთი ჯგუფი მოჭიქული ქურჭლის ნატეხებისა, რომლებიც დიდად ემსგავსებიან ერთმანეთს, როგორც ქურჭლის ფორმით, შემკულობის ტექნიკით, ისე, რამდენადმე მხატვრული მოტივებითაც. ამავე დროს, ეს ნატეხები განსხვავდება XII — XIII სს. ტიპიური მოჭიქული ქურჭლისაგან.

ფორმისა და დანიშნულების მიხედვით შემოხსენებული მოჭიქული ქურჭლის ნატეხები წარმოადგენენ დიდი ჯამების (ან ბადიების) მოზრდილ ნაწილებს, რომელთათვისაც XII — XIII სს. ჯამებისაგან გასხვავებით, დამახასიათებელია მეტად დაბალი (არ აღემატება 1 სმ-ს) და ამავე დროს დიდი დიამეტრის ქუსლები (d — 9,1; 11,4 სმ). მოჭიქული ბადიების ნატეხებში ორი ჯგუფი შეინიშნება: ა. თეთრი ანგობით მოხატული და ფერადი გამკვირვალე ჭიქურებით (ცისფერი ან მწვანე) დაფარული ნატეხები⁹, და ბ. სხვადასხვა ფერის კერამიკული საღებავებით (მწვანე, სოსანი, მუქი ყავისფერი) მოხატული

⁸ იხ. ლ. მჭესხელიშვილი, დმანისი, დასახელებული კრებული, გვ. 444. ვ. ჯაფარიძე, კერამიკული წარმოება XI—XIII სს. საქართველოში, გვ. 36—38.

⁹ მართალია, XII—XIII სს. ქართული კერამიკის ნიმუშებს შორის ხშირად გვხვდება თეთრი ანგობით მოხატული და ფერადი გამკვირვალე ჭიქურებით დაფარული ჯამების ფრაგმენტები. მაგრამ ასეთი ჯამები თავისი ფორმითა და, განსაკუთრებით კი მაღალი, ბორბლისებური, შედარებით ვიწრო ქუსლით განსხვავდებიან შემოხსენებული დიდი ჯამებისაგან.

(ფუნჯით) და უფრო გამჭვირვალე ჰიქურით დაფარული ნატეხები (ტაბ. III, სურ. № 7), (საინვ. № 1205).

ამ ტიპის ზოგიერთ ნატეხზე ვხვდებით ძალიან სუსტად და წმინდად ამოკაწრულ რადიალურ ხაზებს, ან, ერთმანეთზე გადაბმულ „კამარებს“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სგრაფიტოს ხერხით შესრულებული მარტივი მოტივები მხოლოდ ორიოდ ნატეხზე გვხვდება და ამასთანავე ძუნწად, აქა-იქ (საინვ. №№ 1213, 1205).

აღნიშნული ტიპის ჯამების ნატეხები თავისი ფორმით, შემკობის ტექნიკით და, რამდენადმე, მხატვრული მოტივებითაც გარკვეულ მსგავსებას იჩენენ მოჭიქული წითელკეციანი კერამიკის იმ ნიმუშებთან, რომლებიც აღმოჩენილია როგორც ჩვენში (თბილისში)¹⁰, ისე აზერბაიჯანში (ორენ-ყალაში)¹¹ და დათარიღებულია IX — X სს. დმანისში აღმოჩენილი ბადიების ზემოხსენებული ფრაგმენტები შეიძლება X—XI სს. მივაკუთვნოთ.

კერამიკის ზემოხსენებული ნიმუშები რომ მოჭიქული ჰურჭლის ანდრინდელ ტიპებს ეკუთვნის, ამას ადასტურებს აღმოჩენის ვითარებაც; აღნიშნული ნატეხები აღმოჩნდა კულტურული ფენის ქვედა ნაწილში, ყველა მათგანი 2 მ. ქვევით და უმრავლესობა კი 2,5 მ. სიღრმეზე — იმ ფენაში, რომელიც აქ უშუალოდ ნიადაგზე იდო. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ყველა ნატეხი აღმოჩნდა ერთ ადგილას, ჯგუფად. მოჭიქული კერამიკის ნიმუშების ჯგუფად აღმოჩენა იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ცალკეულ შემთხვევაში, განსაზღვრულ ფართობზე სტრატეგრაფია არ ჩანს დარღვეული.

III შენობის გათხრასთან დაკავშირებული ანგარიში არ იქნება სრული თუ არაფერი ითქვა იმ კულტურული ფენების შესახებ, რომლებიც მდებარეობდნენ ზემოხსენებული ძირითადი XII — XIII სს. ფენის როგორც ქვეშ, ისე ზევით.

1966 წელს III შენობის იატაკის დონის ქვეშ, შენობის როგორც აღმ., ისე ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა დიდ ორმოების ნაშთები; ერთი ორმო აღმოჩნდა მესამე კერამიკული ჰურის ნაშთის გვერდით, მისგან 0,5 მ დაშორებით სამხრეთისაკენ (ორმოს d — 1,1 მ. h — 1,45 მ), ხოლო შენობის ცენტრალურ ნაწილში 2,1 მ სიღრმეზე — 2 ორმო, რომელთაგან ერთი უფრო დიდი იყო (d — 2,2 მ), ხოლო მეორე უფრო პატარა d — 1,2 მ), მათი სიღრმე არ აღემატებოდა 1,3 მეტრს¹².

აღნიშნული ორმოების კედლები შიგნიდან შელესილი იყო თიხის ხსნარით და, როგორც ჩანს, სამეურნეო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო. ეს მით უფრო სავარაუდოებელია, რომ დიდ ორმოში აღმოჩნდა ფეტვისა და ხორბლის მარცვლები, ორმოები ამოვსებული იყო ნაგლეჯი ქვებითა და მიწით. ამავე დროს ორმოებში მრავლად აღმოჩნდა როგორც წითელკეციანი თიხის ჰურჭლის პატარა ნატეხები, ისე, იშვიათად, ფაიანსის ჰურჭლის ნატეხებიც.

კერამიკულ ჰურასთან აღმოჩენილი ორმო და შენობის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩენილი მეორე (პატარა) ორმო, მათში აღმოჩენილი თიხის ჰურჭ-

¹⁰ ი. გ რ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი . ო . ტ უ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი . თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ. 1961, გვ. 52.

¹¹ А. Л. Я к о б с о н . Художественная керамика Байлакана (Орен-Кала), МИА СССР, № 67, 1959, გვ. 236 და 244.

¹² ასეთივე ორმოები აღმოჩნდა ნაქალაქარის ტერიტორიაზე ექსპედიციის ორ დანარჩენ სამუშაო უბანზედაც. მათ შესახებ ცოტა უფრო ქვევით ვისაუბრებთ.

ლის და მინის სამაჯურების ნატეხების მიხედვით, აგრეთვე სტრატეგრაფიული მდებარეობის მიხედვით XII საუკ. აღრინდელი არ უნდა იყოს. აქვე აღსანიშნავია, რომ მეორე ორმოში შუასაუკუნეების ჭურჭლის ნატეხებთან ერთად აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის კერამიკის ნიმუშები, რომლებიც აქ მოხვედრილი უნდა იყოს შემთხვევით, კულტურული ფენების თავდაპირველი განლაგების დარღვევის შედეგად. რაც შეხება პირველ (დიდ) ორმოში აღმოჩენილ კერამიკას, აქ მხოლოდ მოუჭიქავი თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა, რომლებიც არქეოლოგ ნ. უგრელიძის დაკვირვებით ტიპოლოგიურად ემსაგავსებიან არმაზისხევში აღმოჩენილ კერამიკის ნიმუშებს, რომელთაც VII — VIII სს. ათარიღებენ.

განათხარბი მასალიდან საინტერესო მონაპოვრად უნდა მივიჩნიოთ რკინის შუბისპირი და ისრისპირი (ტაბ. III, სურ. № 8 და 9), რომლებიც III შენობის ფართობზე 1.5 მ, სიღრმეზე აღმოჩნდა. შუბისპირი ოთხწახნაგოვანია და მისი სიგრძე უდრის 37,8 სმ. რამდენადაც აღნიშნული იარაღები შენობის იატაკის დონეზე საგრძნობლად ზევით აღმოჩნდა, შესაძლებელია ისინი XIV საუკ. მივაკუთვნოთ მით უფრო, რომ დაახლოებით ამავე კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ოლჯაითუ სულთანის XIV საუკ. დასაწყისის მონეტა, რომელიც ყველაზე უფრო გვიანია ამ შენობაში აღმოჩენილ მონეტათა შორის.

მეორე უბანზე ექსპედიციამ 1965 წელს დაასრულა ერთ-ერთი საცხოვრებელი შენობისა და მის წინ (აღმოსავლეთით) მდებარე განსაზღვრული ფართობის გათხრა, ხოლო 1966 წელს დაიწყო აღნიშნული შენობის ჩრდილოეთით მდებარე ფართობის გათხრა. ამავე წელს ექსპედიცია აწარმოებდა მეორე უბანზე მდებარე, წინა წლებში გათხრილი მეჩეთის ნანგრევებს შორის შემდეგში ჩაშენებული ოთახების გათხრას (იხ. გეგმაზე). შენობა, რომლის გათხრა ექსპედიციამ დაასრულა 1965 წელს, მდებარეობდა მეჩეთის დასავლეთით და წარმოადგენდა საცხოვრებელ ნაგებობას. შენობას წინ (აღმოსავლეთისაკენ) დერეფანი უნდა ჰქონოდა, რასაც ამტკიცებს შენობის წინ წამოწეული საშბ. და ჩრდ. კედლები. ამ ნიშნის მიხედვით შენობას შეიძლება პირობითად „დერეფნიანი შენობა“ ვუწოდოთ (ზომები — 9,0×5,0 მ). შენობა აგებული ყოფილა ბაზალტის ნაგლეჯი ქვებით და დულაბით (ტაბ. IV, სურ. 10). მას ბანიანი გადახურვა უნდა ჰქონოდა, რამდენადაც შენობის ფართობზე კრამიტების ნატეხები არ გვიპოვია. აღმ. კედელში შენობას ორი კარი ჰქონდა დატანებული (კარის სიგანე 1,2 მ). გათხრის შედეგად გამოიჩინა, რომ ორ საცხოვრებელ ფენასთან გვეკონდა საქმე; ზედა ფენა (0,8 მ) უნდა ყოფილიყო ის დონე, რომელიც კარის ზღურბლის სიმაღლეზე მდებარეობდა. სწორედ ამ დონეზე აღმოჩნდა შენობის შიგნით, მის ჩრდ. ნაწილში მარცვლეულის ღრმა ორმო, რომლის ყელი ბრტყელი ქვებით იყო ამოშენებული. ამ დონეზე დერეფანში აღმოჩნდა სხვადასხვა დიამეტრის 5 თონე.

ზემოხსენებულ დონიდან 40 სმ უფრო ღრმად აღმოჩნდა მეორე, უფრო აღრინდელი საცხოვრებელი დონე. დერეფნიანი შენობის ფართობზე რომ მართლაც ორ საცხოვრებელ დონესთან გვეკონდა საქმე ჩანს იმითაც, რომ შენობის აღმ. კედლის ქვედა ნაწილი საფეხურივით და ამავე დროს აღმაცერად წინ არის გამოწეული მის ზედა ნაწილთან შედარებით. ეს იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ აღრინდელი შენობის ნანგრევზე შემდეგ ახალი შენობა აუშენე-

ბიათ. ამასვე ამტკიცებს იატაკის ორი დონე, რომლის შესახებაც ზევით გვქონდა საუბარი.

შენობის ქვედა, ძველი დონე უფრო საინტერესო აღმოჩნდა: ეს დონე ფიქსირებული იყო 1,2 მ სიღრმეზე. აქ აღმოჩნდა: ოთახის ცენტრში კერა, კერასთან ბაზალტის ფილი და ფილთაქვა; ორი ქოცო (რგალებიანი, თავისი ქვის სარქველებით); კერიდან სამხ.-დასავ. აღმოჩნდა მარცვლეულის დიდი ორმო, რომელსაც პირი დიდი თლილი ქვებით ქონდა ამოშენებული ოთხკუთხად. აქვე აღმოჩნდა 5 თონე, რომელთაგან ერთს გრძელი საქარავი ჰქონდა გაკეთებული წყალსადენის 5 მილისაგან (ტაბ. IV, სურ. 11).

სრულიად მოულოდნელად ოთახში, იმავე დონეზე აღმოჩნდა არქიტექტურული დეტალები უცნობი შენობისა — ოთხი თლილი ქვა ჩუქურთმებით შემკული. ამ ჩუქურთმიანი ქვებიდან სხვებზე მეტად საინტერესოა სარკმლის კამარისათვის განკუთვნილი თლილი ქვა, რომელსაც 5 დეკორატიული გამონაზარდი და ფრინველების რელიეფური გამოსახულება აქვს (ტაბ. V, სურ. 12). ისეთივე, როგორსაც ვხედავთ დმანისის სიონის კარიბჭის ჩრდ. ფასადზე; აღნიშნული ქვა ანალოგიის საფუძველზე შეიძლება XIII საუკ. დავათარილოთ.

აქვე აღმოჩნდა XII — XIII საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კერამიკის ნიმუშები: დეკორატიული რელიეფური სარტყლით შემკული წერანიანი დერგის რამდენიმე მოზრდილი ნატეხი, მოჭიქული ჯამის ნატეხები ფრინველის გამოსახულებით მცენარეულ მოტივებს შორის, ნატეხები მწვანედ მოჭიქული მუცლიანი ჭურჭლისა და სხვ. „დერეფნიანი შენობის“ ფართობზე აღმოჩენილი ზემოხსენებული მასალების საფუძველზე შენობა შეიძლება დავათარილოთ XII საუკ. ბოლოთი და XIII საუკ. დასაწყისით. შენობის ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც: „დერეფნიანი შენობის“ გარეთ, დერეფნის სამხ.-დას. კუთხეში, 1,2 მ სიღრმეზე აღმოჩნდა 4 ჭურჭელი: კოჭობი (მეტად შებოლილი), პატარა მოჭიქული ჯამი, რომლის ძირი მოხატულია მზის სხივებით გაშლილი მწვანე სამკუთხოვანი რადიალური ზოლებით; ჩაიდნისებური კრაქი ღიაფრად გამომწვარი და ფაიანსის მოზრდილი სურა ლურჯი ჭიქურით დაფარული. სურის სხეულის გარშემო ადამიანების რელიეფური სტილიზებული გამოსახულებებია (სულ 11 ფიგურა), ხოლო მხრებზე — სტილიზებული მცენარეული მოტივები (ტაბ. V, სურ. № 13). ჭურჭელს მოტეხილი აქვს ყური და ყელის ნაწილი. მისი სიმაღლე უდრის 27 სმ, კორპუსის სიგანე — 14 სმ, ორნამენტოვანი სარტყლის სიგანე — 11 სმ; ჭუსლის სიმაღლე — 2,5 სმ; ჭუსლის d — 10 სმ. დათარიღებისათვის ოთხი ჭურჭლიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოჭიქული ჯამი, რომელიც XII — XIII საუკ. კერამიკის ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს და კობალტის ჭიქურით დაფარული ზემოხსენებული სურა. ჩვენ არ გვაქვს საშუალება აქვე წარმოვადგინოთ აღნიშნული სურის დაწვრილებითი აღწერილობა, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება მივაქციოთ ზოგიერთ გარემოებას; აღნიშნული ჭურჭელი თავისი ფორმით ძალიან წააგავს ლითონის ირანულ ჭურჭელს, რომელიც XI — XIII საუკუნეებით თარიღდება¹³. ამასვე დროს, აღნიშნული ჭურჭელი თავისი ფორმით, შესრულების ტექნიკითა და მხატვრული ხერხით ემსგავსება სულთანაბადის კერამიკულ პროდუქციას, რომელსაც საზოგადოდ XI — XIII სს. ათარიღე-

¹³ A. U. P o u p e. A Survey of Persian Art, vol. VI, London, 1939.

ბენი¹⁴. ამგვარად, ზემოხსენებული მოკიქული ჯამი და ლურჯი კიქურით დაფარული სურა მხარს უჭერს შენობის აღნიშნულ დათარიღებას¹⁵. ამავე დროს აღსანიშნავია ის თავისებურება, რომელიც ახასიათებს დმანისისეულ ფაიანსის ჭურჭლის კიქურს; ეს კიქური თანაბრად ლურჯი როდია. ჭურჭლის მთელი ზედაპირი აჭრელებულია მუქი და ბაცი წერტილებითა თუ ლაქებით. ამ გარემოებამ ჩვენი ყურადღება ველზევე მიიქცია. ეს. უეჭველია. ტექნოლოგიური ნაკლია. ამ ფაქტს შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს იმის ვაშო, რომ ამგვარი თავისებური ლურჯი კიქურით დაფარული ფაიანსის ჭურჭელი, როგორც ეს აღნიშნა თბილისში ყოფნის დროს, ჩვენთან საუბარში, კალიფორნიის უნივერსიტეტის ეთნიკური ხელოვნებისა და ტექნოლოგიის მუზეუმისა და ლაბორატორიების გაერთიანების მმართველის შოადგილემ ჯ. ფრაირმანმა, რომელიც ძალიან კარგად იცნობს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების კერამიკას, სრულიად არ გვხვდება სულთანაბადის კერამიკული სახელოსნოების ნაწარმში და საერთოდ სპარსულ კერამიკაში. ეს. მეტად საინტერესო დაკვირვებაა და დმანისის სურის წარმომავლობა. შესაძლებელია, სხვაგან არ იყოს საძიებელი მით უმეტეს, რომ ამგვარი ფაიანსის ფრაგმენტები დმანისში ადრეც შეგვხვედრია.

შენობის ქვედა ფენის (II — 1,2 მ) დათარიღების შემდეგ, შესაძლებელია ზედა ფენის (II — 0,8 მ) მიახლოებით დათარიღებაც. სრულიად ცხადია, რომ ზედა ფენა შეიქმნა მას შემდეგ რაც XII — XIII სს. შენობა დაიწერა. ამავე დროს, ამ შენობის ნანგრევები ჯერ კიდევ არსებობდა, როცა აქ კვლავ განახლებულა ცხოვრება. დათარიღებისათვის აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ზედა ფენაში გვხვდებოდა ისეთი ჭურჭლის ნატეხები, როგორც ქვედა ფენაში. ამავე დროს, აქვე გვხვდება ქვედა ფენისაგან განსხვავებული ჭურჭლის ნატეხებიც, სახელდობრ უქუსლო, ბრტყელძირიანი მოუჭიქავი ჯამები. ასეთი ტიპის ჯამები დამახასიათებელი ჩანს დმანისის ზედა ფენებისათვის; ერთი ასეთი ჯამი (თითქმის მთელი), აგრეთვე ნატეხებიც, აღმოჩნდა 1962 წელს II უბანზე მეჩეთის შენობის ფართობს შიგნით, ზედა ფენაში და აქაც მოგვიანო ჩანდა. ასეთივე სურათი იყო I უბანზე წინა წლებში.

ყველა ზემოხსენებული ფაქტის გათვალისწინებით „დერეფნიანი შენობის“ ზედა ფენა შეიძლება დაეთარიღოს XIII საუკ. და XIV საუკ. დასაწყისით.

მას შემდეგ, რაც გაითხარა დერეფნიანი შენობა, აიწერა, აიზომა, გადაღებული და ფიქსირებულ იქნა მისი ორივე დონე არსებული წესების დაცვით, განვაგრძეთ შენობისა და დერეფნის ფართობის შემდგომი გათხრა. ამის შედეგად გამოიჩინა, რომ ფართობი, რომელიც „დერეფნიან შენობას“ ეჭირა, ადრევე ყოფილა დასახლებული: შენობისა და დერეფნის ძველი იატაკის დონის

¹⁴ ვ. ლეჟენაძე დასახ. ნაშრომი, მუზეუმის XIV სამეც. სესიის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ. 1966; მისივე საანგარიშო მოხსენება - Отчет археологических раскопок на втором участке Дманисского городища за 1963—65 гг., ხელნაწერი, 1965 გვ. 17. იხ. აგრეთვე The Kelekian collection of Persian and analogous potteries, Paris, 1910.

¹⁵ ჩვენი ექსპედიციის წევრი ვ. ლეჟენაძე დიდ მსგავსებას ხედავს დმანისში აღმოჩენილ ფაიანსის აღნიშნულ სურასა და ცნობილ კოლექციონერ კელეკიანისეულ ანალოგიურ სულთანაბადურ ჭურჭელს შორის (იხ. დასახ. ნაშრომი), რომელიც XII საუკუნით არის დათარიღებული. ამ საფუძველზე ვ. ლეჟენაძეს, დმანისში აღმოჩენილი ფაიანსის სურაც სულთანაბადის ჭურჭლად მიაჩნია და XII საუკ. დათარიღებს (იხ. მისი დასახ. ანგარიში, გვ. 17, 18).

ქვეშ, მიწის ზედაპირიდან 1,8 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მარცვლეულის ორმოები — სულ 16 ორმო, რომელთაგან შენობის შიგნით აღმოჩნდა 10, ხოლო „დერაფანში“ — 6 (ტაბ. VI, სურ. № 14). ორმოების დიამეტრი საშუალოდ უდრიდა 1,3 მ, ხოლო სიღრმე, საშუალოდ, — 1,4 მ. ორმოების ერთი ნაწილი (12 ორმო) ნაკლებად ღრმაა დანარჩენ 4 ორმოსთან შედარებით; განსხვავდება ორმოებში აღმოჩენილი ინვენტარიც.

როგორც აღინიშნა, ყველა ორმო აღმოჩნდა შენობის ძველი იატაკის ქვეშ, 0,6 მ-ით უფრო დაბლა და, მაშასადამე, ორმოები უფრო ძველია ვიდრე შენობა. ინვენტარის მიხედვით, პირველი ტიპის 12 ორმო ქრონოლოგიურად დიდად არ უნდა იყოს დაშორებული შენობის თარიღს, რადგან ორმოებში აღმოჩნდა XI — XIII საუკ. დამახასიათებელი მოტიქული ჭურჭლისა და მინის სამაჯურების ნატეხები. მაგრამ, რაკი შენობა დავათარიღეთ XII საუკ. ბოლოთი და XIII საუკ. დასაწყისით, მაშ ორმოები და, ცხადია, თვით ინვენტარიც ვერ ამოვარდება შუასაუკუნეების ქრონოლოგიური ჩარჩოებიდან. ამავე დროს, რამდენადაც აღნიშნული ორმოები უფრო ძველია შენობის ძველი იატაკის დონესთან შედარებით, შესაძლებელია ორმოები და ორმოებში მოპოვებული მასალაც, საორიენტაციოდ, XI — XII საუკ. დავათარიღოთ.

ახლა რაც შეხება მეორე ტიპის ოთხ ორმოს; როგორც აღინიშნა, დანარჩენი ოთხი ორმო თავისი სიდიდით განსხვავდება ზემოხსენებულ 12 ორმოსაგან. ამასთანავე საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი ამ ოთხ ორმოთაგანი მოქცეული იყო პირველი ტიპის ერთ-ერთი ორმოს ქვეშ, რაც მიგვიბრუნებს მეორე ტიპის ორმოების სიძველეზე პირველებთან შედარებით, განსხვავდება ამ ორმოებში აღმოჩენილი კერამიკის ნიმუშებიც; მეორე ტიპის ორმოებში აღმოჩნდა მხოლოდ მოუჭიქავი ჭურჭლის, ამასთან ცეცხლზე დასადგმელი ჭურჭლის ნატეხები. მათი უმრავლესობა სხვადასხვა სიდიდის ქოთნების ნატეხებს წარმოადგენს, რომელთაც თავისებური გარეთ გადმოღუნული ბაკო აქვთ; ბაკოს ქვემოთ ჭურჭელს, ყელის გარშემო სწორად ან ირიბად დადებული ნაჭდევეები შემოუყვება. ზოგიერთი ჭურჭელი მარტივი ორნამენტული მოტივებით ყოფილა შემკული. საერთოდ, ზემოაღნიშნული „საგბოლველი ჭურჭელი“ განსხვავდება დმანისში მრავლად აღმოჩენილი ამავე დანიშნულების ჭურჭლებისაგან, რომლებიც ზოგადად XI — XIII სს. არის დათარიღებული. ამასთან დავაშორებით ისმის საკითხი, ხომ არ არის ორმოებში აღმოჩენილი ზემოაღნიშნული ტიპის მოუჭიქავი ჭურჭლის ნატეხები და თვით ორმოებიც საგრძნობლად ძველი, პირველი ტიპის ორმოებთან შედარებით?

აღნიშნული ორმოების გათხრის შედეგად ექსპედიცია უკვე დავიდა ნიადავის დონეზე და ამ ფართობის გათხრა ამით ამოიწურა. ამის შემდეგ განვაგრძეთ მეჩეთის დას. კედელსა და „დერაფნიან შენობას“ შორის მდებარე ფართობის გათხრა, რომელიც 1964 წელს იყო დაწყებული. ამ ფართობზე 1965 წ. გაითხარა ორი კვადრატი ზომით 5×5 მ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა № 2 კვადრატი, რომლის გათხრის შედეგად, 1,6 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის სამკაულების განძი, ეტყობა თავის დროს ხის ყუთში ჩადებული.

მოკლედ ჩამოვთვლით განძის შემადგენლობას¹⁶: 1. ოქროს ორი აყურუ-

¹⁶ აქ არ ვიძლევიტ სამკაულების აღწერილობას იმის გამო, რომ ჩვენი ექსპედიციის წევრმა ვ. ლეჭვინაძემ სპეციალურად შეისწავლა აღნიშნული განძი, რომლის შესახებ მოხსენ-

ლი საკიდი, რომელთაც პატარა ყუნწებზე ჩამოკიდებული აქვთ ოქროს ძეწკვები, დამთავრებული პაწია ეყვანებით. 2. ვერცხლის ორი ანალოგიური საკიდი, რომელთაც კამარები, ოქროს საკიდების კამარებისაგან განსხვავებით აქ გახსნილია. 3. ვერცხლის ერთი ღრუ საკიდი, რომელიც ზემოხსენებულ საკიდებისაგან განსხვავებით არ არის დაფანჯრული და სამკამარიანია. 4. ოვალური ფორმის ოქროს მძივი, რომელიც მოჭედულია ფირუზის პაწია თვლებით, ყუნწიანია. 5. ვერცხლის ორი საკიდი, რომლებიც ფარშავანგების გამოსახულებას წარმოადგენენ. 6. ორი ყელსაბამი, შედგენილი ვერცხლის ბრტყელი ვარსკვლავების, ოვალური მძივებისა და მარჯნის ცილინდრული მძივებისაგან. ვერცხლის მძივები, ოთხ-ოთხი ერთადაა მიდულებული. ვარსკვლავების ზედაპირი შემკულია წვრილი გავარსით, ნახევარსფეროებითა და ფირუზის თვლებით. 7. სამი პირგახსნილი სამაჯური ვერცხლისა (სიგანე 2,3 სმ); ზედაპირი შემკულია მსხვილი გავარსითა და ნახევარსფეროებით. 8. სამი პირგახსნილი სამაჯური ვერცხლისა, განიერი (სიგანე 5 სმ); ზედაპირი შემკულია სხვადასხვა ყალიბის გავარსით, ფილიგრანით და ინკრუსტაციით (მინა და პასტა). 9. ორი ღრუ სამაჯური ვერცხლისა, პირგახსნილი. 10. ფრაგმენტები ორი ღრუ, გრეხილი ვერცხლის სამაჯურისა; რკალების ბოლოები გველის თავების გამოსახულებას წარმოადგენს. 11. ბრტყელი საკიდი ვერცხლისა, მსხლის ფორმისა. საკიდის ზედაპირი და გვერდები შემკულია ნახევარსფეროებით, გავარსითა და ფილიგრანით. 12. ბრტყელი და ნაპირებმომრგვალებული ოთხი საკიდი ვერცხლისა, ღრუ; ისევეა შემკული, როგორც წინა, მსხლის ფორმის საკიდი. 13. მძივები გიშრის, სარდიონის, მინის, მარჯნის, პასტის, სადაფისა და ფაიანსისა, სხვადასხვა ფორმის, სულ 113 ცალი. განსაკუთრებით საყურადღებოა ფაიანსის მსხვილი მძივები და ერთი ბრტყელი საკიდი ჰერალდიკური ფარის მსგავსი.

ვ. ლექვინაძე, აღნიშნული სამკაულების განძს, აღმოჩენის ვითარებისა და ანალოგიების საფუძველზე ათარიღებს XII — XIII საუკუნეებით¹⁷. განძის დათარიღებისათვის ვ. ლექვინაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნახევარმთვარისებრი მოყვანილობის ვერცხლის ბრტყელ საკიდებს, რომელსაც რუსი არქეოლოგები „კოლტებს“ უწოდებენ¹⁸ და რომლებიც აღმოჩენილია ბიზანტიის, რუსეთის, სომხეთისა და ირანის ტერიტორიაზე.

ღმანისის განძის სამკაულები თავისი სიმსუბუქითა და სინაზით, შემკულობის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით და, საერთოდ, თავისი მხატვრული ღირსებით მცირე ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ. მათი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება თუ მხედველობაში მივიღებთ: იმ გარემოებას, რომ ეს სამკაულები ფეოდალური საქართველოს ხალხური ოქრომჭედლობის უნიკალური ძეგლებია.

1966 წელს დაიწყო „დერეფნიანი შენობის“ ჩრდილოეთით მდებარე ფართობის გათხრა; აქ დაიდო სამი კვადრატი — № 3 (ზომები 5×5 მ), № 5 (5×5მ) და № 6 (5×7,5 მ). ამას გარდა, ამ უბანზე გრძელდებოდა მეჩეთის

ნება წაიკითხა მუზეუმის ზემოხსენებულ XIV სამეცნიერო სესიაზე (ერუსთაველის ეპოქის განძი ღმანისიდან, იხ. სესიის გეგმა და თეზისები, თბ. 1965) და შემდეგ გამოაქვეყნა კიდევ აღნიშნული ნაშრომი ეურნალში «საბჭოთა ხელოვნება», № 9, 1966,

¹⁷ ვ. ლექვინაძე, დასახ. ნაშრომი, მუზეუმის XIV სამეც. სესიის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ. 1966, აგრეთვე «საბჭოთა ხელოვნება» № 9, 1966.

¹⁸ Г. Ф. Корзухина, Русские клады, М.—Л. 1954.

შენობის შიგნით, მისი დასავლეთი კედლის გასწვრივ ჩაშენებული შენობის (რომელსაც III შენობა ვუწოდებთ) №№ 1, 2 და 3 ოთახების გათხრა.

ზემოხსენებულ კვადრატებიდან 1966 წელს გაითხარა № 3 და № 5. აქ თუმცა შენობის ნანგრევები არ აღმოჩენილა, მაგრამ საყურადღებო გამოდგა განათხარი მასალა.

რაც შეეხება III შენობის № 1, № 2 და № 3 ოთახების გათხრას, მათი იატაკის დონე, ისევე როგორც მეჩეთის, აღმოჩნდა 1,2 მ სიღრმეზე წინა წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად. ამ ოთახების შემდგომმა გათხრამ გამოაჩინა უფრო ადრინდელი ცხოვრების კვალი: ოთახების იატაკის დონის ქვეშ (იატაკიდან 30 სმ სიღრმეზე) გამოჩნდა სამეურნეო ორმოები და თონეები. საინტერესოა აღინიშნოს, რომ № 2 ოთახში ერთ-ერთი ორმო (№ 1) აღმოჩნდა ოთახის სამხ.-დას. კუთხეში და ნაწილობრივ მოქცეული იყო კედლის ქვეშ. რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ორმო უფრო ადრინდელია, ვიდრე III შენობა და მეჩეთი. ორმოების ნაწილი, როგორც ეს განათხარი ინვენტარის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, იმავე დროისა უნდა იყოს. რომელსაც თვით III შენობა ეკუთვნის (ორმოები № 2 და № 3). ხოლო ნაწილი უფრო ადრინდელია. ამ უკანასკნელებში აღმოჩნდა XII — XIII საუკ. დამახასიათებელი ფაიანსის ნატეხები (კობალტით მოხატული თეთრი ფაიანსი, ლუსტრიანი ფაიანსი და სხვ.) აქვე, № 1 ოთახის იატაკის დონეზე აღმოჩნდა რუსუდანისა და დავით ნარინის სპილენძის მონეტები.

III უბანზე გრძელდებოდა X შენობის გათხრა. ამ შენობის ძირითადი ნაწილი, როგორც ეს წინა წლებში ჩატარებული გათხრის შედეგად გამოირკვა, წარმოადგენდა ზეთსახდელ სახელოსნოს (იხ. შენობის გეგმა ტაბ. VI, სურ. № 15). შენობის ამ ნაწილში აღმოჩნდა ზეთსახდელი მოწყობილობის დოლაბები, რომლებიც დღესაც არის დაცული თავდაპირველ მდგომარეობაში. ამ დიდ ოთახს B ოთახს ვუწოდებთ. ექსპედიცია საანგარიშო წლებში აგრძელებდა შენობის გათხრას მის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებში. B ოთახის დასავლეთით აღმოაჩინეს სხვა ოთახების წყება. რომელთა ჩრდ. კედელი წარმოადგენდა B ოთახის ჩრდ. კედლის გაგრძელებას; აღნიშნული ოთახებიდან C ოთახის გათხრა 1964 წელს დასრულდა. ხოლო მომდევნო C¹ და C² ოთახები 1965 და 1966 წლებში გაითხარა. თავიდანვე კარგად ჩანდა C ოთახის აღმოს. კედელი, რომელიც, ამავე დროს C ოთახის დას. კედელს წარმოადგენდა და ამ კედელში დატანებული კარით (სიგანე — 0,8 მ) და ფანჯრის კრილით (სიგანე — 0,7 მ). უერთდებოდა C¹ ოთახს (იხ. ტაბ. VII, სურ. № 16). ასევე კარგად ჩანდა C¹ ოთახის ჩრდილო კედელი, რომელიც 12,9 მ სიგრძეზე გრძელდებოდა. ამავე დროს C¹ ოთახის დას. ნაწილში, ოთახის აღმ. კედლიდან 8,7 მ მანძილზე ჩანდა კიდევ ერთი კედელი, რომელიც ოთახს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ორ არათანაბარ ნაწილად ყოფდა. გასარკვევი იყო C¹ ოთახის სამხრეთისა და დასავლეთის საზღვრები. როგორც შემდგომმა გათხრამ გამოარკვია კედელი, რომელიც C¹ ოთახის აღმ. კედლიდან დასავლეთით 8,7 მ მანძილზე ჩანდა, წარმოადგენდა არა აღნიშნული ოთახის დას. კედელს, არამედ C¹ ოთახის დანგრევის და გაუქმების შემდეგ ამ ფართობზე ჩაშენებული ახალი ოთახის აღმ. კედელს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ამ ახალი ოთახის (რომელსაც ჩვენ C³ ოთახს ვუწოდებთ) ჩრდ. კედლად გამოუყენებიათ C¹ ოთახის ჩრდ. კედელი. ამგვარად, გათხრამ გამოარკვია, რომ დიდი C¹ ოთახის თავდაპირ-

ველი ფართობი (ზომები 12.9×6.3 მ) შემდეგ ორ არათანაბარ ნაწილად გაუყვიათ თანაც ისე, რომ ძველი, დიდი ოთახის კედლები გამოუყენებიათ ახალი ოთახების აშენების დროს. ასეთი გაყოფის შემდეგ ის ოთახი, რომელიც C ოთახს უშუალოდ ებჯინებოდა თავისი აღმ. კედლით, ორ ოთახად უქცევიათ. მათგან C^2 ოთახის ზომებია — 8.7×6.3 მ, ხოლო მისი დას. მდებარე უფრო პატარა C^3 ოთახისა — 4.8×3.6 მ. მეორე არსებითი ფაქტი, რომელიც ადასტურებდა C^1 ოთახის სიძველეს C^2 და C^3 ოთახებთან შედარებით ის იყო, რომ ამ ოთახების იატაკის დონე მაღლა იყო C^1 ოთახის იატაკის დონესთან შედარებით $0.65 - 0.70$ მეტრით: ძველი ოთახის იატაკი აღმოჩნდა $2.35 - 2.4$ მ სიღრმეზე, ხოლო შედარებით ახალი ოთახებისა 1.75 მ სიღრმეზე. C^2 და C^3 ოთახების გამყოფ კედელს თავის ჩრდ. ნაწილში დატანებული ჰქონია კარი (ჭრილის სიგანე 0.9 მ), რომელიც ამ ოთახებს ერთმანეთთან აკავშირებდა¹⁹. კარი ჰქონია C^3 ოთახს ჩრდ. დას. კუთხესთან (რომლის ჭრილის სიგანე 0.8 მ უდრის). ოღონდ კარი შემდეგ ამოუშენებიათ, ისე კი, რომ კარის ჭრილთან კედელი დღესაც უფრო ღრმადაა შეჭრილი. ვიდრე კედლის დანარჩენი ნაწილი, ამიტომ კარგად ჩანს კარის კვალი.

კედლებში ოთახს, როგორც მოსალოდნელი იყო. დატანებული ჰქონია რამდენიმე ადგილას პატარა თახჩები ჭრაქების ჩასადგმელად, ოთახის განათების მიზნით. C^1 ოთახს აღმ. კედელში დატანებული ჰქონია ერთი თახჩა (ზომა 0.20×0.25 მ). იატაკიდან 1.4 მ სიმაღლეზე; ორი თახჩა — ოთახის ჩრდ. კედელში, ერთი იატაკიდან 1.1 მ სიმაღლეზე (ზომა 0.4×0.23 მ) კედლის აღმ. ნაწილში. ხოლო მეორე — 0.82 მ სიმაღლეზე (ზომა 0.26×0.32 მ) კედლის დას. ნაწილში. მეოთხე თახჩა — იატაკიდან 1.3 მ სიმაღლეზე (ზომები 0.28×0.34 მ) ოთახის დას. კედელში.

ოთახის იატაკი თავის დროზე, შესაძლებელია, ქვის ფილებით იყო დაფენილი, ვინაიდან აქა-იქ ასეთი ფილები ვხვდებოდა გათხრის პროცესში; ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ C^1 ოთახის იატაკის დონეზე არ აღმოჩნდა არც კერა და არც თონეები, რაც სრულიად უჩვეულოა შუასაუკუნეების საცხოვრებელი შენობებისათვის.

ოთახის იატაკის დონის ფიქსირების შემდეგ, განვაგრძეთ გათხრა სიღრმეში. იატაკიდან 10 სმ სიღრმეზე (მიწის ზედაპირიდან 2.5 მ სიღრმეზე) ოთახის ფართობზე გამოჩნდა დიდ-პატარა 10 ორმო, რომელთა კედლები, როგორც წესი, თხილთ იყო შელესილი, ხოლო ძირები — მოტკეპნილი თხილთვე.

უდიდესი ორმოს დიამეტრი უდრიდა 2.2 მ, ხოლო უმცირესისა — 0.45 მ. ორმოები ნიადაგში იმგვარად იყო ამოჭრილი, რომ ძირისაკენ მისი დიამეტრი ფართოვდებოდა. მაგ. № 1 ორმოს პირის დიამეტრი თუ 2.0 მ უდრიდა, ძირის დიამეტრი 2.6 მ იყო. სრულიად ცხადია, რომ სამეურნეო დანიშნულების ორმოები უფრო ძველი იყო C^1 ოთახზე.

ამგვარად C^1 ოთახის ფართობზე დადგინდა სამი საცხოვრებელი დონე: I — 1.7 მ სიღრმეზე, C^2 და C^3 ოთახების იატაკის დონე; II — $2.35 - 2.4$ მ. C^1 ოთახის იატაკის დონე; მესამე, უძველეს დონეს უნდა მივაკუთვნოთ ორმოები, რომლებიც 2.5 მ სიღრმეზე აღმოჩნდა.

¹⁹ აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც აღნიშნული კარი იყო დატანებული კედელში, C^2 ოთახში ჩრდ. დასავ. კუთხესთან 1.7 მ სიღრმეზე, აღმოჩნდა თონე, რომელიც ცხადია, ეკუთვნოდა C^3 ოთახის ზედაფენს.

განათხარი მასალის მიხედვით კარგად ხერხდება ზემოაღნიშნული საცხოვრებელი დონეების დათარიღება;

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ C¹ ოთახის ფართობზე 1965 წ. აღმოჩნდა 4 მონეტა: ერთი — ქართულ-პულაგუიდური, (XIII საუკ. II — 2,3 მ); მეორე — ვერცხლის მონეტა, რომლის განსაზღვრა მოითხოვს დამატებით მუშაობას; მესამე რუსუდანის მონეტა (აღმოჩენილი — 1,5 მ სიღრმეზე). ხოლო მეოთხე იმდენადაა გაცვეთილი, რომ მისი განსაზღვრა ვერ ხერხდება.

1966 წელს ამავე ფართობზე აღმოჩნდა 14 მონეტა, რომელთაგან ჯერჯერობით გაურკვეველია მხოლოდ ერთი. 13 მონეტადან თამარ მეფის სახელითაა მოჭრილი 2 მონეტა, რუსუდან დედოფლისა — 5, დავით ნარინის — 2, მანგუ ყაენისა — 1, ჯელალ ედდინისა — 1; ამგვარად, აღნიშნული 13 მონეტადან — 11 მონეტა XIII საუკუნისაა, ხოლო დანარჩენი ორი — ვერცხლის თურქული წვრილი ფულია ე. წ. აყჩა, XV — XVII ს. მონეტებია.

მონეტების აღმოჩენის ვითარების შესახებ მოვიტანთ მოკლე, ზოგად ცნობებს. 1966 წელს აღმოჩენილი მონეტებიდან C¹ ოთახის იატაკის დონეზე აღმოჩნდა 2 მონეტა — თამარის და მანგუ ყაენის სახელით მოჭრილი მონეტები. ამ მონეტებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ C¹ ოთახის დათარიღებისათვის. ამ ოთახში აღმოჩენილი დანარჩენი მონეტები, რომლებიც ოთახის იატაკის დონესთან შედარებით რამდენადმე მაღლა აღმოჩნდა (1,75 — 2 მ სიღრმეზე), ყველა XIII საუკუნისაა (თამარის, რუსუდანის და დავით ნარინის — სულ 5 მონეტაა). მეექვსე მონეტა, რუსუდანის სახელით მოჭრილი, 1966 წელს გათხრის განახლებამდე აღმოჩნდა ოთახის აღმ. ნაწილში, იატაკის დონეზე. 5 დანარჩენი მონეტა აღმოჩნდა სამეურნეო ორმოებში. მონეტების აღმოჩენის ვითარება სრულიად გარკვევით მიგვიითებებს იმაზე, რომ აღნიშნულ ფართობზე სტრატეგრაფია დარღვეულია, მაგრამ, ამავე დროს საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყველა მონეტა (გარდა 2 თურქული აყჩისა) მაინცდამაინც XIII საუკუნეზე მიგვიითებებს. მაგრამ, მართო მონეტები როდი გვაძლევენ ზემოხსენებული ოთახების დათარიღების საშუალებას; ამ მიზნით მნიშვნელოვანია განათხარი კერამიკა და მინის ნაწარმი (ჭურჭლისა და სამაჯურების ნატეხები), ფაიანსის მძივები და სხვ.

როგორც მოქიქული, ისე მოუქიქავი წითელკეციანი თიხის ჭურჭლის ნიმუშები, რომლებიც აღმოჩნდა გათხრის შედეგად ზემოხსენებულ ოთახების ფართობზე (მათ შორის ნახევარფაბრიკატების ფრაგმენტებიც), წარმოადგენს XII — XIII სს. ქართული კერამიკისათვის დამახასიათებელ ნიმუშებს (სგრაფიტოს ხერხით მოხატული და ფერადი ჭიქურებით დაფარული ჭურჭლის ნატეხები; ცისფერი ჭიქურით დაფარული ფაიანსის ნატეხი; მწვანედ მოქიქული ნიჟარის ფორმის ჭრაქების, თხელკედლიანი მოუქიქავი ჭურჭლის ნატეხები და სხვ.). იგივე შეიძლება ითქვას სხვადასხვა ფერის მინის სამაჯურებისა და ჭურჭლის ნატეხებზედაც. ამგვარად, ზემოხსენებული მასალის წინასწარი შესწავლა საფუძველს იძლევა ოთახის საცხოვრებელი ფენა დავათარიღოთ XIII საუკუნით.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ C¹ ოთახის იატაკის დონეზე აღმოჩნდა ნამგალი, რომელიც აგრეთვე XIII საუკუნით შეიძლება დავათარიღოთ (ტაბ. VII, სურ. № 17). ამ მონაპოვარის მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ ეს არის

სრულიად უნიკალური, დათარიღებული სამეურნეო იარაღი, დაკავშირებული მიწათმოქმედებასთან.

ახლა, რაც შეეხება სულ ქვედა ფენას, რომელშიც აღმოჩნდა ზემოაღნიშნული 10 სამეურნეო ორმო, ამოვსებული ნაგლეჯი ქვითა და მიწით; ამ ორმოებშიც აღმოჩნდა XII — XIII სს. დამახასიათებელი მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკა, ფაიანსის ფრაგმენტები (ლურჯი და ლურსტრიანი ფაიანსის ნატეხები, რელიეფური ვარდულებით შემკული ცისფერი ფაიანსის ნატეხები); აქვე აღმოჩნდა შუასაუკუნეებში გავრცელებული მინის სამაჯურების ნატეხები, ერთი სიტყვით, ისეთი ინვენტარი, რომელიც ზოგადად შეიძლება დავათარილოთ XII — XIII სს. მაგრამ რაკი C¹ ოთახი ჩვენ XIII საუკ. დავათარილეთ, ხოლო ორმოები ოთახზე ადრინდელია, მაშინ ორმოები, შესაძლებელია XII საუკ. დავათარილოთ.

ახლა გასარკვევი დაგვრჩა C² და C³ ოთახების იატაკის დონე; გათხრის პროცესში ამ დონეზე მართალია გვხვდებოდა ისეთი კერამიკის ნიმუშები, რომელსაც ჩვენ XII — XIII სს. ვათარილებთ, მაგრამ ამ ფენაში შეგვხვდა მოუჭიქავი კერამიკის ისეთი ნატეხებიც, რომლებიც არაა დამახასიათებელი განვითარებული ფეოდალიზმის ხანისათვის, მაგ. მოუჭიქავი უქუსლო ჯამები წახნაგოვანი ქიმიით. ჩვენ გვიძნელდება ზედა საცხოვრებელი ფენის დაბეჭითებით დათარიღება არასაკმარისი საბუთების გამო. მაგრამ შესაძლებლად მიგვაჩნია გამოვთქვათ სავარაუდო მოსაზრება. ჩვენ ზევით აღნიშნული გვექონდა, რომ ყველაზე გვიანი მონეტები, რომლებიც კი აღნიშნული ოთახების ფართობის გათხრის დროს შეგვხვდა, იყო თურქული აყჩები XV — XVII სს. ხომ არ შეიძლება აღნიშნული შენობის ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად სწორედ XV — XVII საუკუნეები მივიჩნიოთ? სანამ ექსპედიციას არ აღმოუჩენია სხვა უფრო მტკიცე საბუთები ზედა ფენის საიმედოდ დათარიღებისათვის, შეიძლება C² და C³ ოთახების საცხოვრებელი დონე XV — XVII სს. დავათარილოთ.

საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ რომ ზემოდასახელებული ოთახების გათხრამ საინტერესო მასალა მოგვცა შუასაუკუნეების საქართველოს მესაქონლეობის შემდგომი შესწავლისათვის. აქ მრავლად აღმოჩნდა შინაური მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები. ამ ძვლოვანი მასალის ნაწილი, აღმოჩენილი 1965 წელს, შეისწავლა ოსტეოლოგმა ა. ციცივილიმა და სათანადო მოხსენება წარმოადგინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიძღვნილი იყო შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი²⁰. ახლად აღმოჩენილი ძვლოვანი მასალის შესწავლა გრძელდება.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, 1966 წელს ექსპედიციამ დაიწყო დმანისის გარეუბნის სასაფლაოს გეგმაზომიერი გათხრა, სამაროვანის ჩრდილოეთ ნაწილში. სწორედ ამ ნაწილში, მიწის ზედაპირზე კარგად არის შერჩენილი მუსლიმანური საკულტო ნაგებობები — აკლდამები, რომელთაც ადგილობრივი მოსახლეობა მეჩეთებს უწოდებს. აქვეა შერჩენილი საფლავის ქვები არაბული წარწერებით. წელს ამ ფართობზე გაიჭრა ორი კვადრატი, ზომით 6x6 მ, ერთ კვადრატში გაითხარა 12 სამარხი, ხოლო მეორეში — 11.

²⁰ ა. ციცივილი, ნაქალაქარ დმანისის ცხოველთა ძვალეულის ნაშთები, მუზეუმის XIV სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1966.

როგორც გათხრამ გვიჩვენა, სამარხებს შორის აღმოჩნდა როგორც ქრისტიანული, ისე მუსლიმანური სამარხები.

ქრისტიანული სამარხების არსებობის დამადასტურებელი იყო დაკრძალვის ქრისტიანული წესი (მიცვალებული დაკრძალული იყო პირაღმა გაჭიმული, გულზე ზელდაკრეფილი და პირით ღმოსავლეთისაკენ) და მიცვალებულის ხის კუბოში დაკრძალვა. ფაქტი გარეუბნის სასაფლაოს ჩრდილოეთ ნაწილში ქრისტიანული საფლავების არსებობისა, ფრიად მნიშვნელოვანია, რამდენადაც აქამდე დმანისის გარეუბნის სასაფლაოა ეს ნაწილი მიჩნეული იყო მუსლიმანურ სასაფლაოდ²¹.

სამარხები, უმეტესად ფიქლების ნატეხებისაგან იყო „აშენებული“ (ზოგიერთ სამარხს ერთ-ერთი გვერდი მთლიანი ფიქლისაგან შედგებოდა); სამარხები ზემოდან გადახურული იყო ან ერთი დიდი ფიქალით ან რამდენიმე ფიქლით. გათხრილ სამარხებიდან ერთი კოლექტიურ საფლავს წარმოადგენდა, რომელშიც რამდენიმე მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები ერთმანეთში იყო არეული, ხოლო ორი სამარხი ბავშვისა აღმოჩნდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამარხები ერთმანეთთან მჭიდროდ იყო განლაგებული, ორ-სამ იარუსადაც კი.

სამარხების დიდი ნაწილი უინვენტარო იყო, მაგრამ ზოგიერთში აღმოჩნდა საინტერესო ნივთები. ინვენტარიან სამარხთა რიცხვს ეკუთვნის A კვადრატში გათხრილი სამარხი № 4, რომელშიაც აღმოჩნდა მინის ორი სამაჯური. ერთი სამაჯური გაკეთებული იყო ფირუზისფერი და შავი მინის ზოლებისაგან, ხოლო მეორე — შავი და თეთრი მინის ზოლებისაგან. აქვე აღმოჩნდა სარდიონის 2 მძივი და ბრინჯაოს ბეჭედი.

განსაკუთრებით საინტერესო იყო სამარხი № 5. ამ სამარხის მიცვალებული კუბოში იყო ჩასვენებული (კუბოს ნაწილები კარგად იყო შერჩენილი) და მიუხედავად იმისა, რომ მიცვალებული ქრისტიანული წესით იყო დაკრძალული, სამარხში აღმოჩენილი ინვენტარიდან ერთ მრგვალ მედალიონს, გაკეთებულს ვერცხლის ფირფიტისაგან და ბეჭდის ოთხკუთხა სარდიონის თვალს აღმოაჩნდა რამდენიმე სტრიქონიანი არაბული წარწერა. წარწერების გაშიფრვა ღღემდე არ მოხერხდა მიუხედავად იმისა, რომ მათ ამოკითხვაზე სპეციალისტები უკვე მუშაობენ. B კვადრატში გათხრილი სამარხებიდან აღსანიშნავია სამარხი № 8, რომელიც ბავშვისაა და რომელშიაც აღმოჩნდა შავი ფერის მინის სამაჯური, მძივები ფაიანსისა და მინისა, აგრეთვე ბრინჯაოს საყურეები.

ზემოხსენებული სამარხები აღმოჩენილი სამკაულების მიხედვით (მინის სამაჯურები, ფაიანსისა და მინის მძივები) შესაძლებელია XII — XIII სს. მიეკუთვნოთ.

დმანისის გარეუბნის სამაროვანის გათხრის მნიშვნელობა მარტო ზემოხსენებული ფაქტებით არ ამოიწურება. საქმე ის არის, რომ ჟეოდალური ხანის სამაროვანი, როგორც ამას გვიჩვენებს გათხრა და განათხარი მასალა, მდებარეობს უფრო ძველი სამაროვნის ტერიტორიაზე.

სამაროვნის ტერიტორიის გათხრის პროცესში აღმოჩნდა გვიანბრინჯაოს ხანის შავად გამომწვარი ქურჭლის ნატეხები, მოკლე, თავმსხვილი ბრინჯაოს


²¹ ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, დასახ. კრებული, გვ. 431—432; აგრეთვე ც. ჯახიანი, დმანისის არაბული წარწერები, თბ. 1965.

საკინძი გეომეტრიული მოტივებით შემკული, რომბისებრი მოყვანილობის 16
ღილი ბრინჯაოსი და სხვა. როგორც ჩანს, ფეოდალური ხანის სამაროვანი მდებ-
არეობდა გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინისხანის სამაროვანზე.


წინასწარვე შეიძლება ითქვას, რომ დმანისის გარეუბნის სამაროვანი მე-
ტად საინტერესო და მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ობიექტია და მისი გათხ-
რა სრულიად აუცილებელია დმანისის არქეოლოგიისა და ისტორიის შესწავ-
ლისათვის.

0 5 1 2 3 4 5


ტაბულა 1




სურ. 1




სურ. 2




სურ. 3




სურ. 4



სურ. 5




სურ. 6




სურ. 7




სურ. 8




სურ. 9.



სურ. 10




სურ. 11




სურ. 12



სურ. 13



სურ. 14




ნაქაზაძე
ნიკიტაძე
2015 III - 4000 - 10000

სურ 15



სურ. 16



სურ. 17

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ЭКСПЕДИЦИИ ГОС. МУЗЕЯ ГРУЗИИ (1965—1967 гг.)

Краткое содержание

В сборнике включены отчеты палеолитической экспедиции Квирильского ущелья, 1966 г. (пещера Джручула—Д. Тушабрамишвили, пещера Самеле-кде—Г. Джавахишвили), Квемокартлийской археологической экспедиции, 1967 г. (О. Джапаридзе), Ксанской археологической экспедиции, 1966—1967 гг. (Ю. Гагошидзе), Згудерской археологической экспедиции, 1964—1966 гг. (Г. Немсадзе), Носирской археологической экспедиции, 1967 г. (Д. Коридзе) и Дманисской археологической экспедиции, 1965—1966 гг. (В. Джапаридзе).

В Джручульской пещере в продольном разрезе кв. кв. 12—12 зафиксировано 17 слоев, а кв. кв. 14/14—14 (табл. I). В нижних слоях в большом количестве встречаются огромные глыбы и щебень (табл. II). Добытый в I и II культурных слоях позднемустьерский каменный материал явно леваллуазского характера; следует отметить, что, вообще, все памятники Квирильского ущелья (ашельские, мустьерские) — леваллуазские.

Во время разведок выявлена пещера Дзудзуана, которая содержит верхнепалеолитический материал. В каменном инвентаре этого памятника почти не встречаются геометрические формы и микропластинки с притупленными спинками, а ножевидные пластины типа гравет, представлены в единичном виде. Этим, пещера Дзудзуана находит сходство с инвентарем пещеры Самерцхле Кде и вместе с ней выделяется в самостоятельную группу верхнепалеолитической культуры Грузии.

В стоянке неолитической и энеолитической эпох Самеле-кде выявлен один мощный культурный слой, содержащий три горизонта с соответствующими им глинобитными полами. Добыты кремневый инвентарь неолитического характера, каменные полированные орудия и керамика, в основном баночного типа (табл. I—VIII). Памятник датируется V—IV тысячелетиями до н. э.

В Носири проведены разведочные раскопки на территории селища, вскрывшие остатки жилых помещений и керамический материал, охватывающий период с эпохи ранней бронзы, до эллинистического времени, включительно.

На городище Самадло, близ ж. д. станции Ксаши (табл. I, 1) раскопаны остатки склепа с декоративной кладкой стен и коллективным захоронением (табл. II, 1, 2 и III, 1), а также западная стена и, частично, одно помещение капитального здания (табл. 1, 2), перед которым расчищен завал черепиц (табл. III, 2). Памятники датируются, IV—III вв. до н. э.

На территории сел. Згудери установлено существование трех основных хронологических слоев: могильника эпохи поздней бронзы — железа (грунтовые погребения и курганы); могильника и остатков строений позднеантичного — раннефеодального времени; остатков жилых и хозяйственных построек позднего средневековья.

В богатых деревянных саркофагах позднеантичной эпохи найдены золотые и серебряные монеты, золотые украшения (перстни, браслеты, серьги, ожерелье с камеей и др.), серебряные, бронзовые и стеклянные сосуды, бронзовые ритуальные курильницы и т. д. На некоторых геммах и серебряных сосудах имеются греческие и армазские (?) надписи. Погребения датируются в основном III в. н. э.

В Дманиси продолжались раскопки жилого помещения XIII века, принадлежащего, по-видимому, представителям высших слоев общества (рис. 1). Под этим зданием обнаружены остатки керамической мастерской XII в. с образцами поливной керамики этого времени (рис. 2—4). Здесь же найден уникальный фрагмент керамического стержня с приваренными фрагментами фаянса (рис. 5) и железной кочерги для обжигательной печи (рис. 6). Около здания III найдены фрагменты керамики X—XI вв. (рис. 7). Представляет интерес наконечник копья и стрелы XIV в. (рис. 8). На II участке закончены раскопки дома с корридорм, (рис. 10, 11), с двумя строительными слоями: XII—начало XIII века и XIII—нач. XIV в.; здесь найдены арочная плита XIII в. и группа сосудов XII в. (рис. 12, 13). Под этим зданием найдены более древние — по-видимому XII века зерновые ямы (рис. 14). Около этого же дома найден клад серебряных и золотых украшений XII—XIII вв.

На III участке раскапывалось помещение X (смотрите планы) — маслобойной мастерской XI—XIII столетий. Среди материала, найденного здесь, отметим железный серп XIII в. (рис. 16).

Начаты раскопки пригородного могильника; в северной части этого могильника, который считался мусульманским, обнаружены христианские погребения XII—XIII вв. Могильник подстилают захоронения эпохи поздней бронзы.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დ. თუშაბრამიშვილი, ყვირილის ხეობის ქვისხანის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1966 წ. ჩატარებული სამუშაოების შედეგები.	3
2. გ. ჯავახიშვილი, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ კიათურის რაიონის სოფ. ქვემო ზოდში გამოქვაბულ სამელე კლდეში 1966 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგები.	12
3. О. М. Джапаридзе, А. И. Джавахишвили, Результаты работ квемо-картлийской археологической экспедиций (1967 г.)	19
4. А. Цицишвили, Костные остатки животных из Шулавери	27
5. დ. ქორიძე, ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1967 წელს ჩატარებული მუშაობის მოკლე ანგარიში.	35
6. ნ. გაგოშიძე, ქსნის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966—67 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში	40
7. გ. ნემსაძე, ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1965—1966 წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგები	45
8. ვ. ჯაფარიძე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965—1966 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში	57
9. რეზიუმე	75

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ЭКСПЕДИЦИИ ГОСУДАРСТВЕННОГО
МУЗЕЯ ГРУЗИИ

(отчеты 1965—1966 гг.)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ა. ჯავახიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ც. თოდუა
მხატვარი გ. ნადირაძე
ტექნორედაქტორი ლ. ჯვებენავა
კორექტორი ც. ხეთერელი

გადაეცა წარმოებას 6.VIII.1968; ხელმოწერილია დასაბეჭდად 4.VI. 1969;
ქაღალდის ზომა 70×108¹⁹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 10.85; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 8.77; უე 01265; ტირაჟი 800; შეკვეთა № 2036;
ფასი 88 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15



ს
ა
ნ
ბიუჯეტი
გეგმვის
პროცესი



ს
ა
ს
ბიუჯეტი
გეგმვის
საბიუჯეტო